აკაკის

თვიური



Г 13343

წელიწადი პირველი

№ III



ТФИЛИСЪ
Типографія Е. И. Хеладзе. || სტამბა ექვთიმე ივ. ხელაძისა
1897

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20-го октября 1897 г.

შინაარსი

განყოფილება

I

		გვ.
I	ოცნება, ლექსი	1
II	სიტყვა თქმული თელავში საღილზე .	3
III	ქართული პატრიოტობა, ლექსი	11
IV	სიტყვის ბანზე აგდება.	13
V	ქართული ფულის თავ-გადასავალი . .	21
VI	წვრილ-წვრილი ამბები და ნაკმესები. .	41
VII	გამოცანები	47

განყოფილება

II

VIII ჩემი თავ-გადასავალი . . . . . 1—64

განყოფილება

III

IX	კუჭია, ზღაპარი	1
X	ს. ვალე, (მასალა ,,ვინმე მესხისა‘‘) . . .	5

XI **ხალხური**,. ლექსება (შეკრებილი გრ. აფშინაშვილისაგან) 21
XII **ზღაპრათ ხალხური ,,ვეფხვის ტყაოსანი''** (ჩაწერილი სოსიკო მერკვილაძისაგან) 33
XIII **ხალხური ლექსი** (ჩაწერილი ს. ქვარიანისაგან). 56
XIV **განცხადება.**

ოცნება

თვალ-აბმული, თბილ ოთახში,
გალიაში ზის ბულბული,
მოსიბლულა და ჭკონია
ზამთარშიაც გაზაფხული!..

—

წალკოტს ხედავს აუვავებულს,
ვარდებს კოკრთ გადაშლილსა;
«იავ-ნანას», «ვარდო-ნანას»
ჩვეულებრივ უმღერს ტკბილსა!

—

ტანში უკლის ჟრუანტელი,
იქანცება... იწვის... დნება!..
და ცხადზედაც უტკბესია
მატეუარი ის ოცნება!..

—

სიბერის დროს მგოსანს გულში
შეჭმარვია სიყვარული...
ვიბნოტიზმურ, ცბიერ-ძალით
კრულია და გამსჭვალული.

—

ხედავს სატრფოს სსიგ-მოსილსა
ქვეყნის დარათ, ზეცის სწორათ;
შეჰყურებს და ემატება
სიჭაბუკე ერთი ორათ.

—

გულს ჩანგურათ აკოპიტებს,
ზედ გაუბამს ხულის ძაფებს
და, გედივით, სიკვდილის წინ
ერთხელ კიდევ შემოსძახებს:

—

«შენ გეტრფოდი!.. შენვე გეტრფი,
საიმედო ჩემ საფიცარს!..
და შენ მხოლოთ ახატინარ
ამ ჩემ წმინდა გულის ფიცარს»...

———

სიტყვა თქმული თელავში სადილზე

ბატონებო!

ჩვენი ძველების სიბრძნემ რუსთველის პირით გვიანდერძა, რომ

«ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა,
ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“.

და ეს გადმონაცემი ავგაროზათ უნდა გვედვას გულზე დღევანდელ ქართველებს, მით უფრო, რომ კარგათ ვერა გვაქვს გამოკვლეული, სად რა უნდა ვთქვათ ხოლმე და როდის რაᲘ აზრიანი ცხოვრება-კი ყოველთვის მოითხოვს, რომ არა თუ საქმე, თვით სიტყვაც-კი, გარემოებასთან შენაწონი, დრო და ვითარების საკადრისი უნდა იყოს. მაგალითად: როცა მძინარს ვაღვიძებთ, მაშინ საჭიროა, რომ ახლოს მივიდეთ მასთან, ჩავძახოთ, ჩავჰყვიროთ, ვუკიჟინოთ და ხან-და-ხან ხელითაც შევეხოთ, ვანძრიოთ და ვაჯანჯგალოთ, რომ გამოვაღვიძოთ როგორმე. მაგრამ რაღაი კი გამოფხიზლდება და ზეზე წამოდგება, მაშინ ესეები საჭირო აღარ იქნება და მხოლოთ იმას უნდა ვეცადოთ, რომ მღვიძარი სხვა გზაზე დავაყენოთ და საქმეზე მივუთითოთ.

იყო დრო, და მას აქეთ დიდ ხანსაც არ გაუვლია, რომ ჩვენი ხალხი საერთოდ ძილისაგან იყო წაღებული

და გამოღვიძება ეჭირვებოდა. მესამოცე წლების ახალგაზდობამ გამოაღვიძა ის მართლა და ჩიჩინით, კიჟინითა და ჯანჯგალით. ეს ჩიჩინი იყო მაშინდელი მათი მჭევრმეტყველობა, სიტყვა-კაზმულობა და კეცა-კეცა, მრავალსართულიანი პატრიოტული ფრაზები. დღეს ესენები მაგდენათ გამოსადეგი აღარ არის, რადგანაც, ცოტათ თუ ბევრათ, გამოღვიძებულ ერს სიტყვასთან საქმეც ეჭირვება და ეს რთული მოვალეობა კისრად აწევს დღევანდელ ახალ-თაობას. მტერი მძინარზე უფრო თამამად მიდის, ვიდრე მღვიძარზე; ფხიზელს თვითონაც უფრთხილდება, უფრო რთულ-იარაღსა ხმარობს და თანვე ხერხს ეძალება. ამიტომაც დღევანდელი მტრის მოგერება უფრო ძნელია ადრინდელისაზე და, რასაკვირველია, დღევანდელ ახალ-თაობასაც უფრო მეტი სიფრთხილე და მეცადინეობა მართებს... აქ სიტყვამ „ძილი“ მოიტანა და უდროვო არ იქნება, რომ ამ „ძილზე“... ქართველების ძილზე, ცოტა რამე ვთქვათ!. ქართველებს რომ თითქმის ეს ერთი საუკუნეა გვძინავს, ამის დაფიცვა აღარ მოხერხდება!.. და ან კი რა საჭიროა?! მსოფლიო კანონი თანასწორად მოქმედებს ყველაზე!. მისი კანონი დიდზე და პატარაზე ერთნაირად გადუვალია: რაც-კი არსებობს და მოძრაობს ქვეყნათ, იმან ხან-და-ხან კიდეც უნდა შეისვენოს ხოლმე. ბარათაშვილი ამბობს: მინდა მზე ვიყოო და საღამოს ნიტომ ჩავიდე, რომ მეორე დღეს, შესვენებული, უფრო მეტის ძლიერებით ამოვბრწყინდე და გავანათლო ქვეყანაო. ეს თვითაც სხიეოსანი და ნათელი ფანტაზია ყველასათვის საგულისხმოა. თუ მაღლა ცაშიც-კი ვეჭირვებათ შესვენება, ქვეყნათ მიწიერი სადღა წაუვა ამ კანონს?..

ქართველების ძილიც კანონიერია და შემცდარი

არიან ისინი, რომელთაც ეს ბუნებრივი მოვლინება სიკვდილის ნიშანი ჰგონიათ.

ისტორიული სიმართლე მალაპარაკებს და არა პატრიოტული გატაცება, რომ ჩვენ, ქართველები, ვეკუთვნით რჩეულ ხალხს და ჩვენი წარსული გასაოცარია: უძველეს დროიდან დაწყებული, მისთანა ხალხი არავინ გამოჩენილა, რომ ამ პატარა ქვეყანას არ მოზღვავებოდეს!.. ეგვიპტე, ბაბილონი, ასურეთი, არაბეთი, მონღოლეთი, საბერძნეთი და სხვანი... სულ ამ პატარა ქვეყანას ეძალებოდენ... საქართველო იდგა, როგორც სალი კლდე ზღვის პირათ, რომელსაც უზარმაზარი ტალღები ზე ეხლებიან, მაგრამ, დაუძლურებული და ქაფათ ქცეული, უკანვე იქცევიან... უფრო უახლობელს დროში მაჰმადიანობამ ჩაჰყლაპა დიდი ვიზანტია, დაიმონა სლავიანის ქვეყნები და ამ პატარა ქვეყნის კუთხეს-კი ბოლო ვერ მოუღო... ჩვენმა მამა-პაპებმა გადიწერეს პირჯვარი, შესძახეს ერთმანეთს: „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა, ვით ქვით-კირსაო“ და, სარწმუნოებასთან ერთად შეხორცებული ეროვნება, გაამტკიცეს!.. წმინდა ჯვარი ქრისტესი შეუბღალავათ მოიტანეს მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე და სასოებით გადასცეს ერთ-მორწმუნე ერს... გადასცეს და თავი კალთაში ჩაუდვეს, რომ ტკბილათ დაძინებოდათ, დაღალულობის მოსახდელათ... და თუ იმ აუცილებელი ძილის დროს ვინმემ რამე მოსტაცა და ან მოჰპარა მათ, ეს დამნაშაობათ არ ჩაეთვლებათ და არც გასაკიცხი არიან: მძინარ გმირზე ფხიზელ ნაცარ-ქექიას უფრო ეტყობა სიცოცხლის ნიშან-წყალი, მაგრამ ეს კიდევ ნებას არ აძლევს ნაცარ-ქექიას, რომ მძინარ გმირს უკიჟინოს!.. გმირი გამოიღვიძებს და რაც მღვიძარ ნაცარ-ქექიას დიდი-ხნობით უკეთებია, იმას ცოტა ხანსაც მოასწრებს. დიახ, დღეს იღვი-

ძებს ჩვენი ერი, რომ კვლავინდებურათ იმოქმედოს, გაუმ-
კლავდეს გასაჭირს და ებრძოლოს მტერს. მართალია,
ძველათ რომ მტრები გვყავდენ, ისინი დღეს აღარ არიან,
მაგრამ მაგიერათ უფრო ძლიერი და უფრო საშიში მტერი
კარჩე გვადგია. მე ვამბობ იმ ეკონომიურ მტერზე, რო-
მელიც დღეს ყველას თავ-ზარსა გვცემს და ლამის ჩაგ-
ვულაპოს...

საჭიროა ბრძოლა და, თუ კი ჩვენი ძველები, ცალი
ხელით რომ ფარ-ხმალი ეჭირათ, მაინც კიდევ ახერხებდენ
მეორე ხელით სამეურნო იარაღის აღებას, ჩვენ წინ რა
გვიდგას, რომ ორივე ხელით იგივე სამეურნეო იარაღი
ველარ ავიღოთ? თქვენა ბძანებთ, რომ მაშინ საჭირო იყო
ფარ-ხმალი და ეს იარაღი ყველას ჰქონდაო, დღეს-კი
სიმდიდრე და ფულია საჭირო, რომ ჩვენს მოწინააღმდე-
გეს ვებრძოლოთ და აბა სადა გვაქვსო? ეს თუმცა ერთი
შეხედვით ასეა, მაგრამ, თუ ჩაუკვირდებით, სიმართლეს-
კი მოკლებულია: დღევანდელ ჩვენს მტრებზე ერთი ათად
ჩვენ მეტი ვართ, შეძლებაც ბევრათ მეტი გვაქვს, მაგრამ
ჩვენი შეძლება გაფანტულ-გაცალ-ცალკევებულია და მათი-
კი თითო-ოროლას ხელში მოქუჩულ-მოგროვილი. ერთი
რომ ერთზე მივიდეთ საწინააღმდეგოთ, რასაკვირველია,
ვერას გავაწყობთ, მაგრამ თუ შეერთებულად ვიმოქმე-
დებთ, მაშინ-კი ძალა ჩვენ ხელში იქნება. მოგახსენებთ
სულ უბრალო მაგალითს: ამ დღეებში სულ ორიოდე
ავაზაკმა მთელი გორის მაზრა შეაძრწუნა. რომელ მო-
სახლისასაც კი შევარდებოდენ, მუსრს ადენდენ. ან კი
რა უნდა ექნათ? ავაზაკები თოფ-იარაღში იყვენ ჩამჯდა-
რი და იმათ-კი ჯოხის მეტი არა ჰქონდათ რა. შეჰყუ-
რებდენ საცოდავათ პოლიციას და ჩაფრებს, რომ ეგება
დაგვიფაროონ როგორმეო ბოლოს, როცა იმედი დაჰკარ-

ვეს, თვითონ ჩაჰხვდენ გონებაში. მოიყარეს თავი ერთად, კეტი-კეტს შეუერთეს, ქვა-ქვას და დაუხვდენ მტრებს... ასსა და ორას ქვას ბერდანკა ვეღარ გაუმაგრდა, კეტებს ხმალმა ვეღარ გაუძლო და მოჰბეგვეს ავაზაკები. თუ ჩვენც მათსავით შევერთდებით, ჩვენს პატარ-პატარა შეძლება-ქონებას ერთი მეორეს მოვახმართ, ჩვენც ეკონომიურათ ძლიერი ვიქნებით და მტრებს მოვიგერებთ. აქაც საკვირველი ის არის, ამაებს ყველას, რაც აქ მოგახსენეთ, ცალ-ცალკე ყველა ქართველი ამბობს და უჩივის... უეჭველია, თავის-თავათაც აქვს შეგნებული. სიზარმაცესაც ვერ შევწამებთ ქართველ ხალხს!.. მართალია, დღეს ქართველებში ურევიან აქა-იქ გუნდებათ ბულვარ და დუქან-მეისტრები, მაგრამ ამ გვარები სად არ არიან და როშელ ხალხში? უმეტესობა, მაგალითად, გლეხობა და სოფლის მცირე მამულიანი თავად-აზნაურობა წელს იწყვეტს, ეგება რასმე გავხდეო და მაინც მათი შრომა უნაყოფოთ რჩება. ჩვენი ქვეყანაც ისევ ძველებურათვე მდიდარია და გულ-ღია. ჯერ არ მოჭმულა, და ან კი რა მოჭამს დადაღალავს მის სიმსუქნეს? ჩვენ მიწებს ნაკელი არ ეჭირვება, ჩვენი ძველების სისხლ-ხორცით არიან ნასუქ-ნაპატივები... ისე ბიჯს ვერ გადავდგამთ, რომ ფეხი წინაპრების სისხლით მორწყულ მიწაზე არ დავადგათ. ისე გუთანი ვერ გაგვივლია, რომ სახნისმა ჩვენი ძველების ძვლები არ ამოჰყაროს... იმ თავითვე ისტორიულათ შესისხლხორცებული ვართ ჩვენს მიწა-წყალთან, ნათესავური კავშირია ჩვენ შორის და მიტომაც იბრძოდენ და იცავდენ ჩვენი მამები, რომ ხელიდან არ გაეშვათ!.. ზოგიერთ დღეანდელებს რა გვენაღვლება! გული რაზედ უნდა შეგვტკივოდეს და დაგვწყდეს, რომ იმ მამა-პაპის ნაშთზე ლვინისა და შამფანსკის მეტი არ გვიღვრია რა?!..

ეჰ, ასეა თუ ისე, ეს ჭირიც კიდევ აღვილათ მოსახ-
დელია, თუ უმეტესობა ფეხზე ვიდგომებით და ამ თა-
ვითვე შევიგნებთ, თუ რა არის მიზეზი დღევანდელი ჩვე-
ნი უბედობისა, რომ უმეტესობის შეგნება, სურვილი და
შრომაც ველარ გვშველის? ვისი ბრალია? რა გვიშლის
ხელს და ვის უნდა დავდვათ ბრალი?—ვის და თავადებს!..
მე აქ თავად-აზნაურობაზე კი არ მოგახსენებთ... იმ მეთა-
ურებზე მოგახსენებთ, რომელნიც საქმეს თავში უნდა უდ-
გენ. დღეს დრო იცვალა, საქმეც სულ სხვა გვარია და
მეთაურებიც, ე. ი. თავადებიც სულ სხვა ნაირი გვე-
ჭირვება. ქვეყანა მზათ არის აღიაროს და მიენდოს მათ.
ხალხისთვის სულ ერთია, რომელი წრიდანაც უნდა გა-
მოვიდენ ის თავადები, ოღონდ-კი მეთაურობა შეიძლონ:
გლეხობით და მღვდლის შვილობით არავინ დაიწუნებს
მათ. მაგრამ, სამწუხაროთ, ჯერ ვერსად ვხედავთ... დღე-
ვანდელი ჩვენი ინტელიგენცია სუსტია საზოგადოთ!..
ქვეყნის წინ წაძღოლა, მეთაურობა არ შეუძლია.

აბა, მიბრძანეთ, რა მეთაურია და რა თავადი ხალ-
ხისა ის ინტელიგენტი, რომელსაც იმდენათ უყვარს სამ-
შობლო, რამდენათაც ის მხოლოთ სასარგებლოა მისი პი-
რადი კეთილ-დღეობისათვის და, თუ ველარას ჩამორჩა—
წიხლსა ჰკრავს და ჩალა-ბზეზე გაცვლის! აბა ის ინტე-
ლიგენტია, რომელსაც გონება ჯიბეში უძევს და გრძნო-
ბა კუჭში? ქვეყანას წინ ვერ წაუძღვება!.. კარგ შვილს
უთუოთ კარგი გამზდელი დედა უნდა ჰყავდეს და დედე-
ბი-კი არსად არიან... დღევანდელი ჩვენი ქალები ადრინ-
დელის აჩრდილიც არ არიან. ჩვენი დედები მართლა დე-
დები და ცოლები იყვენ. მიტომაც დაურქმევიათ „ცო-
ლი“ ე. ი. „ცვალი“ რომ ქმრის გამონაცვლება შეძლე-
ბოდა, ანუ მეუღლე, რომ ქმართან ერთად ცხოვრების

ულელი გაეწია. დღევანდელი ქალები, მხოლოთ „ჟენე-ბი“ არიან, რადგანაც სიტყვა „ჟენა“ სანსკრიტულად მშობელს, ანუ მომგებს ნიშნავს და ამათაც ხომ მეტი არა შეუძლიათ რა. ამას ბიტომ კი არ მოგახსენებთ, რომ ქალები გავჰკიცხო და შეურაცხ-ყოფა მივაყენო, მით უფრო, რომ იმათ ბრალი არაფერში აქვთ!.. მათი უვარ-გისობა დროთა ვითარების ბრალია და მეც გულის ტკი-ვილი მალაპარაკებს, ის უიმედობა და გულის ტკივილი, რომელიც საფლავში თან უნდა ჩამყოლოდა, თუ დღე-ვანდელ კახეთის ნახვას ჩემთვის გული არ გაემთელე-ბია!.. ერთი მცირე რამ შეენიშნე თელავში, რომელმაც გული გამიმთელა და ამამფრთოვანა მომავლის იმედით: აქ ახალ-გაზდა ქალებს, ოჯახის შვილებს, ნაცვლათ მისა, რომ სხვებსავით მაღალ ფარდებში იფარფაშონ, ხელი მოუკიდიათ პატარა საქმისათვის: გაუმართავთ უსას-ყიდლო შკოლები ღარიბ-ობლებისათვის, სადაც ასწავ-ლიან ხელ-საქნარს, მეოჯახობას, უცხო ენასთან ერთად მშობლიურსაც და დროს შესაფერათ და საკადრისათ სწორ გზაზე აყენებენ მათ; ამისთვას არ ზოგავენ არც ხარჯს და არც შრომას. უეჭველია, რომ აქედან გამო-ვლენ ის დედები, რომლებიც ჩვენ გვენატრება და მერე მათი გაზდილი შვილებიც ღირსი წევრები იქნებიან მომავალი, სანატრელი ახალ-თავობის. ჩვენ, ქართველებმა, საზოგადოთ გადაჭარბება ვიცით ხოლმე. აი, თუ გინდა, ეს დღევანდელი თქვენ მიერ ჩემი პატივის ცემა გადა-ჭარბებულია... მე ამდენის ღირსათ არ მიმაჩნია ჩემი თავი და მხოლოთ თქვენსავე მადლიერ, გულ-უხვობას მივაწერ!.. დიახ, საზოგადოთ გადაჭარბება ვიცით ხოლ-მე და მცირეც დიდათ გვეჩვენება... მაგრამ დღეს კი მე აქ მეტს არას ვაბბობ იმ პატარა შკოლების შესახებ. მეც

კარგათ ვიცი, რომ ისინი საკმაო არ არიან საქართველოს ბედნიერებისათვის, მაგრამ, როგორც ნიშანი კეთილ-მომავლისა, სასიხარულო და საიმედო მოვლენაა!.. პატარა ცისარტყელა ვერც ათბობს, ვერც ანათებს, მხოლოთ თვალს იტაცებს და სჭრის, მაგრამ მაინც გამოდარების ნიშნათ არის მიჩნეული. გვალვის დროს ერთი პატარა ღრუბლის ნაგლეჯიც, სადმე ცის კიდეში გამოჩენილი, ქვეყანას ახარებს. შეჩერებიან მუშები და ამბობენ: ღმერთო შენს მადლს! კარგი ნიშანია: ამ პატარა ნაგლეჯს სხვებიც შეუერთდებიან, ცას დაფარვენ და მოგვევლინება წვიმა, ქვეყნის განმანედლებელიო. საკვირველია, მესამოცე წლებშიაც, როდესაც მამათა-სქესის ახალ-თაობა გამოღვიძებას აპირებდა, ის პატარა ცისარტყელა კახეთში გამოჩნდა და ის ღრუბლის ნაგლეჯებიც აქეთ დავინახეთ. რასაკვირველია, მიხვდებთ, რომ აქ იგულისხმება თქვენივე შვილი ბ-ნი ილია ჭავჭავაძე. ახლაც კიდევ სადედათ-სქესო ნიშნებსაც აქვე ვპოვებთ. ჩანს, რომ ეს საქართველოს ყოველ კუთხეზე მეტათ წამებული კახეთი ჩვენთვის ახალ-ბეთლემად დაუნიშნავს განგების და ღმერთმა ინებოს... ვისურვებ მის ბედნიერებას საზოგადოთ და კერძოთ თქვენთვისაც, როგორც მის მცირე წარმომადგენლებისას.

ქართული პატრიოტობა

—

როდესაც ჩემ წინ სუფრაზე
ცხელი, შუშხუნა მწვადია,
მაშინ მე სამშობლოსათვის
ყოველი კარგი მწადია!

—

როცა გადავჭრავ ნუნუას
თას-ყანწით, გინდა კულითა,
მაშინ მეც ზეცას ვავედრებ
ამ ჩემ სამშობლოს გულითა.

—

როდესაც ვეტრფი ქართველ ქალს,
ვეძლევი ნეტარებასა...
ვეღარა ვფარავ!.. სახალხოთ
ვამბობ ჩემს აღსარებასა:

—

«ძრავალჟამიერ! ჟამიერ,
ჩვენ ტურფა საქართველოსა»!
ვიტყვი და შეუპოვარათ
გადავჭრავ სადღეგრძელოსა.

—

მაგრამ ესენი სუფველა
თუ აღარ მექნა სელათა,
წიხლსა ვკრავ შინაურობას
და გავიჭრები ველათა.

—

დავეწაფები გულით კვასს,
გავსისინდები ქაშითა
და, კუჭათ გადაქცეული,
გულს დავიფარავ ფაშვითა!..

—

დამავიწუდება ქართული
ჟუჟუნა, შავი თვალები!..
ჩიჩხასაც არა უშავს რა,
სკვითის ქალს ვენაცვალები!

—

თუ გსურთ, რომ დავრჩე ქართველად,
ვიხდიდე მშობლურ ვალებსა,
ნუ გამომილევთ ღვინოსა,
ცხელ ძწვადს და ლამაზ ქალებსა!..

სიტყვის ბანზე აგდება.

დიდი ფაცა-ფუცია დღეს თფილისში: *) გახურვებული ეძებენ ქალაქის თავს; ხან ერთი კუთხისაკენ გარბიან და ხან მეორისაკენ, მაშინ როდესაც ყველამ კი კარგათ იცის, რომ ვინც უნდათ არჩეულიც ჰყავთ და სხვა და სხვა კანდიდატების დასახელება უბრალო „ასკი-კუკუს“ თამაშია და თვალის ახვევა. ბისმარკიც რომ იყოს ქართველი, მაშინაც არავინ მიაშავებს მას დღეს ქალაქის მოურავობას. მაშ, რალათ ასახელებენ მათ? საბოდიშოთ და სალალობოთ!.. მათი გულ-წრფელობა ამ შემთხვევაში უკუდო (დიპლომატობა არის და სხვა არაფერი. „ნიკოლაძე კარგი იქნებაო“—ამბობენ. რომელი ნიკოლაძე?! ის ხომ არა, რომლის რჩევასაც, როცა მათთან იყო, ყურადღებასაც არ აქცევდენ... ჭავჭავაძეო?. რომელი?! ტრიხინის ავტორი?! რა თქმა უნდა, ძალიან ეპიტნავებათ! ზუბალოვიო? რომელი?! ის რომელიც, როცა მათთან იყო, ეჯავრებოდათ, როგორც მართალი და ღირსეული კაცი? არა, ეს სუყოლიფერი იაფი ფასის ლათაიაა. აკი იყო ამორჩეული დიმიტრი ყიფიანიო, — მეტყვიან, მართალია, მაგრამ ის აუცილებელმა საჭიროებამ ამოარჩევინათ მხოლოთ და ანგარიშმა: ოცი, ოც-და-ათი წლის აწეწილ-დაწეწილი, აბურდულ-დაბურდული საქმე გამოაწყობიეს, კანცელარია რიგზე დააყენებიეს, იმსახურეს

---

*) ეს წერილი მესამე ნომრისათვის აწყობილი იყო, როდესაც ქალაქის არჩევნები გათავდა.

და, როცა გამოსასწორებელი აღარა იყო რა, მადლობის მაგიერათ, უბრალო ხმოსნათაც აღარ აირჩიეს არა თუ ქალაქის თავად. ივანენკო? მე და ჩემმა ღმერთმა, რომ კარგი ასარჩევია მათთვის, თუ კი მათი წესდება ნებას მისცემს მათ. ცხადია, რომ ისევ ერთი მათგანი უნდა აირჩიონ, მაგრამ ვინ? იზმაილოვის შემდეგ კ. ა. ბებუთოვს ვერავინა ჯობს, მაგრამ ის ხომ სხვა საქმეს ადგია და ვერ მოაცდენენ. ალიხანოვი არ თანხმდება, ევანგულოვი ყოყმობს, ბორის-გოდუნოვობს!.. რეიტერი? წესდების წინააღმდეგი იქნება. დარჩა ისევ მარტო გ. თუმანოვი და, ჩვენი აზრით, უკეთესსაც ვერ გამოძებნიან!.. მაგრამ, ვაი, თუ არ აპატიონ ის, რაც ვითომ და ღირსებათ ჩაუთვალა მათმა გაზეთმა: „ერთ დროს ის ქართულ ინტერესებს მისდევდაო". მაშ, ვისღა აირჩევენ? რასაკვირველია, ევანგულოვს. სხვების დასახელება-კი უაზრო, ბანზე სიტყვის აგდებაა!.. რას ნიშნავს „ბანზე სიტყვის აგდება" და საიდან წამომდგარა ეს ანდაზა?

კაცი რომ ლაპარაკის დროს გადაუხვ-გადმოუხვევს და პირ-და-პირ პასუხს ვერ იძლევა, იმაზე იტყვიან: „სიტყვას ბანზე აგდებსო". ეს ანდაზა ძველის-ძველია. ეტყობა, რომ ჩვენ მამა-პაპებსაც ცოდნიათ სიტყვების გაბანდგამობანდვა პასუხის ასაშორებლათ, და სიტყვის ბანზე აგდებაც ისე, როგორც ჭირვეულ ბავშვების მოსაშორებლათ ბურთს მაღლა ბანზე ააგდებენ ხოლმე. „სიტყვის ბანზე აგდებას" დღეს ჩვენში უფრო მეტი ბაზარი აქვს, სადიპლომატო იარაღათ არის გადაქცეული და უფრო მზაკვრული ხასიათიც აქვს, ვიდრე ძველათ. საქურდალზე რომ ვინმეს მიასწრო და ამხილო, ის მაშინვე „ბანზე შეაგდებს სიტყვას" და პირ-აქეთვე დაგიწყებს მტყუნებას: „რადგა-

ნაც მე და შენ სულ სხვა-და-სხვა ტომის კაცი ვართ და შენ კი ჩემი ტომის ხალხი საზოგადოთ გძულს, მეც მიტომ მწამებ ცილსო“. ტყვილათ კი არ არის ნათქვამი: „წყალ-გალმა შეედავე და წყალ-გამოღმა დაგრჩებაო“. ქურდი პირ-აქეთ დაგწამებს ცილს: „ამა და ამ კაცს ჩემი გვარის ყველა სძულს და ემტერება!.. არა დაუჯეროთ რაო!“ ამას რომ ყურს მოჰკრავენ მისი ტომის კაცები, ისინიც ზოგი სისულელით და ზოგიც ბოროტი განძრახვით მიექომაგებიან და ატეხენ ერთ ვაი-უშველებელს. რამდენიც უნდა იძახო: «ბატონებო! რა შუაშია აქ უცხო ტომობა? ეს, რომელ ნაციასაც უნდა ეკუთნოდეს, სულ ერთია, თუ შეარცხვენს, თვარა ვერას ასახელებს! პირად საძაგლობას მთელს მისს ნაციას აწერს და მითი უნდა თავი გაიმართლოს!.. ამით ეს ჩირქსა ცხებს თავის ტომის ხალხს და მე-კი, პირ-იქით, ვამბობ, რომ ეგ არ არის მისი ნაციის წარმომადგენელი ტიპი!.. მაგისთანა გაფუჭებული აქაც იშვიათია და სხვანი და სხვანი. ,,ამისთანები რაც უნდა იშველო, დამჯერე აღარსად არის!.. ყურსაც აღარავინ გიგდებს და გამოდიხარ პირ-აქეთ შენვე მტყუანი!.. ძალიან მაგარი ხასიათისა და თავ-განწირული უნდა იყოს კაცი, რომ ქურდს ქურდობა ამხილოს, ავაზაკს ავაზაკობა და მეზვერეს მეზვეროობა!.. დღეს ამ ხერხს, ესე იგი საპოლიტიკო ბანზე სიტყვის აგდებას, ხელს სჭიდებენ, არა თუ სხვა ტომების, თვით შენივე გვარ-ტომის გაფუჭებული მოძმეებიც, რომ წმინდა წყალი აამღვრიონ და შიგ მერე თავისუფლათ ბადე გაშალონ. ამავე ხერხს ხმარობს დღეს ჩვენი ვაჭარი ხალხიც, რომელსაც ჩვენ შემკრებელობითად, გვარ-ტომობის გაურჩევლათ, ყველას ერთად სომხებათ ვუწოდებთ.

საიდან და როგორ გაჩნდენ ჩვენში ეს ვაჭრები?

უხსოვარი დროიდან ჩვენი ქვეყანა უმთავრესად ორ წოდებათ იყო გაყოფილი — დაბალ-წოდებათ და მაღალ-წოდებათ. თვითოეულ მათგანს თავ-თავისი მოსაზღვრული მოვალეობა აწვა ულლათ; პირველი ქვეყნის მუშა იყო, მიწის მომქმედი და მეორე—მხედარი, რომელიც ბრძოლის ველზე ათენ-აღამებდა. ვისაც უძლურების გამო ანუ სხვა რამე მიზეზით ამ ორი უმთავრესი მოვალეობის ატანა არ შეეძლო, ის ან ბერათ შედიოდა მონასტერში და ან აღებ-მიცემობას ჰკიდებდა ხელს. ამ უკანასკნელს ეკუთნოდენ ებრაელები და სომხები. ებრაელები ბაბილონის ტყვეობის დროს გადმოსახლებულან ჩვენში; სომხები-კი მეშვიდე საუკუნიდან დაწყებული გვეხიზნებოდენ ნელ-ნელა. ჩვენ იმათ ძმურის სიყვარულით ვეგებებოდით, მით უფრო, რომ მათი სარწმუნოებისა, ე. ი. გრიგორიანები ქართველობაშიაც ბევრი იყო დარჩენილი.

შემოხიზნულებს მზა ეკლესიები დაუხვდათ და ქართველობამ ისინი მამა-შვილურადაც შეიტკბო. ისინიც ისე გაქართველდენ, რომ არაფრით, გარდა სარწმუნოებისა, ქართველებისაგან აღარ გაირჩევოდენ. ბევრმა მათგანმა ქვეყნის ერთგულებისა და კარგი სამსახურისათვის თავადობისა და აზნაურობის ღირსებაც მიიღო; ზოგმა მიწის მუშაობას მიჰყო ხელი, მაგრამ უმეტესობამ-კი ვაჭრობა ირჩია და აღებ-მიცემობაც საკუთრათ მათ ხელში გადავიდა. აი, ამ მოვაჭრე ხალხს, რადგანაც მის უმეტესობას სომხობა შეადგენდა, თუმც შიგ ურიები და დაჩიავებული ქართველებიც ერიენ, შემკრებელობითად დაერქვა სომხობა; ასე რომ ჩვენში სიტყვა ,,სომეხი'' და ,,ვაჭარი'' ერთსა და იმავეს ნიშნავდა. ამ წრის ხალხს დიდი უფლება არა ჰქონია რა ჩვენში!.. ისინი საბატონო იყვენ და გადასახადიც დიდი ემართათ. გაყოფილების საბუთები

ანუ ფარდის წიგნებში, ხშირად შეხვდებით რომ ერთ ვაჭარს, სომეხს ანუ ურიას, რომელსაც, გარდა სახლ-კარისა სხვა ადგილ-მამული არა აბადია რა, ოცსა და ოცდა-ათ დიდ მემამულე გლეხებს უფარდებენ. დიდი გვარის შვილები მითი უფრო იყვენ შეძლებული, რომ საკუთარი ბაზრები ჰქონდათ, მაგალითად: საჩხერეში, ონში, ხონში, კულაშში, ჩხარში, სურამში, ცხინვალში და სხვა და სხვაგან. სანამ ქართველების ცხოვრება ძველი წესითა და რიგით მიდიოდა, თავად-აზნაურობაც უზრუნველი იყო, რადგანაც ერთი მხრით გლეხები ეჭირათ ხელში და მეორეთი—მოვაჭრე სომეხ-ურიები; რაც-კი დასჭირდებოდათ, ყოლიფერი მზათ ჰქონდათ და ფული მხოლოთ სათამაშო, საქეიფო მასალათ მიაჩნდათ. არა თუ ძველათ, რუსობამდე, რუსის შემოსვლის შემდეგაც, სანამ კავკასიის მთები არ დაიპყრეს, იმავე ძველ გზას ადგენ ქართველები. მართალია, ფული რომ დაჭირდებოდა რომელსამე თავად-აზნაურთაგანს, მაშინაც ვაჭარს გამოართმევდა და, დროზე თუ ვერ გადაუხდიდა, პასუხიც მზათა ჰქონდა: ,,რა დაგემართა, კაცო, რომ მაწუხებ? რა დიდი რამე გგონია ეგ შენი რაღაც ოხერი ფული! აღარ დაგვაცლი?!.. აგერ ჯარში წავალ, გავიმარჯვებ, პენციას დამინიშვნენ და მაშინ შიგ თავში გახლი შენს ფულებსო''!.. ამ გვარი პასუხი დღეს თუმცა სასაცილოა, მაგრამ მაშინ-კი ხშირათ გამართლდებოდა ხოლმე და რომ კიდევაც არ გამართლებულიყო, უნდა მაინც ორივე მხარეს მოეცადა. მხოლოთ ბატონ-ყმობის გადავარდნიდან შეიშალა ძველი წესი და რიგი: თავად-აზნაურობას რაც ქონდა ხელში, გამოეცალა და უნუგეშოთ დაიწყო ფართხალი, ისე, როგორც თევზმა რიყეზე,—გლეხობას რაც ჰქონდა, ის აღარ შერჩა!.. მართალია, პირადათ განთავისუფლდა, მაგრამ

მიწა-წყალი-კი ჩამოერთვა და მცირე ნადელი რაც დაუ-
ნიშნეს, იმაშიაც მეოთხედი უნდა ეხადა; ამას გარდა, პირ-
და-პირ გადასახადს ბევრი შეპარებული გადასახადიც მიე-
მატა და ფული საჭირო შეიქნა!.. ეს ფული-კი არც მა-
ღალსა და არც დაბალ წოდებას არა ჰქონდა!.. რომ კი-
დეც ჰქონოდა, მისი მოხმარება, მიუჩვეველობის გამო,
არც ერთმა არ იცოდა... ორივე მხარე შეკრთა და ფეხი
გადაუბრუნდათ, მოგებაში დარჩა მხოლოთ ის წოდება,
რომელსაც არა დაკარგვია და არა დაკლებია რა, ე. ი.
ვაჭრობა: მათი სიმდიდრე ფული და სავაჭრო საქონელი
იყო და იმათთვის ხომ ხელიც არავის უხლია?!.. მო-
ვიყვანთ სამინუშოდ ერთ მაგალითს: წერეთელს მისი ყმა-
ვაჭარი ცხრაას თუმანს აძლევდა: მარტო-ხელი ვარ და
გამიშვიო. ბატონი ათას ნაკლებ არ შეელია; მოუსწრო
რეფორმამ და ოცდახუთი მანეთი ერგო იმ ვაჭარში, მე-
ტი აღარაფერი! დიახ, ბატონ-ყმობის გაყრამ ვაჭრობას
ბედი კარზე მოაყენა და მათი ხელობის სარბიელიც გა-
დიდდა. უფულო და ფულის უმეცარი, როგორც მაღალი,
ისე დაბალი წოდებაც ორივე ბურჟუაზიის ხელში ჩავარ-
და და დაეშვა უფსკრულისაკენ. ეს რომ დაინახეს სხვა
მხრის ვაჭრებმა, მოაშურეს ამ ჩვენ მხარეს სხვა-და-სხვა
ქალაქებიდან: ნახიჩევნიდან, ერევნიდან, განჯიდან, აზრუ-
მიდან და სხვა. შეიქნა ეკონომიური ბრძოლა! მაგრამ რას
ვამბობ? რის ბრძოლა?!.. ერთი მხრით დაგეშილი მგლე-
ბი და მეორით-კი საბრალო ცხვრები!.. ცუდი დრო და-
დგა აქაურ მცხოვრებლებისათვის... ბოლოს, როცა იქნა,
ზოგიერთმა შეგნებულებმა თვალი გამოახილეს და ყვედ-
რება დაიწყეს: ,,შეგვჭამეს ვაჭრებმაო“! მაგრამ ბურჟუ-
აზიამ სიტყვა ბანზე ააგდო და ფარად სომხობის გვარ-
ტომობა იხმარა: ,,გეტყობათ, რომ თქვენ მტერი ხართ

მთელი სომხობისა, თვარა ჩვენც არ დაგვიწყებდით მტრულათ ყურებას?!.. ეგ, ამ დროში, არ ეკადრება თქვენ განათლებულობასო!.. ნაციის ათვალწუნება უმეცრების ნიშანია და ბარბაროსობისო!“—,,რა ბძანებაა! რა შუაშია აქ გვარ-ტომობა? სომხის ნაციის მიზანი (ჩვენ ვფიქრობთ) სრულიადაც არ მოითხოვს იმას, რომ სხვა ხალხი ამოფხვრას და გადაყლაპოს!.. თქვენ არა ბძანდებით სომხობის წარმომადგენელი!.. თქვენ მხოლოთ საკუთარ თავსა და კუჭზე ფიქრობთ და გვარ-ტომობას-კი მხოლოთ ფარად და პირბადეთ ხმარობთო‘‘!—ასე დაიძახეს ზოგიერთებმა ჩვენში, მაგრამ გამგონი ვინღა იყო, როდესაც უმეტესობა ღრიალებდა და ზუოდა?!.. ქართველების მხრითაც ფუჭმა ინტელიგენტებმა და ცრუ ლიბერალებმა—აქაო და გაუნათლებლობა არავინ შეგვწამოსო, პირზე ხელი დაიფარეს: გაჩუმდენ, ხმას აღარ იღებდენ!.. ამით ბურჟუაზიამ თავი უფრო აიშვა, გათამამდა და ხელ შეუშლელათ გააბ-გამოაბა ქსელი. ხალხი გულში იკლავდა ჯავრს და ნაღველი თან-და-თან უსივდებოდა. სიძულილი ჩამოვარდა, რომელსაც ბოლოს კიდეც უნდა გამოეხეთქა; მაგრამ ამ დროს ვითომ და გამოდის ასპარეზზე სომხის ახალგაზდობა, ნამდვილი ახალ-თაობა და სულ სხვა პროგრამმა შემოაქვს ცხოვრებაში!.. აი, რას გვეუბნებიან ჩვენ, ქართველებს, (თუ დასაჯერებელია): „თქვენ მართალი ხართ! ეგენი არ არიან სომხის ინტერესების წარმომადგენელნი!.. სადაც თაფლია, მაგათი ბაღდადიც იქ არის! ეგენი ისეთივე მტრები არიან ჩვენი, როგორიც თქვენიო; ჩვენ არ მოგვწონს მაგათი საქციელი, არ თანავუგრძნობთ მაგათ მოქმედებასო‘‘ და სხვა...—ეს აღსარება წმინდა გულითაც რომ არ ყოფილიყოს ნათქვამი, მაშინაც არ უნდა დაგვეგდო უყურადღებოთ, მაგრამ

მიწა-წყალი-კი ჩამოერთვა და მკირე ნადელი რაც დაუ-
ნიშნეს, იმაშიაც მეოთხედი უნდა ეხადა; ამას გარდა, პირ-
და-პირ გადასახადს ბევრი შეპარებული გადასახადიც მიე-
მატა და ფული საჭირო შეიქნა!.. ეს ფული-კი არც მა-
ღალსა და არც დაბალ წოდებას არა ჰქონდა!.. რომ კი-
დეც ჰქონოდა, მისი მოხმარება, მიუჩვევლობის გამო,
არც ერთმა არ იცოდა... ორივე მხარე შეკრთა და ფეხი
გადაუბრუნდათ, მოგებაში დარჩა მხოლოთ ის წოდება,
რომელსაც არა დაკარგვია და არა დაკლებია რა, ე. ი.
ვაჭრობა: მათი სიმდიდრე ფული და სავაჭრო საქონელი
იყო და იმათთვის ხომ ხელიც არავის უხლია?!.. მო-
ვიყვანთ სამინუშოდ ერთ მაგალითს: წერეთელს მისი ყმა-
ვაჭარი ცხრაას თუმანს აძლევდა: მარტო-ხელი ვარ და
გამიშვიო. ბატონი ათას ნაკლებ არ შეელია; მოუსწრო
რეფორმამ და ოცდახუთი მანეთი ერგო იმ ვაჭარში, მე-
ტი აღარაფერი! დიახ, ბატონ-ყმობის გაყრამ ვაჭრობას
ბედი კარზე მოაყენა და მათი ხელობის სარბიელიც გა-
დიდდა. უფულო და ფულის უმეცარი, როგორც მაღალი,
ისე დაბალი წოდებაც ორივე ბურჟუაზიის ხელში ჩავარ-
და და დაეშვა უფსკრულისაკენ. ეს რომ დაინახეს სხვა
მხრის ვაჭრებმა, მოაშურეს ამ ჩვენ მხარეს სხვა-და-სხვა
ქალაქებიდან: ნახიჩევნიდან, ერევნიდან, განჯიდან, აზრუ-
მიდან და სხვა. შეიქნა ეკონომიური ბრძოლა! მაგრამ რას
ვამბობ? რის ბრძოლა?!.. ერთი მხრით დაგეშილი მგლე-
ბი და მეორით-კი საბრალო ცხვრები!.. ცუდი დრო და-
დგა აქაურ მცხოვრებლებისათვის... ბოლოს, როცა იქნა,
ზოგიერთმა შეგნებულებმა თვალი გამოახილეს და ყვედ-
რება დაიწყეს: ,,შეგვჭამეს ვაჭრებმაო“! მაგრამ ბურჟუ-
აზიამ სიტყვა ბანზე ააგდო და ფარად სომხობის გვარ-
ტომობა იხმარა: ,,გეტყობათ, რომ თქვენ მტერი ხართ

მთელი სომხობისა, თვარა ჩვენც არ დაგვიწყებდით მტრულათ ყურებას?!.. ეგ, ამ დროში, არ ეკადრება თქვენ განათლებულობასო!.. ნაციის ათვალწუნება უმეცრების ნიშანია და ბარბაროსობისო!“—,,რა ბძანებაა! რა შუაშია აქ გვარ-ტომობა? სომხის ნაციის მიზანი (ჩვენ ვფიქრობთ) სრულიადაც არ მოითხოვს იმას, რომ სხვა ხალხი ამოფხვრას და გადაყლაპოს!.. თქვენ არა ბძანდებით სომხობის წარმომადგენელი!.. თქვენ მხოლოთ საკუთარ თავსა და კუჭზე ფიქრობთ და გვარ-ტომობას-კი მხოლოთ ფარად და პირბადეთ ხმარობთო‘‘!—ასე დაიძახეს ზოგიერთებმა ჩვენში, მაგრამ გამგონი ვინღა იყო, როდესაც უმეტესობა ღრიალებდა და ზუოდა?!.. ქართველების მხრითაც ფუჭმა ინტელიგენტებმა და ცრუ ლიბერალებმა—აქაო და გაუნათლებლობა არავინ შეგვწამოსო, პირზე ხელი დაიფარეს: გაჩუმდენ, ხმას აღარ იღებდენ!.. ამით ბურჟუაზიამ თავი უფრო აიშვა, გათამამდა და ხელ შეუშლელათ გააბ-გამოაბა ქსელი. ხალხი გულში იკლავდა ჯავრს და ნაღველი თან-და-თან უსივდებოდა. სიძულილი ჩამოვარდა, რომელსაც ბოლოს კიდეც უნდა გამოეხეთქა; მაგრამ ამ დროს ვითომ და გამოდის ასპარეზზე სომხის ახალგაზდობა, ნამდვილი ახალ-თაობა და სულ სხვა პროგრამმა შემოაქვს ცხოვრებაში!.. აი, რას გვეუბნებიან ჩვენ, ქართველებს, (თუ დასაჯერებელია): „თქვენ მართალი ხართ! ეგენი არ არიან სომხის ინტერესების წარმომადგენელნი!.. სადაც თაფლია, მაგათი ბაღდადიც იქ არის! ეგენი ისეთივე მტრები არიან ჩვენი, როგორიც თქვენიო; ჩვენ არ მოგვწონს მაგათი საქციელი, არ თანავუგრძნობთ მაგათ მოქმედებასო‘‘ და სხვა...—ეს აღსარება წმინდა გულითაც რომ არ ყოფილიყოს ნათქვამი, მაშინაც არ უნდა დაგვეგდო უყურადღებოთ, მაგრამ

ჩვენ-კი ასე არ მოვიქეცით: ქალაქის გამგეობაში რომ უსიამოვნება ჩამოვარდა ქართველ და სომხების ხმოსნების შუა, ჩვენებმა ეს შუღლი მთლათ სომხობას მიაწერეს! ველარ შენიშნეს, რომ აქ მხოლოთ ვაჭრები იბრძოდენ და არა სომხობა, რომლის წარმომადგენელი ახალი თაობა იქვე იყო და ქართველების უარყოფა არ სურდა. ეს მხოლოთ ერთად-ერთმა გიორგი წერეთელმა შენიშნა და დარჩა ხმოსნათ, მაგრამ მარტოობა-კი დაუჯდა ფასათ: უმეტესობამ ექსოორია უყო და შეაჩვენა არა მარტო ის პირადათ, — თვით ის ჟურნალი ,,კვალიც''-კი, სადაც გიორგი მუშაობდა. ამ გვარ სასტიკობაზე კიდევ არას ვიტყოდით, რომ სულ მხოლოთ ცარიელი პირადობა არ გამომდგარიყო: ჯერ ერთ წელიწადსაც არ გაუვლია და ის ვაჟბატონები, რომელნიც გიორგი წერეთელზე განაჩენსა სწერდენ, პირიქით, მიდიან იმავ ვაჭრებთან, ეკავშირებიან, ემხრობიან, იმხრობენ და ამტკიცებენ: ჩვენ ორივეს ერთი და იგივე ინტერესი გვაქვსო! ფიე!.. ,,ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო'', რომ იტყვიან, სწორეთ ეს არის. ჩვენ რაღა უნდა ვთქვათ, — ის, რომ სულ სხვა აზრისა ვართ: იმ ახალგაზდობას, რომელიც ზემოთ დავასახელეთ, ჩვენ ვიწამებთ თანა მოაზრეებათ, თუ საქმითაც დაგვიმტკიცებენ ნათქვამს!.. რაც შეეხება ძველი თაობის წარმომადგენელ ბურჟუაზიას, იმათი-კი რა მოგახსენოთ!.. ჩვენ ისინი მოყვრებათ არ მიგვაჩნია და წუნსა ვდებთ იმ ქართველებსაც, რომელნიც საპირადო ანგარიშით იმათ ეკედლებიან და მათთან ერთად სიტყვას ბანზე გვიგდებენ.

ქართული ფულის თავ-გადასავალი.

პატარა ვარ, მაგრამ, რაცა ვარ, სულ წმინდა ვერცხლი ვარ. ლითონად ჩვენს ქვეყანაში ვარ გაჩენილი, ფულათ-კი ზარაფ-ხანაში მომჭრეს და ტოლ-ამხანაგებიც ბევრი მყავდა. თვალი დაუდგეს სიბერეს, რომ ხორცსაც აკლებს და ფერსაც უკარგავს ყოველიფერს, თვარა პირველ-ხანებში ჩემ სანახაობას არა ჯობდა რა: ცით მოწყვეტილ ვარსკვლავსავით გამქონდა კაშკაში, ხელი-ხელ საგოგმანებელი, გადავდიოდი და გადმოვდიოდი აქეთ-იქით. ბევრის მნახველი ვარ, კიდევ უფრო მეტის გამგონე, მაგრამ ყველა რომ მოვთვალო, სად წავა!.. ერთ ახალ-წელიწად დილას მეფე ირაკლიმ ოქრო-ვერცხლით ააესო თასი და მიუკვლია დედოფალს: „ღმერთმა მრავალ ამ დროს დაგასწროს, ჩემო ბატონო დარეჯანო“!—შენიანათ, ჩემო ხელმწიფეო!—უპასუხა დედოფალმა და ჩამოართვა სავსე თასი გაიშალა დარბაზი და მთელი ქალაქი მოატყდა სასახლეს მოსალოცავათ.

ხელ-ცარიელათ ფეხი არავის შემოუდგამს! ზოგს რა მოჰქონდა და ზოგს რა! ეაჭრის ცოლები-კი უფრო შაქრიყინულს ატანდენ ძალას და თან ამბობდენ: „ასე ტკბილათ დაგაბეროთო“! დედოფალიც ამოიღებდა ხოლმე თასიდან ფულს და თითო-თითოდ ხან ერთს ჩაუდებდა ხელში და ხან მეორეს... ზოგს ვერცხლისას და ზოგს

ოქროსას, რომ მათ-მათ შესაფერათ ბედი დაჰკვებებოდათ. ყველაზე ბოლოს შემოვიდა ოსეფა ყორღანაშვილი; ხელში გამოკრული ბაღდადი ეჭირა და მოკოხტაობდა.— ,,ფეხი ჩემი და კვალი ანგელოზისო!''—მოახსენა დედოფალს.—ღმერთმა მრავალ ამ დღეს დაგასწროსთ მხიარულათ და ბედნიერათ თქვენი დიდებული ოჯახით!.. მტრები აგაშოროთ და მოყვრები ნუ გამოგილიოთო!.. შემიპყრია და წარმომიდგენია თქვენ წინაშე თქვენი შემცოდე ქურდები, რომელთაც თქვენთვის ფერ-ხორცი მოუპარავთ და სიტკბო წარუტაცნიათო!''

ეს რომ თქვა, გახსნა ბაღდადი და იქვე, ტახტზე გადმოაგორა საუცხოვო, წითლად დაბრაწული შაქარვაშლები. დედოფალმა გაიღიმა, აიღო თასი და ეს ამდენი ოქრო და ვერცხლი ჯიბეში ჩაუჩხრიალა სამაგიეროთ. მეც იმ ფულებში ვერიე... მეწყინა, მაგრამ რაღას ვიზამდი?!.

ოსეფა ყორღანაშვილი ,,ახალ-კაცი'' იყო, ე. ი. უბრალო ჩამომავლობის... მხოლოთ პირადათ ამაღლებული ბედისაგან და ისიც უჯეროთ. ძველათ ჩვენში გვარიშვილობას დიდი ფასი ედვა... ვაგლახათ ,,ახალ-კაცებს'' არ გაიტოლებდენ, გინდ ისინი ყოვლათ სრულიც ყოფილიყვენ. ამ გულ-კოიტობამ დაღუპა საოცარი გმირი სააკაძე და მასთანავე ერთათ საქართველოც. ყორღანაშვილსკი ღირსებაც არ ჰქონდა, გარდა გაიძვერობისა და, რასაკვირველია, ქართველი დიდ-კაცობა იმის მაღლა-მაღლა ფარფატს ვერ აიტანდა. ყველაზე უფრო გულ-ნატკენი იყო დავით სარდალი; ეს იცოდა ოსეფამაც, მაგრამ, აქა და სასახლეში მხარს მიჭერენო, არავის ეპუებოდა.

ზრდილობა და დარბაისლური თავდაბლობა ზნეთ ჰქონდათ იმ დროში გადაქცეული საქართველოს გვა-

რის შვილებს. ოსეფა ყორღანიშვილს-კი, როგორც უსისხლო კაცს, თავის უვვარ-ტომობა ნაკათ ჰქონდა გულში ჩარჩენილი! აქა და უკადრისი არავინ მკადროსო, თვითონ ასწრებდა ყველას: მედიდურათ ეჭირა თავი, სხვაზე მეტათ თავხედობდა და ხშირათ სიბრიყვეში ვარდებოდა... ცოტა რამ ააჩქარებდა ხოლმე და იმ დღესაც, დედოფლისაგან რომ საჩუქარი მიიღო, ზეცას მიაჭირა თავი. ოხუჯობაც-კი დაიწყო და დავით-სარდალს საახალწლო ხონჩა გაუგზავნა, მაგრამ ტკბილეულობის ნაცვლათ რიკ-ტაფელა დაედვა (ჩილიკა-ჯოხი) ზედ. ორბელიანი მიხვდა, თუ რასაც ნიშნავდა ეს გამოცანა: „ახლა მე ვარ სასახლეში და შენ-კი დაჯექი და ირიკავეო“.

სარდალმა მადლობა შეუთვალა და რიკ-ტაფელა თაროზე შეადებინა შესანახავათ. გაიარა დრომ, ეს საახალწლო ხუმრობა ყველას დაავიწყდა. საფერისცვალობოთ, გალაღებული ყორღანაშვილი სადილათ მიიწვია სარდალმა. ჩვეულებრივი მოკითხვის შემდეგ, მასპინძელმა უთხრა სტუმარს: ბატონო ოსიფ-აღავ, ჯერ სადილი ადრეა... მოცლილი ვართ და ხომ არ ინებებთ, რომ რიკ-ტაფელობა ვითამაშოთო? ჩამოაღებია თაროდან გამხმარი ტაფელა. ოსეფა შეკრთა და აიფხორჯ... ფერი ეცვალა... „რა დროს თამაშია, ბატონო სარდალო?—ძალდატანებული ღიმილით უპასუხა,—ფერისცვალება დღეა, შეგეწიოს მისი მადლი, მეც შიმშილით ფერი მეცვალაო!“ „თქვენი ნებააო“,—სთქვა სარდალმა,—ანიშნა მსახურებს: „აბა, აჭამეთ ზურგიელიო!“ თვალის დახამხამებამდი მისცვივდენ შინაყმები, გააწვინეს და იმ გამხმარი ტაფელათი ზურგის კანი აუცხუნეს... იმდენი სცემეს, რომ უსულოთ მიაგდეს!.. გამოიტანეს მერე გარეთ და მოედანზე დააგდეს. ამ ამბავმა მთელი ქალაქი შესძრა! მაინცა-და-მაინც

ბევრს არავის წყენია ყორღანაშვილის შეურაცხყოფა, მაგრამ გაკვირვებით-კი უკვირდათ! ყველაზე უფრო გამწარებული დარეჯან დედოფალი იყო. დავით სარდალმა იფიქრა: „დღეის იქით მე აქ აღარ დამედგომება!“ შეჰყარა გვარეულობა და დააპირა იმერეთში გადასახლება. ირაკლიმ მოციქულები მიუგზავნა: „ოსეფას გულისთვის ან ქვეყანას რათა სტოვებ და ან მე რათ მშორდებიო?‘‘ ამას-კი აღარ ელოდა ყორღანაშვილი! იმას ეგონა, რომ ორბელიანებს მეხი დაატყდებოდათ თავზე. იმედი რომ გაუმტყუნდა, კბილების ღრჭენით თქვა: ,,მაშ მე ოსეფა აღარ ვყოფილვარ და ეს ულვაში ნულარ მსხმია, თუ ეს ჩემი შეურაცხ-ყოფა ვისმეს შევარჩინოო“. ეს ფიცი კიდეც შეასრულა ,,ხოჯა-ხნობის‘‘ დროს. ღმერთთან სწორე სჯობს, ოსეფას გაჯავრებას საფუძველი ჰქონდა: ისე უმოწყალოთ იყო გალახული, რომ დიდხანს ფეხზე აღარ წაძომდგარა. ჯარა-მელანია ექიმობდა: წყლულზე ,,ოშოშას‘‘ ადებდა და დაბეჟილს უზელდა. რომ მორჩა, სხვათა შორის, მეც საექიმოში გამიღო და დარბაისელის ჯიბიდან მელანოს ხელში გადავედი. ამ საწყალ ქვრივ დედაკაცს ერთი შვილის მეტი არ ჰყავდა და ისიც დაკუტებული იყო. ერთ კვირა დღეს მელანომ ჩამოქნა მისი შვილის სიგძე სანთელი, მეც ავათმყოფს რამდენჯერმე თავზე შემომავლო და გასწია ანჩისხატისკენ. სანთელი პირიმღვთისას აუნთო, დაუჩოქა წინ და, სანამ ძირამდი არ დადნა-დაიწვა მისი ფთილა, ცრემლით ეეედრებოდა ყოვლის შემძლებელს: ,,შვილი მომირჩინე და ასე დაადნე მისი სატკივარიო‘‘. რომ გაათავა ლოცვა, ამიღო და მეც ხატის უკან დამდვა შესაწირავათ.

— იმ დღიდან თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში ფეხი აღარ გამოჰიდგამს. ვიყავი ჩემთვის, მარტოთ-მარტო და თვალ-ყურს ვადევნებდი იქაურობას. მაშინდელი ეკკლესია ოქრო-ვერცხლით თუმცა მდიდარი არ ყოფილა, მაგრამ სიწმინდე-კი დიდი იყო შიგ. მაშინდელ მღვდელს მღვდლობა ეტყობოდა და ერიც ერსა ჰგავდა. განუწყვეტელი წირვა-ლოცვა იყო და საყდარი მლოცველებით ივსებოდა. უკან საქალებო ჰქონდა მოდგმული; ქალები იქ იკრიბებოდენ და კაცები კი წინ იდგენ უძრავათ... უკან მიხედვა არ შეეძლოთ!.. დღეს-კი, ეშმაკის მახეთ, ნახევრათ ტიტველა ქალები წინ დგანან, კეკლუცათ ტრიალობენ, ირხევიან და მამაკაცები-კი უკანიდან მისჩერებიან მათ მოელვარე გულ-მკერდს და ჯოჯოხეთის ცეცხლით უდუღდებათ სისხლი!.. იმ დროის კითხვა-გალობის კილოც სხვა იყო: გრძნობა-გონების წარმტაცი და სასოების მომგვრელი; მრავალ საუკუნოების განმავლობაში მოფიქრებული და შესწავლილი ქართველის გულზედ იყო გამოჭრილი და ქართულ სმენას ეთანხმებოდა... ჩადიოდა გულის სიღრმემდი და მოხიბლულ გრძნობა-გონებას იტაცებ'და.

ძველათ საყდრის გალავანში აუცილებლათ უნდა რგულიყო ორი ხე: ბზა და ცაცხვი. პირველი საბზობოთ და მეორე-კი საჩრდილებლათ. წირვა რომ გამოვიდოდა, იმ ცაცხვ-ქვეშ იყრიდენ თავს სოფლელები, რომ ერმანეთისათვის თავ-თავისი გულის პასუხი გაეზიარებიათ. იმ ხის ქვეშ ტყვილი არ გაიბედებოდა! ის იყო წმინდა და, ხალხის აზრით, ზედ დასაჯდომათ ფრინველიც ვერ მიეკარებოდა. ათას'ში ერთხელ, დღისით როგორმე ჭიკჭიკა მერცხალი, როგორც ღვთის ქათამი, თუ მიბედავდ და

ხან-და-ხანაც ბნელ ღამეში „წმინდანიანი“ *) თუ შემოჯდებოდა ხოლმე, თვარა სხვა ვერავინ, ეშმაკი თუ შეცდებოდა, მაშინვე თავზე მეხი ატყდებოდა და მისი ნაჯდომი შტოც ხმებოდა. მაგიერათ დღე და ღამ გარს ეხვევოდენ ფუტკრები, როგორც ზეცის მუშები, რომ ყვავილებისგან სიტკბო ამოეწოწნათ და თაფლ-სანთელი გაეკეთებინათ. ეს იცოდა ხალხმა და გალავნის შიგნიდან, თვალ-მარგალიტიც რომ ყოფილიყო, ვერავინ რას გაიტანდა. საყდარში ხომ ყოველგვარი სამკაული ხელ შეუხებელი იყო. ათასში ერთხელ მღვდელი თუ მოჰკიდებდა ხელს რომელსამე სამკაულს გასაწმენდათ, მაშინაც მხოლოდ ლოცვითა და ამბორებით. ბოლოს-კი ამასაც გადაეჩვიენ: ხატის მადლსა და სასწაულს-კი აღარ უყურებდენ, უფრო მის მინანქარსა და ოქრო ჭედილობას სინჯავდენ. იმათ რომ აღარ ეპუებოდენ, მე ვინღა გამიტანდა! ერთმა ურჯულომ მტაცა ხელი და ორთაჭალის ბაღებში ამომაყოფინა თავი. სიწმინდე ნაჩვევს, არაფრათ მეჭაშნიკა უწმინდური ლხინი: ტკბილი გალობის ნაცვლათ უკადრისი სიმღერა მესმოდა!.. წმინდა ამბორების მაგიერ, საზარელი „პროშტი“ იყო გახურებული და მეტანიის ნაცვლათ კინტოური ბუქნა. მომიკვდა გული, მაგრამ რაღას ვიზამდი!.. იმ დღიდან დამაწყებინეს აქეთ-იქით თრევა; ათი წელიწადი ვიწანწალე, ხელიდან ხელში გადავდიოდი, ხან ერთის ჯიბეში ვიყავი და ხან მეორისაში. ეს კი შევნიშნე მხოლოთ, რომ ქართველის ჯიბეში დიდხანს არ მაცდევინებდენ. ბოლოს ჩაუვარდი ხელში ერთ ქარველ სოვდაგარს და იმან-კი დიდ-ხნობით ბნელ კიდობანში ამომაყოფია თავი.

---

*) იმერეთში ამტკიცებენ, რომ „წმინდანიანი“ ფრინველია, რომელიც ღამე ანათებსო.

შეეჩვიე ნელ-ნელა სიბნელეს, თვალი გავიტეხე, მივიხედ-მოვიხედე და ვნახე, რომ ჩემს გარდა სხვებიც ბევრი იყვენ დამწყვდეული. კიდობანი თითქმის პირამდი იყო მოყრილი ოქრო-ვერცხლით და თავზე ყველას ქაღალდის ფულების ერთი დიდი კონა ასკუპდა. იქვე, გვერდით ეყარენ სხვა-და-სხვა გვარის აქციები. ხმაურობა იყო: ფულებს შუღლი მოდიოდათ ერთმანეთში; ყველაზე უფრო ერთი დიდი ოქრო ცხარობდა, რომელსაც გულზე ჯვარი ჰქონდა გამოსახული. „რომელი ერთი უნდა ავიტანოთ—ამბობდა—ტყვეობა თუ შეურაცხყოფა? ეს ქაღალდის ფული რომ თავზე დაგვჯდომია და მაღლიდან მედიდურათ დაგვყურებს, ჩემო რაო?! ვითომ რა ჩვენი ტოლია?! ელვარება აქვს ჩვენისთანა, სიმტკიცე, თუ სიმძიმე? ქარი წაიღებს, წყალი დაალპობს და ცეცხლი დაწვავს. ჩვენ კი...“

— უკაცრავათ! უკაცრავათ!—გააწყვეტია ქაღალდის ფულმა—ნურც მაგრე გაიბერები, შე მამაცხონებულო! ჩვენი ღირსებაც იკითხეო. „ოქრომ გაიღიმა და გოცებით ჰკითხა: „რა ღირსება?“ ქაღალდმა დაიწყო: „ერთხელ, ოდესმე, დედა-მიწამ პირი შეიკრა და ლითონი აღარსად გამოაჩინა. გაძვირდა ოქრო და ვერცხლი, ხალხი ფულს ეძებდა და ფული კი აღარსად იყო. შეიქნა ქვეყანაზე ერთი არეულობა და ამბოხება; შეშინდენ ხელმწიფეები!.. აღარ იცოდენ, რა ექნათ! ცუდათ იყო მათი საქმე, თუ სომხების ხელმწიფეს თავის თავი და სხვებიც არ გადაერჩინა: ერთ დღეს მიდის სომხების მეფესთან მისი ვეზირი—ხელოქა—და, დაღონებულს რომ ხედავს, ეუბნება: ბატონო მეფევ, უბრალო რასმე შეეწუხებიხარ!.. რა უყოთ, რომ ფული გაძვირდა? ნუ იყოს ოქრო და ვერცხლი... თქვენ მათ მაგიერათ ქაღალდი გამოაჭრეინეთ

და ზედ დააწერეთ, რომ ფულათ გავიდესო!.. უბრძანე და გავა! ,,ასი!'' ,,გნაციო!'' უთხრა სომხურათ, ე. ი. ,,თქვი და გავაო''. ვეზირის რჩევა მეფეს დაუჯდა ჭკუაში. მართლა დააბეჭდვინა ქადალდის ფული, ბძანა; ,,გავიდეს ოქრო-ვერცხლის სწორათო'' და გავიდა კიდეც. ეს გადიღეს სხვა ხელმწიფეებმაც, გადარჩა ქვეყანა განსაცდელ და ქაღალდის ფულსაც ,,ასიგნაცია'' დაერქვაო. აი, ახლა ხომ ხედავთ, თუ რა სიბრძნის შვილი ვართ ჩვენო? უბრალო ,,აქცია'' კი ნუ მგონიეართო'' ეს არ მოეწონა აქციებს, შეხტენ და შებზიალდენ: ,,ჩვენ უფრო სქელი ქაღალდი არა ვართ თქვენზედაო? და რაც შეეხება გასავალს, ზოგჯერ, რომ ვართ, იმაზე მეტათაც ვღირვართო!''—უპასუხეს.—კარგია ერთი, ხმას ნუ იღებთ, გიცნობთ, რა შვილიცა ხართ!.. სხვებთან იფართი-ფურთეთ და მე-კი თქვენი მოსატყუებელი კბილი დიდიხანია მოვიცვალეო... ,,აქციას'' მიტომ გეძახიან, რომ ქვეყნის დამქცევი და ამომგდები ხართო. ერთი რომ გაამდიდროთ, ათას აღარიბებთ და მეტი ქვეყნის დაქცევა კიდევ იქნებაო? ეს რომ გაიგონეს აქციებმა, შერცხვათ, ხმა ველარ ამოიღეს და გაჩუმდენ, მაგრამ სამაგიეროთ ისევ ჯვარიანი ოქრო აქაქანდა: ,,თქვენ რა იცით, ხურმა რა ხილიაო! ჯერ ის გაიგეთ: ვინა ვარ, საიდან მოვსულვარ და ან რად? და მერე წამეტოლეთო''!—თქვა მედიდურათ და მოჰყვა: ასტრახნის არქივატორმა, იოსებ არღუთაშვილმა ერთხელ გახსნა სალარო ოქრო-ვერცხლით გატენილი და ამოიღო განძი; ორათ გაჰყო: ერთი წილი მიაწოდა აღა-მაჰმად-ხანს გზის ხარჯათ, ,,ნუღარ დაიგვიანებ, წამობრძანდიო!'' და მეორე თბილის ქალაქში გაუგზავნა თანამერჯულეებს: ,,მოახლოვდა ჟამი, როცა უნდა ასრულდეს ჩვენი ნატვრა და ახლა თქვენ იცითო''. მიღებისა-

თანავე არქივატორ იოსებ არღუთაშვილის ძმისწულმა, მეფის მინ-ბაშმა, სოლომონ არღუთაშვილმა და ქალაქის მელიქებმა იოსებ და დარჩია ბებუთაშვილებმა შეჰყარეს თანამოგვარეები სათათბიროდ. მათ რიცხვში მოჰყვენ: იოსებ შალბათაშვილი და მისი ძმა ავეტიკა, აბესალომ ბებუთაშვილი, სულხან თუმანიშვილი და მისი ძმა მანუჩარი, ოსეფა ყორღანაშვილი და არტემ არარანცი, რომელსაც არუთინას ეძახდენ. ესენი ყველა, გარდა არუთინასი, მეფესთან დაახლოვებული აყვენ და ხალხშიაც გავლენა ჰქონდათ. არღუთაშვილმა ბიძი მისის ~~წე-~~ წერილი წაუკითხა კრებას და ხონჩებით ოქრო გამოუტანა. ოქროს ელვარებამ დიდსა და პატარას თანასწორათ მოსჭრა თვალი და ყველას ჟრუანტელმა დაუარა ტანში. ამ დროს წამოდგა ზეზე კუზიანი დარჩია და მოჰყვა: „მომილოცავს მომავალი ბედნიერება! ჩვენი „პასექი“ მოახლოვებულია! როდესაც ებრაელები გამოვიდენ ეგვიპტით უდაბნოში, ორმოცი წლის ხეტიალის შემდეგ, იპოვნეს აღთქმული ქვეყანა იორდანის პირათ. ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენც ჩვენი „აღთქმითი ქვეყანა“ უნდა მტკვრის პირათ მოვიპოვოთ და დამჭკნარ საქართველოზე ავაყვაოთ ახალი ჰაიასტანი... გამხნევდით! იქ, სადაც მახვილი ვერა სჭრის, პატარა ხერხს გააქვს და გამოაქვს; სადაც ფარხმალი უძლურია—იქ ოქრო ყოვლის შემძლებელია და აჰა, ესეც ხომ დღეს ჩვენ ხელშიაო?!“ კრებამ ერთხმათ მისცა დასტური და ერთ-პირად მიმართა მეთაურებს: „გვიწინამძღვრეთ, როგორც ისუ-ნავემ, და იყავით მოძღვარ ჩვენდა, ვითარცა მოსე და აარონიო“.

გადასწყვიტეს, მორიგდენ და ფულიც ორ წილათ გაჰყვეს: ნახევარი ერთმანეთში გაინაწილეს და მეორე ნახევარი გადადვეს ქართველ თავადებში დასარიგებლათ.

ეს გაიძვერული საქმე ოსეფა ყორღანაშვილმა იტვირთა. იმ დროს საქართველოში დიდი არეულ-დარეულობა იყო. სხვა-და-სხვა დედის შვილი, უფლისწულები ერთმანეთში კინკლაობდენ. თითოეულ მათგანს თავ-თავისი მომხრეები ჰყავდა და საზოგადო საქმე მით აწეწილ-დაწეწილი იყო. ეს კარგათ იცოდა ოსეფამ, ისარგებლა მითი და საიდუმლოთ მიმართა გიორგის მომხრეების მეთაურებს: რევაზ ანდრონიკაშვილს, ხათა-გოგია ციციშვილს, ალექსანდრე მაყაშვილს და სხვათა და აგრეთვე ქსნის ერისთავებს, როგორც ირაკლის პირად მტრებს: „ბატონებო, ვინ არ იცის, რომ ყველა ჩვენგანი საქართველოს გულისათვის თავ-დადებულია და მისი კეთილ-დღეობის მოსურნე?!... მისი ღვიძლი შვილები ვართ!.. ჩვენგან მოვლასა და პატრონობას მოითხოვს და... მაგრამ „ვაი თქმასა და ვაი უთქმელობასაო—ნათქვამია... ღმერთმა დღეგრძელ ჰყოს ბატონი ირაკლი, მაგრამ ის მისთანა ვეღარ არის, ადრე რომ ირაკლი ბძანდებოდა, სიბერემ თავისი გაიტანა. იმ აზრით, რომ ნადირ-შაჰის მომხრეები ასიამოვნოს, სპარსეთის ყეენს მუქარას უთვლის და ისიც, აგერ სადაც არი, კარზე მოგვადგება. დრო არის—და საქართველოს კეთილ-დღეობაც მოითხოვს,—რომ ბატონიშვილმა გიორგიმ ჩაიბაროს სამეფო. მისი ღვთის-მოყვარეობა და სათნო ხასიათი თავდებია, რომ ქვეყანაც დამშვიდდეს და ჩვენც მოვისვენოთ. ბატონ ირაკლის გადაწყვეტილი აქვს გუნებაში, რომ ახლოს მოიტყუოს სპარსელები, მერე ირგვლივ შემოერტყას და ერთიანათ სოკოსავით აკრიფოს. სპარსეთიდანაც ნადირ-შაჰის ნაერთგულარნი ირაკლისავე ჰპირდებიან სპარსეთში გამეფებას. ეს რომ ასრულდეს, მაშინ ჩვენი მტრები გაზვიადდებიან და ყველანი უნდა გა-

მოვეთხოვოთ ცოლ-შვილსა და სახლ-კარს! ნამდვილ მემკვიდრეს, ბატონიშვილ გიორგის, სხვა ძმები წაართმევენ ტახტს და მაშინ, თქვენც იცით, რომ კარგი ბოლო აღარ ექნება საქართველოს. დეე, ირაკლი შეებრძოლოს სპარსელებს... მცირე ჯარით შეაწყდეს! ჩვენ ჩამოვშორდეთ... მზათ-კი ვიყოთ და მერე დაღალულზე მუსრი გავავლოთ მტრებს. ჩვენ თავს სახელი მოვუპოვოთ და გიორგი ბატონიშვილს ტახტი და დიდება!“ ამ სიტყვებთან ერთად გამოიტანა აუარებელი ოქრო და გადასცა მათ: ჯარის მოსაგროვებლათ დაგჭირდებათო. ზემოხსენებულ დიდაცებს ანგარებამ თვალი აუბა. გაიმეტეს ირაკლი, გადაჰყვენ ოსეფას ცბიერებას და თავსაც მითი მართლულობდენ თავის გუნებაში, რომ გიორგის დავსვამთ მეფეთ და მაშინ უფრო ბედნიერი იქნება საქართველოო. დატრიალდენ შეთქმულები, შეიძრა ქვეყანა და ღალატმა ნელ-ნელა საიდუმლოთ გაიდგა ფეხი. ირაკლისა და მის ერთგულებს ეგონათ, რომ მტრის საწინააღმდეგოთ ემზადება ყველაო და გულდამშვიდებით ელოდენ ხოჯა-ხანის მოახლოვებას. კრწანისის ველმა გამოაფხიზლა ყველა, მაგრამ გვიან-ღა იყო... ომის დროს ირაკლის ჩამოშორდენ საიმედო სარდლები. პირველი მაგალითი მისცა სხვებს რევაზ ანდრონიკაშვილმა და შერჩა ხელში ირაკლის სამოცი ათასიდან მხოლოთ ორი ათასი ერთგული ქართელ-კახელი, რომელთ რიცხვში თათრებიც ერიენ და სამი ათასიც იმერლობა. შეკრთა, მაგრამ გული-კი მაინც არ გატეხია გმირთა-გმირს და საბოლოოვოთ ძლევას კიდევ მაინც დაირჩენდა, თუ მელიქებს ქალაქის კარები არ გაეღოთ მტრისათვის. მაშინ-კი მოტყუებულმა გიორგის მომხრეებმაც დაინახეს მათი შეცდომა, მაგრამ ნეკზე კბენა რაღას უშველიდა?!... თუ მე და ჩემისთანები სხვებიც

ასტრახნიდან არ ჩამოვსულიყავით და ხალხში არ დაგვეწყო ტრიალი, საქმე სულ სხვა გვარათ იქნებოდა... „გაჩუმდი! გაჩუმდი! ხმა ჩაიწყვიტე!.. მიაძახეს აქეთ-იქიდან სხვებმა, მაგრამ ყველაზე უფრო ხუთ მანეთიანი ოქრო გაცხარდა: ნუ მარცხვენ, შე შეჩვენებულო, ერთი მიწის შვილი ვართ! ქვესკნელში ჩასაძვრენი ყოფილხარ და არა აქ გამოსაჩენი. ქვეყნის დასაქცევათ და ამოსაგდებათ მოსულხარ... ამდენი სისაძაგლე ჩაგიდენია... ბოროტების მასალა ყოფილხარ და კიდეც ტრაბახობ? სადაც შენ მოუჭრიხართ, მეც იქა ვარ მოჭრილი; საიდანაც მოსულხარ — მეც იქიდანა ვარ მოსული, მაგრამ შენსავით საუკუღმართოდ-კი არა. მოღალატეებსა და ქვეყნის ორგულებს არ ჩავვარდნივარ ხელში! მე ვარანცოვის ჯიბეში ვარ ნადები და მის ხელში გამოვლილიო!“ სადაც დავით ალმაშენებელი, თამარი და გიორგი ბრწყინვალე იხსენიება, იქ არც ვარანცოვია დასავიწყარი. ბევრი კარგი უყო საქართველოს და, რომ დასცლოდა, ვინ იცის, რას არ მიანიჭებდა? ის ცდილობდა, რომ გაელვიძებია და თვალი გაეხილვინებია ქართველებისათვის... მრავალ საუკუნოების განმავლობაში მოუსვენარობამ და გმირულმა გარჯამ დაღალა საქართველო. ამ ბოლო დროს ძილს მისცა თავი, რომ დაღალულობა მოეხადა. ეს ხომ მსოფლიო კანონია! სწორეთ ამ ძილის დროს მოასწრო ვარანცოვმა... მძინარს მტერი, როგორც უნდა, ისე ჩაიგდებს ხელში... რა მხრითაც უნდა, იმ მხრით მიეპარება... გამოაღვიძებს მხოლოთ მოყვარე და ვარანცოვმაც სწორედ მოყვრულათ მოინდომა, რომ ნელ-ნელა გამოელვიძებია დროებით მიძინებული ერი და დაენახვინებია მისთვის მისი წარსული, აწმყო და მომავალი! მოაგონა მისი ისტორია, გაუხსნა შოლები, გაუკეთა სტამბა, გაუმართა

თეატრი, დააყენა სწორ გზაზე და შეუწყო ხელი. უნ-
დოდა, რომ ეს საუკუნოების განმაელობაში წამებული
ქრისტიანობა, პოლიტიკურათ შეეკავშირებია თანა-მერ-
ჯულე რუსეთთან, რომ მათი ჭირი და ლხინი სამარადი-
სოთ ერთი ყოფილიყო. ამ აზრის განხორციელებას სი-
მართლეს, სიტკბოებას, სიყვარულს და თანასწორობას
უდებდა სარჩულათ. უნდოდა, რომ დღევანდელი ქართ-
ველები დრო და ჟამის შესაფერათ ისე ამაღლებულიყვენ
ზნეობით, როგორც მისი წინაპრები ყოფილან ძველათ
და მაშინ შეკავშირებოდენ რუსებს. ვისაც თავისი თავი
სძულს, ის სხვასაც ვერ შეიყვარებს! ვისაც თავისი საკუ-
თარი ოჯახი არა რწამს, ის სხვის ოჯახს რაგორ-ღა იწა-
მებს და როგორ შეეთვისება? ეს ესმოდა ვარანცოვს და
ამიტომაც ურჩევდა ქართველებს: „გიყვარდეთ თქვენი ქარ-
თველობა, ნუ დაივიწყებთ თქვენს სასიქადულო წარ-
სულს, ნუ დაკარგავთ საკუთარ ფერ-ხორცს, ამაღლდით
სულით და გულით და მაშინ მხოლოთ, საკუთარ ეროვ-
ნებაში გამოპრძმედილს, შეგიძლიათ უტყუარი, უპირ-
ფერო ძმობა-მოყვრობა და გაუწყვეტელი კავშირით სა-
მუდამოთ რუსეთთან გადაბმაო. ნუ დაგავიწყდებათ, რომ
დღეიდან თქვენი მომავალიც ერთი უნდა იყოს და ის-
ტორიაც საზიაროო“. დაიჯერა ხალხმა, ჩაუდვა კალთაში
თავი და ვარანცოვიც შეუდგა საქმეს. მაღლა ასვლის
მოსურნე, უნდა ადიოდეს საფეხურიდან საფეხურზე სი-
ფრთხილითა და ფეხ მომარჯვებით. რადგანაც იმ დროს
მთის ხალხი მოსვენებას არ აძლევდა რუს-ქართველობას
და ხელს უშლიდა ცხოვრებაში, ამიტომ საჭირო იყო მა-
თი მოგერება და ვარანცოვმა მიმართა ქართველებს:
„დღეს ჯერ-ჯერობით ეს წვრილმანი მტრები უნდა ავ-
ლაგმოთ, რომ ხელს აღარაფერში გვიშლიდეს და დროს

არ გვაკარგვინებდენ უბრალო რამეებზე და მერე-კი უფრო გულ-დასმითა და დამშვიდებით დავადგეთ სწავლა-განათლების სწორ გზას, რომ მომავალი მოვიახლოვოთო!.. აბა, ჰე, შევესიოთ დაღესტნის კალთებსო!“ თქმა იყო და გაგონება! იგრიალეს ქართველებმა, აღარ დაიზოგეს თავი, მიადგენ დაღესტნის მთებს და არა თუ რომელიმე გვარი საქართველოში, თითქმის ოჯახიც არ დარჩენილა, რომ მსხვერპლი არ შეეწიროს. განა მარტო აქ?.. ნუ დაგავიწყდებათ ყირიმის ომი და ჩოლოქის ბრძოლა, სადაც გამოჩენილი გვარის-შვილებმა თავი დადვეს.

ვარანცოვი აქეზებდა მათ, აფასებდა მათ ვაშკაცობას, მაგრამ იმავე დროს არც სხვა საჭირო გზებს ივიწყებდა შორს გამჭვრეტი ადმინისტრატორი: შეჰყავდა ახალგაზდა ქართველები შკოლებში და უკეთესებს გზავნიდა უმაღლეს სასწავლებლებში. მაშინდელმა პედაგოგებმა შენიშნეს, რომ შკოლებში ისინი უკეთ სწავლობდენ და უკეთ ითვისებდენ რუსულსაც, ვინც დედა-ენა იცოდა და ქართულ წერა-კითხვაში ჰქონდათ გატეხილი თვალი; და ვისაც პირდაპირ უცხო ენაზე დააწყებინებდენ სწავლას, ისინი ჩამორჩენილი იყვენ და გონებაც უჩლუგდებოდათ. ეს რომ გაიგო ვარანცოვმა, ბძანა, რომ ქართველი ყმაწვილებისათვის ჯერ, პირველ ხანებში, დედა-ენა ესწავლებიათ და მერე გადაეყვანათ უცხოზე. დღეს რომ მესამოცე წლებს ჩვენში ქებით იხსენიებენ, დამერწმუნეთ, რომ ის ვარანცოვის ნათესია! მისი შორს გამჭრეტველობა საარაკო და სამაგალითო იყო.

— პრიკაზი! პრიკაზი! პრიკაზიო?—მიაძახეს აქეთ-იქიდან.

—ეგ ცარიელი სიტყვა და უბრალო ცილის-წამებაა— განაგრძო ხუთ-მანეთიანმა ოქრომ. პრიკაზი ვარანცოვზე ად-

რე იყო, როზენის დროსვე გადაწყვეტილი, ვარანცოვი ყუ-
რადღებასაც არ აქცევდა. თვითონ ქართველებმა მიჰგზავნეს
მუხრან-ბატონი: ნუ გვაპრკოლებთ, პრიკაზი გაგვიხსენითო!
ვარანცოვმა შორს დაიჭირა; ბევრიც ურჩია: ნუ გინდათო!
საუკუნოების განმავლობაში ხელში ფარ-ხმალის მეტი არა
გჭერიათ-რა, ბრძოლის ველზე ათენ-აღამებდით, ფული
ხელში არა გჭერიათ და თუ გჭერიათ, ისე, როგორც
ნივთი რამა... ჯერ მის მოხმარებას ნაჩვევი არა ხართ,
ყველაფერს მიჩვევა და შესწავლა უნდაო. მამა-პაპის სამ-
კვიდრო მამულს, წამებულთა სისხლით მორწყულს და
ძვლებით გაპოხიერებულს დაჰკარგავთ, დროზე რომ ვე-
ღარ შეიტანთ გარდასახადს და აღებულ ფულებს უპრა-
ლოთ გაჰფანტავთო. ამ გვარი რამე ბევრი უთხრა, მაგ-
რამ გამგონე სად იყო? თანაც მათ წყენას ერიდებოდა
და აღარ იცოდა, რა უნდა ექნა! ერთ დღეს მიიხმო
დიმიტრი ყიფიანი, ჯერ კიდევ ახალ-გაზდა კაცი, მაგრამ
შეგნებულათ ცნობილი, და უთხრა: უნდა პრიკაზი გავუ-
ხსნა ქართველებს, აღარ მეშვებიანო! მაგრამ ვეცდები
სხვა გზა მივცე. ზოგჯერ მკურნალები საწამლავს სამკურ-
ნალოთ ხმარობენ და მეც ისე მათ საკეთილდღეოთ გამოვი-
ყენებ პრიკაზსო. თქვა და კიდეც აასრულა. დაეხვიენ ბუზე-
ბივით ადგილ-მამულის პატრონები, დააგირავეს, გამოი-
ტანეს ფულები, გაფანტეს, მაგრამ დაკარგვით მაინც არა
დაჰკარგვიათ რა! მართებლობა მიზეზს ეძებდა, ის ვალი აე-
შორებია ქართველებისათვის და ვინც-კი მათგანი გააკე-
თებდა რასმე თვალ-საჩინოს რომელსამე ასპარეზზე, ჯილ-
დოთ პრიკაზის ვალს აპატივებდენ ხოლმე. ასე გასინჯეთ,
რომ ერთ მწერალს, აქა და ქართული ჟურნალის გამო-
მცემელიაო, ორჯელ შეაწიეს პრიკაზის ვალი. მასუკანაც
აგერ ნახევარ საუკუნეზე მეტია და ვისი რა გაყიდულა?

პირ აქეთ, პრიკაზი რომ არ ყოფილიყო და „აპეკუნობა“ არ გაეწია, დღეს აღარც ერთი ქართველი მემამულე აღარ იქნებოდა და მათი სამკვიდრო უცხოების ხელში გადავიდოდაო...

— ეგ დღემდი?.. დღეის იქით?— დაეკითხენ.

— დალოცვილო, ერთხელაც არის, ჭკუა უნდა ისწავლო. დაუსრულებელი არა არის-რა. პრიკაზზე რომ მაგრე ცხარობთ, რატომ დღევანდელ ბანკებზე-კი არას ამბობთ, რომ ერთ საათსაც არ აკლიან და ჩაქუჩებს უოტყმენ? თუ-კი ის შეიგენით, რომ პრიკაზი შეცდომა იყო მაშინ, დღეს იგივე შეცდომა რაღათ გაიმეორეთ და ხაფანგი დაუგეთ თქვენს თავს? არა, ყველაზე ითქმის საყვედური და ვარანცოვზე-კი არა! მისი შორს გამჭვრეტელობა აქამდი უწევს და დღესაც კიდევ სჭრის.

უხსოვარი დროიდან ქართველები შამოსეულ მტრების მოგერებას უნდებოდენ, საშინავოთ აღარ ეცალათ. ოჯახი ქალების ხელში იყო და ვაჭრობა ურიებმა და სომხებმა დაისაკუთრეს, რადგანაც ომში არაფერი გამოსადეგი იყვენ. ჩაესახლენ ჯგუფ-ჯგუფათ ქალაქებში გულდამშვიდებით და, ფარ-ხმალის მაგიერათ, სასწორ-საზომს ატრიალებდენ. იმოდენა ამქრობაში თითო-ოროლა ქართველი თუ გამოერეოდა და ისიც ნაცარ-ქექია. ერთხელ ვარანცოვს მოახსენეს, რომ ქალაქელ ვაჭრებში ამ ბოლო დროს ორიოდე ქართველიც გამოერიაო: სომხებთან ყოფილან ნოქრებათ, აღებ-მიცემობის ხელი შეუსწავლიათ და ვაჭრობენ თავისთვის ალალ-მართლადო. ვარანცოვმა მოიხმო ისინი, გამოჰკითხა მათი თავ-გადასავალი, მოუწონა, რომ ვაჭრობისთვის ხელი მიგიყვიათო და თანაც ამ გვარი დარიგება მისცა: სანამდი ვაშკაცობის დრო იყო, ქართველებისთანა სახელი ძვირათ ვისმე უნახავს!.. მაგ-

რამ ძველი დრო მისი მოთხოვნილებით ნელ-ნელა სუსტ-
დება და მომავალში, ადრე თუ გვიან, ფარ-ხმალის ადგი-
ლი სასწორ-საზომმა უნდა დაიჭიროს, რომ მეურნეობას
მხარი დაუჭიროს. აქამდი თუ სხვა-და-სხვა ერი ერთმანეთს
ცეცხლითა და მახვილით ესევოდენ, ამიერიდან საკმაო
იქნება აღებ-მიცემობით მოყვარულათ ერთმანეთთან მი-
სვლა-მოსვლა. ეს ახალი გზა ჯერ უცხოა ქართველებისა-
თვის და სისწრაფით ვერ გაიკვლევენ, რადგანაც ყოველი-
ფერს დრო უნდა შესასწავლათ და მისაჩვევათ. იმედია,
რომ ერთს დროს, როგორც ბუნებით ნიჭიერი და საზოგა-
დოთ შეგნებული ხალხი, ქართველებიც ფეხს მოიმაგრებენ
ამ თანა-მედროვე გზაზე და აღარავის ჩამოურჩებიან; მა-
გრამ ჯერ-კი არ ემარჯვებათ და ერიდებიან ამ საქმეს,
რადგანაც ვაჭრობა მოსატყუებელი და სინიდისის საწი-
ნააღმდეგო რამ ჰგონიათ. თქვენ გადაგიდგამთ პირველი
ბიჯი ამ ახალ გზისაკენ და ეცადეთ, რომ მათი შემცდა-
რი აზრი ვაჭრობაზე შეაცვლევინოთ და. თვალ-და-თვალ
დაანახვოთ, თუ რა წმინდა საერო და ქვეყნისთვის სასარ-
გებლო საქმეა აღებ-მიცემობა!.. დღემდი რაც უნახავთ, ის
კომერცია-კი არა, წვრილმანი ჩარჩობაა, მცარცველობა და
ქურდობა! ერთ გროშათ ნაყიდს რომ მანეთად გაჰყიდი,
დამპალ საქონელს რომ შეატყუებ, გასესხებულს ერთი
ასათ დაიბრუნებ, მით ქვეყანას ტყავს გააძრობ, გამოხ-
რავ და სისხლს გამოსწოვ,—რა უნდა დაგერქვას, თუ არ
ქვეყნის მტერი და ორგული? მე რომ ვაჭრობაზე გითი-
თებთ, ის სულ სხვა არის!.. გზა უნდა გაუკვალოთ სხვა
ქვეყნებისაკენ თქვენი ქვეყნის ნაწარმოებს, ბაზარი გა-
უკეთოთ და იქიდან სამაგიეროთ ის შემოიტანოთ, რაც
აქ თქვენს მხარეს აკლია, გაცვალ-გამოცვალოთ, გა-
მართოთ სხვა-და-სხვა გვარი ქარხნები, შემოიხვიოთ გარს

მუშები, თქვენც ისარგებლოთ და სხვასაც ასარგებლოთ. მაშინ, რაღა თქმა უნდა, ქვეყანაც სხვა თვალით დაგიწყებთ ყურებას და ვაჭრებისადმი სიძულვილს სიყვარულათ შეცვლის. ამ გვარ ვაჭრობას, პატიოსნებას გარდა, სწავლა-განათლებაც უნდა დაედვას სარჩულათ, უმისობა არ შეიძლება! და თქვენც ეცადეთ, რომ დროს შესაფერათ შვილები გამოზარდოთ. მანამდი-კი ივაჭრეთ სინიდისიერათ და მეც ყოველ შემთხვევაში ვეცდები, რომ ხელი შეგიწყოთ. აი, ახლაც სახელმწიფო იჯარაა გასაცემი და, თუ გინდათ, მე ვუბძანებ, რომ უპუბლიკაციოთ თქვენ გადმოგცენო.“ ვაჭრები მოწიწებით უგდებენ ყურს და მადლობას სწირავდენ. წასვლის დროს ვარანცოვმა თითო ოქრო ჩაუდვა ხელში ვაჭრებს და სიცილით უთხრა: „ბედნიერი ხელი მაქვს და მინდა, რომ ბედი დაგიკვეზოთო“. გაოცებული გამოვიდენ სასახლიდან ვაჭრები. ბიჭოს!— ეუბნებოდენ ერთმანეთს—დღემდი ასე გაგვიგონია, რომ დიდკაცს უნდა ერიდებოდე, უნდა გეშინოდეს მისი, ძრწოდე მის წინ, თვალს ვერ უმართავდე და, თუ არ გაგიჭირდეს, თოფის სასროლზედაც არ უნდა ეკარებოდეო! ეს-კი სულ სხვა ყოფილა: მამაშვილურათ მოგვექცა, მოძღვრულათ დაგვარიგა, ხელმწიფურათ დაგვასაჩუქრა და ისე გამოგვისტუმრაო. უკვირდათ და იმ დღიდან ვარანცოვის სათნო და ბრწყინვალე სახე თვალებში ჰქონდათ ჩარჩენილი და გულშიაც მის სიტყვებს სიყვარულით იმარხავდენ. მიჰყვეს ხელი ვაჭრობას და ნელ-ნელა კეთილსინიდისიერათ შეიძინეს საკმაო. არც არა სხვისთვის დაუკლიათ-რა და არც თავისთვის... შვილებსაც შესაფერი გზა მისცეს. ვარანცოვის ნაჩუქარ ოქროთაგანი ერთი მე ვიყავი და ჩემი პატრონი არ მელეოდა, ნატვრის თვალივით მინახავდა სახსოვრათ. დიდი ხანი არ არის, რაც

ვაჭრობას თავი დაანება სიბერის თუ სნეულების გამო და მეც აქ თქვენთან ამომაყოფია თავიო.“ ამ ხუთ მანათიან ოქროს მოთხრობას ჩვენ ყველა სულ განაბული ვუგდებდით ყურს... უცბათ რაღაც ხმაურობა შემოგვესმა, აეხადა თავი კიდობანს, ჩამოვიდა სინათლე და შევხედეთ, რომ ვიღაც ახალგაზდა ევროპიელი კაცი დაგვადგა თავზე. თურმე ჩვენი პატრონი მომკვდარიყო და საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ მის განათლებულ შვილს მიეღო მემკვიდრეობა. რომ დაგვხედა, თქვა: „ღმერთმა საუკუნო განმანათლებელ მისცეს მამაჩემს! მის დროსთვის კარგი რამ იყო, მაგრამ ამ ახალ დროს ველარ შეეფერებოდაო: შეძენა უფრო იცოდა მოხმარებაზედაო!.. ეს ამდენი ქონება რომ აქ ასე უხმარათ ჩაულაგებია, რა საკვებელიაო?!“ ამოგვიღო ყველა, გადაგვარჩია ქალალდები ცალ-ცალკე, ოქრო ცალკე, ვერცხლი ცალკე და იქითაქეთ გაგზავნ-გამოგზავნა ბანკებში. ხუთმანათიანი ოქრო აიღო ხელში, დახედა და თქვა: ეს ის უნდა იყოს მამაჩემს რომ დაცდილი ჰქონდა ვაჭრობაში და არ იშორებდაო. დღეს ამას მეც შესაფერი გზა უნდა ვუჩვენო და ყველას ის აჯობებს, რომ ამით ერთი წლის ჟურნალი გამოვიწეროო. თქვა და მაშინვე გაგზანა ის ჩვენი ენა-მჭევრი ოქრო „კრებულის“ რედაქციაში—გოლოვინის პროსპექტზე, მუხრან-ბატონის სახლში. ბოლოს მეც მომკიდა ხელი, გამსინჯა, გადააქნია თავი და ჩაილაპარაკა: „საწყალი ეს ქართული ფული, წმინდა ვერცხლია და მაინც არა აქვს გასავალი, მაგრამ მოვიხმაროო“. გამონახა ჩემი ტოლი კიდევ მეორეც, პერანგის სახელოებისათვის ღილათ გადაგვაკეთა და იმ დღიდან, ღამ-ღამობით თუ მოგვასვენებს, თვარა დღისით აღარ გვიშორებს, სადაც წავა, ჩვენც თან ვიახლებით. როგორც

განათლებულ კაცს, დიდი ოჯახების კარი ყველგან გაღებული დაუხვდება ხოლმე. ეუბნებიან: დათიკო, მოგბძანდი! დათიკო, დაბძანდი! რასა იქ? როგორა ხარო? ამდენ ხანს რათ დაგვივიწყეო? და სხვანი... თურმე ასე სცოდნია სიმდიდრესა და განათლებას, როცა ერთმანეთზე არიან ხოლმე გადაკავშირებული!.. მე-კი, მის გაუშორებელ მხლებელს, ვერავინა მხედავს და ყურადღებასაც არ მაქცევენ! მაგრამ მეც ის მინდა... ბევრი რამ დაფარული შევიტყვე ჩვენი დიდ-ოჯახების! მთელი თფილისის საიდუმლოები დღეს ჩემ ხელთ არის და, თუ ისურვებთ, გამოვაქვეყნებ ხოლმე ხან-და-ხან და ნუ შემრისხავთ თქვენს უმორჩილეს მოსამსახურეს ქართულ-თეთრს.

წვრილ-წვრილი ამბები და ნაკვესები

იმერეთის მეფემ, დიდმა სოლომონმა, ქაჯაიას ნაქვრივალის ცოლათ შერთვა მოიწადინა. დიდ-კაცობამ იუკადრისა: „ჩვენ აზნაურის ნაცოლარს ვერ გავიდედოფლებთო“. უარზე იდგა იოსებ გენათელიც—მეფე სოლომონის ძმა. კარის-კაცებმა უძაგეს მეფეს ქვრივი: ზოგმა მოახსენა, მახინჯიაო, ზოგმა—კოქლიაო, ზოგმა—ბრუციანიო, ზოგმა ყრუ და ზოგმა—ბებერია უკბილოო! მეფემ იფიქრა: რა ვქნა, მართალია კარგი ოჯახის შვილია ის ქალი, მაგრამ რომ ასე ყოვლად საჯაყი ყოფილიყოს, ის ყმაწვილი ქაჯია თავ-მომწონე კაცი იყო და არ შეირთავდაო!.. დაიბარა გიორგი იბაშიძე და გაენდო: წადი, ნახე როგორმე ის ქალი და, თუ გიყვარდე, კარგათ დამითვალიერეო! აბაშიძემ აასრულა მეფის ბრძანება. ქალი ჩინებული გამოდგა, მაგრამ ქვეყნის ყბაში თავის ჩაგდება ველარ გაბედა და მოატყუა მეფე: სხვების ნათქვამი იმანაც დაამოწმა. ერთხელ მეფე სანადიროთ ბრძანდებოდა. ააფრინეს ხოხობი, მიუტოვეს ქორი, მაგრამ ფრინველი თვალსა და ხელ შუა სადღაც მიიმალა. ეწყინა მეფეს და გამობრუნებას აპირებდა ქუთაისისაკენ, მაგრამ იმ დროს წადგა მის წინ ვიღაც ახალ-გაზდა და მოახსენა: „თქვენ რომ ხოხობი გაგიფრინდათ, აგერ გახლავთ ჩემს ეზოშიო“. მეფემ მისი ბაზიერებით შეაჭენა ცხენი, დაუწყო ძებნა, მაგრამ ხოხობი ვერსად ნახა!.. მერე მიიხედა სახლისკენ და სარკმელთან მოჰკრა თვალი ერთ შვენიერ ქალს. „სად არის, ბავშვო, ის ხოხობიო?—ჰკითხა

ახალგაზდას — მომატყუეო?—არა, ჩემო ხელმწიფეო — მიუგო ყმაწვილმა—ქაჯაიას გვარს მის დღეში მეფისთვის ტყუილი არ გაუბედნიაო!.. ის ხოხობი, თქვენ რომ გაგიფრინდათ, აქ გახლავთ, მაგრამ დარბაისლების ეშინია და იმალებაო... მეფემ გაიღიმა, ცხენი გამოატრიალა და გაუდგა გზას. დიდხანს აღარ გაუვლია, რომ ჯვარიც დაიწერა ქვრივზე. ერთ დღეს მოლხენით იყო მეფე; გარს დარბაისლები ეხვიენ და გიორგი აბაშიძეც მათ რიცხვში იყო. მეფემ ჰკითხა დარბაისლებს: „როგორ მოგწონთ დედოფალიო?“ კარისკაცებმა, რაც კი შეიძლებოდა, შეამკვეს დედოფალი და ცამდი აიყვანეს. მეფემ შეიკრა წარბები და თქვა: „მაშ, ადრე რაღათ მიძაგებდითო?“

— განაგონებით მოგახსენებდით და ერთგულებისათვის ნუ შეგვრისხავთო!.. მიუგეს ხმის კანკალით დარბაისლებმა.

— გიორგი აბაშიძე! შენ მაინც რაღას იტყვი? შენ ხომ შენი თვალითაც შეამოწმე და ისე მომახსენე, არ იცოდი, რომ ტყუილს არავის შევარჩენდი? ბძანა უფრო მრისხანეთ მეფემ.

— მე ტყუილი არ მომიხსენებია, ჩემო ხელმწიფევ! მიუგო თამამად აბაშიძემ.

— მაშ, ახლაც ისე გეჩვენება?

— ახლა მზეთუნახავი ბძანდება!..

— განა ეს შესაძლებელია?

— რატომ არა, შენი ჭირიმე? მამა თქვენი ალექსანდრე რომ მიიცვალა და სამეფო ხელში ჩაგივარდათ, მაშინ იმერეთი კოპლიც გახლდათ, ყრუც, ბრმაც და კბილებ-ჩაცვენილიც, მაგრამ დღეს-კი ყველაფერი კარგათ ესმის, შორს ხედავს, ფეხებზე მაგრათ დგას და კბილებიც ამოუვიდა, რომ მტრებს უკბინოსო... და, თუ მთელი

სამეფო ასე გამობრუნდა და გაკეთდა, რაღა გასაკვირველია ერთი უბრალო აზნაურის ნაქვრივალის თქვენს ხელში გადასხვაფერებაო?! მეფეს გაეცინა და სოფელი ჯოყოეთი უწყალობა.

მეფე სოლომონ მეორე ირაკლის შვილიშვილი იყო. არჩილ ბატონიშვილი რომ მიიცვალა, ობლათ დარჩა პატარა სოლომონ და დედა მისიც მეორეთ გათხოვდა, ანდრონიკაშვილს გაჰყვა ცოლათ. იმ დღიდან ქართლში იზდებოდა და, რასაკვირველია, ზნე, ჩვეულება, მიხვრა-მოხვრა და ქცევა სულ ამერული ჰქონდა. თავზედაც ყოველთვის ბოხოხი ეხურა, მაშინ, როდესაც იმ დროში, არც ერთი იმერელი უფაფანიკოთ არ გაივლიდა. იმერეთის ტახტზე დიდი სოლომონის შემდეგ დავით მეფე იჯდა. თვითონ მეფე დასაწუნი არ იყო, მაგრამ ცოლი ჰყავდა ცოტა ნაძრახი და მიტომაც იმერლებმა მოახსენეს ქუთათელის პირით: „ჩვენი ცოლები დედოფლის შემყურე უნდა იყონ და მისი მიმბაძავიო და მაგის ქცევა-კი მოსაწონი არ არისო!.. გთხოვეთ, რომ ან დედოფალი გაუშვათ და ან ტახტზე ხელი აიღოთო.“

მეფემ იუცხოვა ქვეშევრდომების ამ გვარი კადნიერება და გარისხდა. მოხდა ამბოხება და მეფე ტახტიდან გადააგდეს. მაშინ იახლენ დარბაისლები იმერეთიდან ქართლ-კახეთის მეფეს ირაკლის და თხოვეს: იმერეთი შეიერთეთ, პატარა სამთავროებსაც ხელი ჩაჰკიდეთ და საქართველო ისევ ძველ კალაპოტში ჩააყენეთო. მეფე ირაკლიმ, დარეჯან დედოფლის რჩევით, შორს დაიჭირა ეს საქმე და მოინდომა მისი შვილი-შვილის, სოლომონის, გამეფება იმერეთში. იმერლებმა რომ თანხმობა არ გა-

მოაცხადეს, ჯარი გაგზავნა ოცი ზარბაზნით საომრათ და ძალის დასატანებლათ. დაუშინეს კიდევაც იმერლებს, მაგრამ იმათ ხელი არ გამოუღიათ: ჩვენ ძმობასა და ერთობას ვითხოვდით და არა სისხლის ღვრასაო. ძალით გამეფებული სოლომონი ჩაუვარდა ხელში წერეთლებს და ბურთივით გაჰქონდ-გამოჰქონდათ. ხალხი დაემორჩილა თავის ბედს და თავის მხრით პატივსა და ერთგულებას არ აკლებდენ პატარა მეფეს, მაგრამ იმას-კი მაინც უფრო ამერლებისაკენ უწევდა გული, ყოველიფერი მათი ჰოსწონდა და სხვათა შორის ერთხელ, დაიჯინა, რომ იმერლებს სიტყვა-პასუხი არ უვარგათო და დარბაისლობას ვერ ახერხებენ ქართლელ-კახელებივითო.

— „ნუ გამიწყრებით და მაგაზე, მე თუმცა თვითონ იქაური ვარ, ვერ დაგეთანხმებითო! — მიუგო სოლომონ ლიონიძემ, მსაჯულმა. მეფე მაინც თავისას არ იშლიდა. „გამოვცადოთ, ბატონო, მაგაზე ადვილი რაღა არის? ერთი და იგივე რამ ჰკითხეთ იმერელსაც და ქართლელსაც და მათი პასუხიდან გაიგებთ სწორსა. მეფემ კბილის ტკივილი მოიგონა და ყბა აიხვია. შემოვიდა სვიმონ წერეთელი და, მოწყენით რომ ნახა ყბა ახვეული მეფე, შეჰკადრა: რა დაგმართნიათ, ბატონო? კბილები ამტკივდაო! — უპასუხა მეფემ. წერეთელი შეწუხდა და მოახსენა სანუგეშებლათ: არა გიშავთ რა, შენიჭირიმე, ქარს გაუკრავს და გადაგივლისო.

— კი, მაგრამ არ გიკვირსო? კიდევ ჰკითხა მეფემ.

— რა გასაკვირალია, შენი ჭირიმე? ეგ სულ თქვენი მოუსვენარობის ბრალია: აქეთ ხვანთქარსა ჰკბენთ და იქით ყეენსა და ან აქამდე როგორ შეგრჩა ეგ კბილებიო! იმ დროს იმერეთში მეფის კარზე სტუმრათ იმყოფებოდა ქართლელი თავადისშვილი, ამილახორი, და

ის შემოაყვანია მეფემ.—შესჩივლა კბილები მტკივავო. სტუმარს მართლა ეწყინა და თავის ქნევით მოახსენა: „მართლაო?.. აიპე! რა უსიამოვნო საქმე მოგსვლიათო!.. თავს ლაფი კი დავასხი მაგისთანა კბილებს... ი ოხერი სატკივარი, მაინცა და მაინც, თქვენთან რომ არ მოსულიყო, სხვას ვერავის გამონახავდაო?

— აკი მოგახსენეთ?! და ახლა რაღას ბრძანებთო? ღიმილით ჰკითხა სოლომონ ლიონიძემ.

მეფე სოლომონს ეწყინა და ბრძანა:

დარბაისლურ სიკრუეს, ისევ ტეტიური სიმართლე სჯობსო.

—

ერთი ფილოსოფოსი, ძველებური ჩვეულების მიხედვით, ვირზე იჯდა და ისე დადიოდა სოფლით-სოფლათ ხალხის დასამოძღვრებლათ. ერთხელ ღამის გასათევათ მექორწილეებს მიადგა კარზე. იცნეს და მიიწვიეს. სუფრაზე მეფე-დედოფლის სადღეგრძელო რომ დალიეს, ფილოსოფოსაც მიაწოდეს სასასმო და დაალევინეს ნუნუა. მეორე სადღეგრძელოზე უარი გააცხადა სტუმარმა: მეტი აღარ მინდა და ვერ დავლევო. აღარ მოეშვენ, ძალა დაატანეს და დაალევიეს. მესამეზე—ხვეწნა ვედრებით მიმართეს: მართალია, არ გინდა, მაგრამ პატივი გვეცოო!. შენიჭირიმე, შენ გენაცვალე, თუ გიყვარდეთო და სხვანი.. ფილოსოფოსმა ამდენ მახვეწარს ხათრი ვეღარ გაუტეხა და ძალა-უნებურათ კათხას-კათხაზე სცლიდა. ისე მოეკიდა ღვინო, რომ იქვე უგრძნობლათ სუფრას ქვეშ გაგორდა. მეორე დღეს რომ გამოეღვიძა, შერცხვა: ეს რა მომივიდაო? შეჯდა ჯორზე და

გამოიპარა შინისკენ. გზაში ერთ პატარა მდინარეს მიადგა. მწყურვალმა ვირმა რომ წყალი ნახა, დაღუნა თავი და იმდენი სვა, სანამდი გული არ იჯერა. მერე კი აიღო თავი და გაჩერდა. პატრონმა უთხრა: „დალიე კიდევო!“ ვირი არ გაინძრა. „დალიე გიბრძანებო!—შეუძახა. ვირმა მხოლოთ კუდი გაანძრია და ყურები გააპანტურა. გადმოხდა მხედარი, დაუჩოქა და შეეხვეწა: თუ გიყვარდე, შენიჭირიმე, შენ გენაცვალე, თუ ჩემი ხათრი გაქვს, დალიეო. ვირი არ ინძრეოდა, ყურადღებასაც არ აქცევდა პატრონის ხვეწნა-ვედრებას. მაშინ ადგა ფილოსოფოსი და დიდი მოწიწებით თაყვანი სცა ვირს და მოახსენა: ვირი მე ვყოფილვარ, რომ სხვებს ავჰყევი და, რაც არ მინდოდა იმაზე მეტი დავლიე,—შენ კი ფილოსოფოსი, რომ ამდენი ხანი გეხვეწები და ვერ გადმოგიყოლიეო.“

გამოცანები

1

თავ ახალი,
ტანი კი ძველი,
ფეხები მრუდე,
გამკრავი ხელი.

2

„ფულ“ და „ჟამანაკ“
„ტერ-ვოლორმია“!..
მთლად საქართველო
ჩემთვის მიყმია.

3

მკბენარ-მკბენარ, მწოვარ-მწოვარ,
ტანზე მჯდომი კირაკუზა,
განსაცდელში რომ ჩავარდა,
შეშინდა და მოიკუზა;
მათხოვრობას ხელი მიჰყო,
ჩემ კარებზე აეტუზა,
შემებრალა, შინ შევუშვი,
ყოლიფერი დაუხვდა მზა.

რომ გამოძღა-გასისინდა,
აიყოჩა, აიგრუზა!..
სახლ-კარს მართმევს, კარში მაგდებს...
დამიხლართა სავალი გზა!..
რა არის მისი წამალი?
ბრაგი-ბრუგი, „ბუზა-ბუზა“!..
და ვინც ამას გამოიცნობს,
მისი იყოს ჩემი მუზა.

———

ჩემი თავ-გადასავალი*)

ყოველი არსი, სულიერი თუ უსულო, ხილული თუ უხილავი, ერთსა და იმავე მსოფლიო კანონს ექვემდებარება: დაიბადება—იზრდება, დაბერდება—კვდება!.. წყალი რა არის?.. წყალი!.. უბრალო მდინარეც კი ვერ ასცდენია ამ საყოველთაო წესსა და რიგს: დაიბადება თუ არა, ე. ი. თავს იჩენს თუ არა სადმე მივარდნილ მთის

---

*) დღეიდან შევუდგებით ჩვენი „კრებულის“ მეორე განყოფილებაში „ჩემი თავ-გადასავალის“ ბეჭდვას. ამ ნახევარ საუკუნის გინმავლობაში რაც ჩვენი თვალით გვინახავს და ან რაც სარწმუნოთ გაგვიგონია, ყოლიფერს მოვიხსენიებთ იმდენათ, რამდენათაც ნებას დაგვრთავს ჩვენგან დამოუკიდებელი გარემოება. ამასთანავე შიგა და შიგ ჩემი ძველი ნაწერებიც იქნება ჩართული. ადრევაც მოვიხსენიე და ახლაც ვიმეორებ, რომ საზოგადოთ მე ხელოვნებას დიდ-ყურადღებას არ ვაქცევდი და ისე მიმაჩნდა მწერლობა, როგორც ერთი უბრალო იარაღთაგანი დღიურ ავ-კარგიანობის საბრძოლველ-სასამსახუროთ.

თუ რამე ხელოვნური გამოგვსვლია ხელიდან, ეს ძალაუნებურათ და შემთხვევით მომხდარა, თვარა ის ჩემ დღეში არა მქონია ფიქრათ, რომ მომავლისათვის ვწერო-მეთქი. ამიტომაც უმეტეს ჩემ ნაწერს დღეს იმ დენათ დაკარგული აქვს მნიშვნელობა, რამდენათაც დრო და ჟამი იცვალა და მხოლოთ მაშინ იგულისხმება, როცა მოვიხსენიებთ იმ გარემოებას, რასაც გამოუწვევია ჩემის მხრით რომელიმე გვარი მწერლობა. თვითონ ჩემთვის და ჩემი მწერლობისათვის არაფერი სასარგებლო იქნება ესეები ყველა, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ამითი უფრო დახასიათდება ის დრო და მოვლენა, რომელიც მე მსურს მკითხველებს ვავუთვალისწინო.

კალთაზე, მაშინვე იწყებს ჟონვას ნელ-ნელა ახალ ფეხ-ადგმულ ბავშვივით, დაუყვება დაღმართს, თანდათან იზ-რდება, ფეხს იკიდებს, სანამ წკრიალით არ ჩაცუნცულ-დება რომელსამე ხევში, სადაც როგორც აღვირ-უსხმელი, სისხლ-ჭარბი, თავ-მომწონე და შეუპოვარი, სანავარდოთ გამოსული ჭაბუკი, აღარავის ეკრძალვის... აღარაფერს ერიდება: მირბის და მიხტის ღრიალ გრიალით!.. უძრავ ქვებს თავზე ევლება და კლდოვან კიდეებს თავ-გამეტე-ბით აქეთ-იქით ეხლება, რომ გაგლიჯოს და გაიტანოს მისი მოწინააღმდეგე!.. მაგრამ, ვერ შემძლები ამისი, ზა-რითა და ზეიმით ჭალებისკენ მიექანება. აქ-კი გაგულ-დიდებული, ღრმა კალაპოტში ჩამჯდარი და გულ-სავსე, ვაშკაცური მედიდურობით, მშვიდობიანათ ტალღებს ტალ-ღებით მიაგორებს!.. მიდის, მიშხუის, ზღვისაკენ თავმიცე-მული, შორი გზით მიმავალი, და რაც უფრო და უფრო უახლოვდება აუცილებელ სავანეს, თანდათან იჩენს აუჩ-ქარებლობას, როგორც მოხუცი, და ბოლოს კიდეც შე-ჩერდება ერთი-შეჩერება... ტბორაეს, თითქოს უნდა, რომ უკანასკნელათ ერთი კიდევ მოიხედოს უკანვე, თვალი გადაავლოს თავის წარსულს, ფერადათ გავლილ შორეულ გზას, და მერე-კი საუკუნოთ ჩაინთქას... ჩაიღუპოს ზღვის უფსკრულში!..

მიყვარს საზოგადოთ ბავში, უგულითადესათ პატივსა ვცემ მოხუცებულობას, ღირსეულათ ვაფასებ ვაშკაცო-ბას, მაგრამ გული-კი ჭაბუკობისაკენ მიმიწევს და ყვე-ლაზე უფრო იმას შეფრქვევით ვეტრფიალები!..

ალბათ ამის მიზეზი უნდა იყოს, რომ წყლებშიაც ყოველგვარ მდინარეს გიჟმაჟი ხევის წყალი მირჩევნია და მათში-კი უპირატესობას ერთ მათგანს, ჩიხურას, ვაძლევ: ის იყო ჩემი საკუთარი ემბაზი და ჩემი პირველი სარკე.

სუ̈ორეთ ამ ჩიხურის პირათ, მაღლობზე, დგას ორსართულიანი ქვითკირის სახლი. ამ უშნო შენობას სიმაღლე პატარა კოშკისა აქვს, სიგრძე დარბაზისა და სისქე—ლიხის, მაგრამ არც ერთ მათგანს კი არა ჰგავს!.. აი, ამ სახლში დავბადებულვარ მე 9 ივნისს, განთიადისას 1840-ში, თუმცა ნათლობის მოწმობაში-კი 1841-თი მიწერია. ნათქვამია: ადამის შვილი, გაჩნდება თუ არა ქვეყნად, მისი ბედის ვარსკვლავიც მაშინვე ცაზე იჭედება, წინასწარის ზედ წარწერითო! თუ ეს მართალია, ეჭვი არ არის, რომ ჩემს ვარსკვლავზედაც შემდეგი შაირი წერებულა:

ერთი რამ ცხოველი არის,
ხმას აწვდენს შორით შორსაო,
თავისთვის ჩოჩორს აკეთებს,
სხვისთვის კი კაი ჯორსაო.

—

იმ თავითვე, დავბადებულვარ თუ არა, ვაჟის შეძენით გახარებულს მამა ჩემს დიდი ხნის გარისხული და სასახლიდან გაგდებული შინა ყმა შეურიგებია და მე-კი ბებიას მაშინვე გავულახავარ. აი, როგორ მოყჰვებოდა ხოლმე ამ ამბავს გაზეპირებულ ,,მამაო ჩვენოსავით'' ცხონებული გადია ჩემი: ,,ვენაცვალე ჩემ კაკოს! (ბავშობისას კაკოს მეძახდენ). ამის დაბადებაც სულ სხვანაირი იყოვო: დაიბადა ერთი რაღაც დათვის-ბელა, ბამბის-ქულა და ისე გაეკმიდა სული, რომ კრინტს არა სძრაედაო! ეს თურმე იმას ჰფიქრობდა: საიდან სად მოვეკდიო? და ბებიას-კი გულ-შემოყრილი ეგონა და ჩქმეტა დაუწყო!.. ერთი ორი კიდეც შემოუცაცუნა ხელი და ძლივს ხმა ამოაღებინაო!.. ვის უნახავს ამის ტირილი? სულ იცინოდაო.''

ამას სხვებიც ამბობენ. დიაღ, სულ თურმე ვიცინოდი

და ამ სიცილს ერთი კარგი უსიამოვნობაც მოუხდენია: ერთხელ ჩამოსულა ჩვენსა მეზობლების გამდელი და, მომ-ცინარი რომ უნახავარ, უთქვამს: ,,ვუიმე!.. ჩემი გაზდილი ნუ მომიკვდება, ეს ბავში ისე იცინის, რომ სწორეთ სულელი გამოვაო‘‘!.. ჩემ გამდელს სწყენია ეს და უპა-სუხნია: ,,როგორ თუ სულელიო?! ანგელოზია და ანგე-ლოზებს შეცინის... იმათ ეთამაშებაო!.. სულელები ზოგი თქვენსკენ მოიკითხეთო‘‘ და სხვანი!.. წალაპარაკებულან და სცემიან ერთმანეთს. ჩვენს გამდელს ჩვენი მოსამსახუ-რეები მოხმარებიან, მეზობლისას—მათი; ბოლოს ქალბა-ტონებიც ჩარეულან (რასაკვირველია ბზოლოთ სიტყვითა და მუქარით, და არა საქმით). ამ ამბავს მიუწევია ვაჟბა-ტონებამდინაც და ჩამოვარდნილა ორ ოჯახ შუა დიდი უსიამოვნობა. აღარც, თურმე, ეკარებოდენ ერთმანეთს და აღარც ხმასა სცემდენ!.. მხოლოთ თევდოროობის კვირაში, ზიარების წინეთ, ოქროპირ, მღვდლის რჩევით შერიგებუ-ლან და მაშინაც კიდევ მამა ჩემს სოფელში კაცი გაუგ-ზავნია და შეუთვლია ძიძისათვის: ,,აქ გამომგვარე ჩემი ხითხითა ბიჭუნა, რომ მეზობლებმა ნახონ და მტრებს თვალები დაუყენოვო!‘‘ გამოვუყვანივართ, მაგრამ წარ-მოიდგინეთ ყველას გაკვირვება, რომ ,,ხითხითა ბიჭს‘‘, ჩვეულების წინააღმდეგ, ერთი ღიმილიც არ მოსვლია, ისე თურმე ვყოფილვარ გაბრუებულსავით.

აქ ცხადია, რომ სოფელში ნამყოფ ათი თვის ბავშს სასახლეში ყოლიფერი მეუცხოვებოდა და გაშტერებული ვიქნებოდი, მაგრამ ასე არ გაუგიათ და არ აუხსნიათ ჩვენებს!.. იმათ უფიქრნიათ: ეს სწორეთ შურისა და სი-ხარბის საქმეა, თვალი ჰკრეს, გაღალესო და ისევ საჩქა-როთ დავუბრუნებივართ სოფელში. ძიძასაც გზაზე ერთ ვიღაც მკითხავთან გაუვლია, გამოულოცვინებია... შეუ-

ბამთ ჩემთვის ყელზე ღინჭილა, მწარე-ბალი და მიუ-ყვანიეართ სოფელში— შინ. იქ, რასაკვირველია, მოიბრუ-ნებია გული და ისევ დამიწყია სიცილი. ჩემი ძიძა დარ-წმუნებულა, რომ სწორეთ გასჭრა შელოცვამ, გამობრუნ-და ყმაწვილი, ახლა აღარა უჭირს-რაო და მახარობელიც უფრენია სასახლისაკენ.

,,ძიძაობა'' და ყმაწვილის სოფელში გაბარება ის-ტორიული ჩვეულება იყო ჩვენს ქვეყანაში: მეფეები და მთავრები ერისთავებს აბარებდენ და აზრდევინებდენ თა-ვის შვილებს, ერისთავები და დიდებულები—აზნაურებს და აზნაურები-კი გლეხებს; უფრო ხშირათ თავადებიც გლეხებს აზრდევინებდენ! ნუ გგონიათ, რომ მაშინდელი მშობლები უგულო ყოფილიყონ და შვილები დღევან-დელ დედებზე ნაკლებ ჰყვარებოდეთ!.. აქ სულ სხვა მი-ზეზი და საფუძველი იყო: ეს გაზდილ-გამზდელობა აკავ-შირებდა ერთმანეთთან სხვა-და-სხვა წოდებას. გარდა ნა-თელ-მირონობისა, თითქმის სისხლ-ხორცობა არ მიაჩნდათ ისე მტკიცე კავშირათ, როგორც გამზდელ-გაზდილობა. არა თუ ძიძის შვილები და მათი ახლო მონათესავენი, მათი შორეული მოყვრებიც კი მზათ იყვენ ყოველ შემ-თხვევაში თავი დაედვათ გაზდილის გულისათვის და გაზ-დილ-ც მარად ექომაგებოდა ამ ხალხს და მისი ბრალია, რომ ამ უკანასკნელ საუკუნემდე ჩვენს ქვეყანაში უფრო კაცური და კეთილი განწყობილება იყო მაღალ და და-ბალ წოდებას შუა, ვიდრე სხვა ქვეყნებში. რა თქმა უნდა, რომ ამ გონიერული ჩვეულების მიზეზი იყო სო-ფელში ჩემი გაბარებაც. და კურთხეულიმც იყო ეს ჩვეულება!.. არ შემიძლია, არ გამოვტყდე, რომ თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალო-

ბით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხ-ბის შვილებთან ერთად ვიზდებოდი.

საწერეთლოში, ზემო იმერეთში, ბევრი კარგი სოფელია და მათ რიცხვში ურევია სავანეც, ის სოფელი, სადაც ჩემი ძიძა ცხოვრებდა და მე ვიზრდებოდი. როგორც სათვალდათვალოთ, ისე ჰაერის სიკეთითაც ის საუცხოვო რამ არის და მიტომაც დაურქმევიათ ,,სავანე'', ე. ი. მოსასვენებელი ადგილი. საჩხერეზე შორს არ არის; ჩვენი სახლიდან ნახევარი საათის სასიარულო თუ იქნება. აქ ავიდგი მე ფეხი, აქ ამოვიდგი ენა და აქედანვე იწყება ჩემი მახსოვრობაც. თვალ წინ მიდგია ისლით გადახურული ხის სახლი წინა და უკანა კარებით, უფანჯრუსარკმლო, მხოლოთ ორი საკვამლურით, ანუ საფაფურით, საიდანაც კვამლი გადიოდა და სამაგიეროთ სინათლე შემოდიოდა. შუა კერაზე, მხართეძოზე წამოწოლილი, დევივით, იდვა დიდი უძარ-მაძარი ჯირკვი და გაუსხლეტლათ ზამთარ-ზაფხულ ცეცხლი გუზგუზებდა. გლეხის ოჯახი დილიდან საღამომდე სულ მოძრაობაშია, საქმე არ გამოელევათ და ამიტომაც ბავშების გრძნობა-გონება სუყოველთვის გართულია. კაცები დილითვე ადრე მიდიან სამუშაოთ ყანებში, თუ ტყეში, სადილი და სამხარიც იქ მიუდით და დაღამებამდე ძვირათ ბრუნდებიან სახლში. ქალები-კი საოჯახო საქმეზე ტრიალობენ. მათ ხელშია საქონლის მოვლა, ფრინველების პატრონობა, სახლის დაგვა-დასუფთავება, სადილ ვახშმის მზადება და მრავალი სხვა საწვრილმანო რამეები. ბავში რომ თვალ-ყურს ადევნებს იმათ მუშაობას, თვითონაც ძალა-უნებურათ მონაწილე ხდება და სწავლობს. ხუთი-ექვსი წლისამ მე ძალიან კარგათ ვიცოდი, თუ როგორ უნდა პირუტყვის ყურისგდება, ფრინველის მოვლა, სადილ-ვახშმის მზადება, გაც-

რა-გამტკიცვა, გამოცხობა, სხვა-და-სხვა გვარ შეჭამადის მომზადება და სხვანი. შესწავლილი მქონდა, თუ როდის და როგორ უნდოდა: ხვნა-თესვა, თოხნა, მკა, სხვლა და სხვანი, ასე რომ, ჩემი შესაფერი ხელ-საწყო რომ მქონოდა, ყველაფერს მოვახერხებდი; არ ვიცოდი მხოლოთ წინდა-პაიჭის ქსოვა და კერვა და ისიც მიტომ, რომ ამბობდენ: ,,ქალის ხელ-საქნარი კაცისთვის დიდი ცოდვა არისო'' და მეც მეჯერა. მჯეროდა, მაგრამ ჩუმათ მაინც გავტეხე ცოდვა და ვისწავლე მატყლის ჩეჩვა და ბამბის პენტვა. აი, როგორ მოხდა ეს: ჩემი ძიძის შვილი, რომელიც ჩემთან ძუძუ-შენაწოვარი და ჩემი კბილა იყო, არასოდეს არ მშორდებოდა, სულ ჩემთან იყო. ერთხელ ავდრიანი დღე იყო და ქალებმა რომ ყანაში მუშებს სამხარი წაუღეს, ჩვენ შინ დაგვტოვეს, თან აღარ წაგვიყვანეს. გვეწყინა, მაგრამ რაღას ვიზამდით? დავრჩით მარტო,—მოგვეწყინა. ჯერ დანასობია ვითამაშეთ, მერე კენჭობია, მაგრამ მაინც ვერ გავერთეთ, რადგანაც ამ გვარი სათამაშოები მოწყენილი და მობეზრებული გვქონდა. ძიძის შვილმა მითხრა: ,,მოდი, ერთი, ბაბუას წვერები დავუჩეჩოთო!'' ჩამოიღო საჩეჩელი, მოიტანა მატყლი და დაუწყო ჩეჩვა, თანაც ასე იძახოდა: ,,ასე დაეჩეჩოს ბაბუას წვერებიო''. ეს ძალიან მომეწონა და მეც მივბაძე. დიდხანს ვერ ვახერხებდი ჩეჩვას; ორჯელ-სამჯელ საჩეჩელის ჩხირები მეჩხვლიტა, მაგრამ მაინც თავი არ დამინებებია. ვინ იყო ის ბაბუა, ან რას ვერჩოდით? ეს წარმოდგენილი არცერთს არ გვქონდა, მაგრამ ძალიან აღტაცებაში მოვყავდით ამ ბაბუას წვერების ჩეჩვას, ასე რომ თითქმის დავიქანცეთ... ბოლოს ისევ ძიძიშვილმა თქვა: „კმარა ამდენი ჩეჩვა, ახლა გავპენტოთ და ქარს გავატანოთ ბაბუას წვერებიო''. ჩამოიღო ლარი, მოიტანა ბამბა და

დაუწყო პენტვა. თან პენტავდა და თანაც ლარის ბაგა-ბუგის ხმაზე ბუქნას უვლიდა. მეც, რასაკვირველია, გავიმეორე მისი ნამოძღვრალი და ისე შეგვიყვარდა ეს „ბა-ბუას წვერის“ თამაში, რომ შემდეგში, როგორც-კი გავიგულებდით სადმე ქალებს, სულ ამას ვთამაშობდით და ისე კარგათაც-კი შევისწავლეთ საჩეჩლ ის და ლარის ხელი, რომ ქალებიც ველარა გვჯობნიდენ. ძალიან ვფრთხილობდით, რაც-კი შეგვეძლო, მაგრამ ერთხელ მოგვასწრეს ქალებმა და ჩემმა ძიძამაც ჩამოიკაწრა ლოყები: „ვუიმე! რა გიქნიათ ეგ, შვილებო? ეგ ხომ დიდი ცოდვა არის?.. ქალების ხელსაქნარი რა თქვენი საქმეაო?.. და მერე ბატონებმაც თუ გაიგეს სასახლე'ში,—რას იტყვიანო?“ იმ დღიდან გვიმალავდენ ლარსაც და საჩეჩელსაც, მაგრამ გვიან-ღა იყო. ყმაწვილის გრძნობა-გონება მოუსვენარია, ყოვლ წუთს მოძრაობაშია, მაგრამ ფეხ-მოუკიდებელი კი არის, დიდხანს ერთსა და იმავე საგანს ვერ შერჩება. ერთ-გვარობა და ერთ-ფერობა მალე ჰბეზრდება და საგნიდან საგანზე გადადის: ამიტომ ოთახში ყოფნა ეზარება, რადგანაც, რაც-კი ოთახში რამ არის, ყველაფერი ნაცნობია მისი, თვალი შეჩვეული აქვს, და ველარ ართობს მის გრძნობა-გონებას. ის გარბის მინდვრათ ცა და მიწას შუა, სადაც სანახაობა მრავალ-ფერი და უთვალავია მისთვის. შინ დარჩენა ჩემთვისაც, რასაკვირველია, დასჯა იყო, მიყვარდა ხოლმე ყანებში სიარული, სადაც მუშები იმღეროდენ, მაგრამ დიდხნობით ვერც იქ ვრჩებოდი, რადგანაც მე თითქმის ყურადღებას არავინ მაქცევდა, თავის საქმეზე იდგენ. ვინ არ იცის, რომ ყმაწვილის ბუნება თანაზიარია, ყოველთვის სურს, რომ თვისი გულის პასუხი სხვებსაც გადასცეს, შეატყობინოს ხოლმე და ეს მხოლოთ შეუძლია თვის ტოლ-ამხანაგებთან.

ხშირათ, როდესაც ყმაწვილი ველარა ჰხედავს ტოლ-ამხანაგს, უსულო საგნებს ესაუბრება ხოლმე... ქვას, ხეს, ყვავილს ბალახს და სხვა.. პირუტყვებთან ხომ რაღა! ისე სიამოვნობით მუსაიფობს ხოლმე, რომ მეტი აღარ შეიძლება!.. მხოლოთ დიდებთან ვერ ახერხებენ ყმაწვილები სიტყვა-პასუხს და გულს არ უხსნიან მათ!.. და ეს კი თვით უფროსების მედიდურობისა და აუყოლელობის ბრალია. ცხადია, რომ მეც ამიტომ ვერ ვრჩებოდი დიდხანს ყანაში მუშებთან. მაგიერათ სამწყესურში წასვლა, მინდვრად და ტყეში, და იქ დარჩენა ჩემთვის სამოთხეში შესვლა იყო. გათენდებოდა თუ არა, უქუდო, ფეხშიშველა გავრბოდი მწყემსებისაკენ და დაღამებამდი იქა ვრჩებოდი. ყმაწვილი, რომელიც-კი სოფელში არ გაზდილა, ბუნებაზე სრულიათ მოსხლეტილია. ის არის მოკლებული უპირველესს ბედნიერებას. ქალაქში გაზდილ ბავშს, გენიოსიც რომ იყოს, მისი მასწავლებელი სიტყვით და ნახატებით ისე ვერ გააცნობს ბუნებას, როგორც სოფლელი იცნობს თავის საკუთარი ნახულობით. სოფლელს თვალ წინ უდგას ყოველთვის ბუნება მისის სხვა-და-სხვა ფერობით, გაცნობილი ჰყავს ყოველ გვარი ოთხფეხი, ფრინველი, ქვემძრომი, მწერი, მცენარე და იცის მათი ზნე და ჩვეულება; ყველა მის თვალწინ იბადება, იზრდება, იშლება, იფურჩქნება, აჰყვავდება, მოაქვს ნაყოფი და კვდება,—ყველა მათგანის ჭირისა და ლხინის თანამოზიარეა და ამიტომაც ეთვისიანება მათ. რომელ მხატვრობას შეუძლია გადასცეს ბავშს ის, რასაც სოფელში მყოფი თავის თვალით ჰხედავს? ავიღოთ, თუ გინდა, სულ უკანასკნელი: აი, მოდის, მოღრუჩუნობს დედა-ღორი და მას ცქრიალით უკან მისდევენ პატარ-პატარა ჭყივილა გოჭები. ძუძუს ეხვეწებიან... დედა მიდის ჩრდილში სად-

მე და წამოგორდება მხარ-თეძოზე: მისცვივდებიან შვილები და მიეძაბრებიან ძუძუებს; სიამოვნების ნიშნათ აქიცინებენ პატარა გადაპრეხილ კუდებს და დედაც თვალ-დახუჭული დაჰხარის. დაღრუჩუნებს მათ... აგერ, კრავები კუნტრუშობენ, თიკნები დახტიან... გოჭები ჭიდაობენ, კვიცები კოტრიალობენ და სხვანი—სულ მრავალ ფერობა და სხვა-და-სხვა სანახაობა... უყურებს ბავში და თვითონაც, გულ-შექნილი, ხტის და თამაშობს!.. ამაებს ყველას მოკლებულია ქალაქელი. ,,გიმნასტიკაო''—მეტყვით!.. მაგრამ გიმნასტიკა მხოლოთ ტანჯვაა ბავშის და სხეულის ჯორჯვა. სხვადა-ხვა ნაწევრებს ადამიანის გვამისას განა ერთი და იგივე მოთხოვნილება აქვს?.. მე ეგება მარტო ფეხი მინდა ვავარჯიშო და იმ დროს ხელი შევასვენო. ყველაფერს თავისი დრო აქვს და ამ დროს თვითონ ბუნება უფრო უტყუვრათ უჩვენებს. გიმნასტიკის დროს - კი, წინაალმდეგ ჩემის მოთხოვნილებისა, უნდა მხოლოთ სხვის ბძანებით ვიმოძრაო. მაგალითად, მე, როცა სირბილი მინდა, ის გამაჩერებს ერთ ადგილზე, მომცემს ხელში მძიმე რკინებს და, გინდა თუ არა, ხელები ავარჯიშეო... ხელოვნებას შეუძლია, რომ დაიმორჩილოს, ე. ი. დაამახინჯოს ბუნება, მაგრამ, რომ შეცვალოს და თავისი სურვილით ვითომ გააუკეთესოს, არა მჯერა. აბა, წარმოიდგინეთ ერთი მხრით თავისუფალი, შველივით მონავარდე, სოფლელი ბავში და მეორე მხრით დაჩანჩურებული ქალაქელი ყმაწვილი!.. ფეხსაცმელი უჭერს და მაზოლები სტანჯავს... გამოსუდრულა ტანთსაცმელში, საძრაობა აღარა აქვს; ეუბნებიან: ჭკვიანი იყავი, რაც ჩვენ გირჩიოთ, მხოლოთ ის იკისრე შენცო!.. იმ საბრალოს ერთი გაკოტრიალება ქვეყანას ურჩევნია, მაგრამ განა გაბედავს, რომ ტანისამოსი დასვაროს?.. იზრდება ბძანებით მომავალი ჭლექი და მუმია.

ქართველების ოდენი სხვა-და-სხვა გვარი სათამაშო თითქმის არც ერთს ხალხს არა აქვს და ყოველგვარი სათამაშოც უთუოთ მისთანაა, რომელიც ჭკუა-გონებასი და სხეულს წვრთნის, ავარჯიშებს. ყველას არ ჩამოგითვლით აქ, რადგანაც შემდეგში კიდევ მექნება მათზე მსჯელობა განსაკუთრებით და დავასახელებ მხოლოთ „ბურთაობ:ს“. აბა, რომელი გიმნასტიკა შეედრება მას!.. ბურთაობის დროს თვალი, ფეხი, ხელი, თავი, ტანი და ყოლიფერი თანასწორ:თ ეჩვევა სიმარდეს. ქართულ სათამაშოებს ბავშები თავის ხელით აკეთებენ, მაგალითად, ტაფარიკს თვითონ გამოჭრიან ხოლმე, შვილდ-კოდალს— იკეთებენ... ბურთს თავის ხელით ამზადებენ და ეს შრომა კიდევ უფრო აყვარებს პატარა პატრონს თავის საკუთრებას!.. ნაყიდი სათამაშოები და მუქთათ ნაშოვნი ტიკინები ქალაქებში მუქთა-ხორობას აჩვევენ ყმაწვილებს და უფრო უფუჭებენ ხასიათს. ეს მე ჩემ თავზე გამომიცდია! სხვისი გაკეთებული და ნაყიდი სათამაშოები არაფრათ არ მიმაჩნდა და ჩემსას კი ვუფთხილდებოდი ხოლმე. პატარაებს უყვართ დიდების მიბაძვა და მეც რომ ხუხულა - სახლებსა და ბელელ - სასიმინდე - წისქვილებს ავაშენებდი ხოლმე, —ჩემს სიამოვნებას საზღვარი აღარ ჰქონდა. თავი მომქონდა, რომ მე თვითონ ვაკეთებდი. აბა წარმოიდგინეთ სოფლელი ბავში, რომელსაც თავის ხელით გაკეთებული ბურთი ხელში უჭირავს და თავისუფლათ გაჰკრავ-გამოჰკრავს ხოლმე ხტუნვითა და სირბილით და შეუდარეთ ქალაქელს!.. იმ საცოდავს უჭირავს ხელში ძაფზე გამობმული ბუშტის ბურთი და შიშით ვეღარ ინძრევა, არ გამიფრინდესო... რომ სიტყვა აღარ გავ:გრძელო, მოკლეთ ვიტყვი, რომ სოფელში გაზრდილ და

და ქალაქში მყოფ ბავშებს შუა ისეთი განსხვავებაა, როგორიც ნამდვილსა და მის აჩრდილს შუა ეს უბედურება ბედმა თავიდან ამაცდინა მე და ექვსი-შვიდი წლის ნამდვილი ბუნების შვილი ვიყავი: ტან-მრთელი, მალხაზი, კეთილი, ყველას მოსიყვარულე და თავისუფალი, როგორც სამოთხის შვილი. დიაღ, სანამდი სოფელში ვიზრდებოდი, სრულიათ ბედნიერიც ვიყავი, თუმცა ხან-და-ხან კვირაში ერთხელ თუ ორჯელ ჩემს ბედნიერებას შეაფერხებდენ ხოლმე სასახლიდან ჩემ სანახავად გამოსულები.

„დღეს ბატონები გამობრძანდებიანო!“ — იტყოდა ხოლმე ჩემი ძიძა: გამეშმენდდა, გამმბანდა, მომრთავდა, თითქოს სადღესასწაულოთ, და აღარ გამიშვებდა გარეთ. მართლაც იმ დღეს გამოვიდოდენ ჩემ სანახავათ დედ-მამა დიდი ამბითა და ამალით, ისე, როგორც-კი შეშვენოდა ბატონ-ყმობის დროს, და მთელი სოფელი ცქერათ გადაიქცეოდა ხოლმე. იმათი გამოსვლა ჩემთვის მხოლოთ სასეირნო და სათამაშო იყო. ვიცოდი, რომ ისინი ბატონები იყვენ და მე მათი შვილი ვიყავი. როგორც ისინი, ისე მათი მხლებლები მოწიწებითა და ალერსით მეპყროობოდენ: მკოცნიდენ, ხელში ამიყვანდენ ხოლმე, საჩუქრებს მაძლევდენ და მანებიერებდენ, მაგრამ მაინც მე მათი მობრძანება ბევრათ არაფრათ მეპიტნავებოდა, რადგანაც გული ტყე-მინდვრისა და სამწყესურისაკენ მქონდა. კიდევ ჩემი ბედი, რომ ისინი დიდხანს არ იცდიდენ სოფელში და მეც, გავიგულებდი ხოლმე თუ არა მათ ცოტა მოშორებით, ისევ გავრბოდი სამწყესურში. იქ სოფლის ბიჭები, ჩემი ამხანაგები, გამომკითხავდენ ხოლმე: „რა მოგიტანეს, რა გითხრეს ბატონებმა, როგორ იყვენო?“ და სხვა. ამის გამოკითხვის შემდეგ, ჩვენც მაში-

ნვე «ბატონობიას» თამაშს დავიწყებდით ხოლმე: ზოგიქალ-ბატონს წარმოადგენდა, ზოგი ვითომ ვაჟბატონი იყო, ზოგიც მხლებლები!.. გადავჯდებოდით ჯოხის ცხენებზე და ჩვენს მხიარულებას საზღვარი არ ჰქონდა. ზემოთაც მოვიხსენიე, რომ ქართველებს ურიცხვი და უთვალავი სამათამაშოები გვაქვს-მეთქი. ერთი მათგანი სამუდამოთ ჩამრჩა გრძნობა-გონებაში, თუმც ის თამაშობა თავისთავად სახალისო არ არის. ეს გახლავთ „ქორობია“. ერთი უფროსთაგანი კრუხობას იკისრებდა, სხვები წიწილები ვიყავით, გავაკეთებდით წრეს, ჩავაბამდით ფერხულს და ვტრიალობდით. ქორი მოდიოდა წიწილების მოსატაცებლათ, კრუხი იგერებდა, სანამ ძალ-ღონე ჰქონდა. ბოლოს ქორი ხან ერთი კუთხიდან, ხან მეორე კუთხიდან მოვარდებოდა, გაგლეჯდა წრეს და გაიტაცებდა წიწილს; მაშინ წიწილები გაიფანტებოდენ, მიიმალებოდენ აქეთ-იქით და გამწერებული კრუხი კი, შვილებს რომ აქეთ-იქით მიმალულსა და მიხიზნულს დაინახავდა, თვითონ გამოუდგებოდა ქორს, დააგდებინებდა და დაიბრუნებდა ხოლმე გატაცებულ წიწილას. მაშინ ხელახლა იწყებდა ქოთქოთს, შეიკრებდა წიწილებს და გაბამდა წრეს. მართალია, გამარჯვებული კი ყოველთვის კრუხი რჩებოდა, მაგრამ იმ საბრალოს მოსვენება არ ჰქონდა და იტანჯებოდა. ეს თამაში მე არ მიყვარდა, თუმცა ყოველ დღე სხვა-და-სხვა თამაშობას ამითი ვაბოლავებდით ხოლმე. მეცოდებოდა კრუხი და ხშირათ ვეკითხებოდი ხოლმე ძიძას: „რა დაუშავა კრუხმა ქორს, რომ წიწილებს ტაცებს ჯ არ ასვენებს მეთქი?“ —“ჭამა უნდაო!“ მიპასუხებდა ხოლმე ძიძა და დაიწყებდა სიცილს. არ ვიცი, ეს თამაშობა, რომელიც სავარჯიშოთ დიდი არა არის-რა, განძრახ იყო გამოგონებული რაიმე სამნიშვნე-

ლოთ, თუ ისე შემთხვევით, უბრალოთ, მაგრამ დღეს რომ ვუკვირდები, ძალიან მაგონებს ჩვენ ქვეყნის ბედს. ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ისტორია სწორეთ ქორობიას წარმოადგენდა: საქართველო კრუხი იყო, სიცოლხლე გამწარებული, და სხვა მისი კუთხეები — წიწილები!.. მტრები ქორებივით ესეოდენ... იტაცებდენ ხან ერთს მხარესა და ხან მეორეს, მაგრამ საბოლოვოთ კი საქართველო მაინც კიდევ იბრუნებდა ხოლმე დაკარგულ მხარეს და გაერთებული, ფერხულ-ჩაბმული წრე ბოლოს იქნევდა ძლიერათ. მაშინ მე ეს არ მესმოდა, მაგრამ გულზე კი რაღაც უნებურათ მკბენდა და მეჯავრებოდა „ქორობია“. რასაკვირველია, თუმცა მისი თამაშობა ყველას კი უნდოდა, მაგრამ სიყვარულით კი არავის უყვარდა. ერთხელ, სახლში რომ დავბრუნდი, მოწყენილობა შემნიშნა ძიძამ და მითხრა: „რა იყო? ქორობია ხომ არ გითამაშნიათო?“.

— ვითამაშეთ და ქორმაც მე გამიტაცა-მეთქი! — ვუპასუხე სიცილით. ძიძამ ჩამიკრა გულში და დაიწყო ტირილი. მე გამიკვირდა და ვკითხე: „რა გატირებს-მეთქი?“ — ის მატირებს, რომ ხვალ ჩემ წიწილასაც მოიტაცებენ და მომაშორებენო!.. წიწილას რა უჭირს, მაგრამ, როგორ აიტანოს და როგორ-ღა გაძლოს კრუხმა უმისობით?“ ეს რომ თქვა, გული ამოუჯდა, მოუმატა ტირილს და უფრო ძალუმათ მიმიკრა გულზე... მე თუმცა არა მესმოდა რა, მაგრამ მივხვდი, რომ აქ კარგი არა არის რამეთქი და დავიწყე ტირილი... ვიტირე, ვიტირე და ჩამეძინა ძიძის კალთაში. მეორე დღეს კი ყოველივე გავიგე: სამუდამოთ გამომათხოვეს სოფელს და გამიყვანეს სასახლეში, სადაც სულ ახალი ცხოვრება უნდა დამეწყო.

სასახლეში ადრეც ბევრჯელ ვყოფილვარ, მაგრამ, რომ გამომიყვანეს, მაინც ბევრი რამ მეუცხოვა. ჩვენებს თი-

თქმის ყველას ვიცნობდი და სტუმრებმა კი სწორეთ გამაკვეცეს. ხან ერთთან მივყავდით, ხან მეორესთან. მეალერსებოდენ და მკოცნიდენ. ისე მეხვეოდნენ გარს, როგორც ჩხიკვები ბუს. „ეი სოფლის ბიჭო!“—დაიძახა მამაჩემმა,—შენ ახლა ბატონობა უნდა ისწავლო და ბატონიშვილობას უნდა მიეჩვიო, რაც გითხრან, დაიჯერე თორემ, თუ ურჩობა დაიწყე, წაგიყვან და დაგამწყვდევ ისე როგორც ის პატარა ბიჭი მყავს დამწყვდეულიო“. მომკიდა ხელი, მიმიყვანა და გამაჩერა სარკის წინ, სადაც თავიდან ფეხებამდე ნათლად გამოვჩნდი და სიცილი დავიწყე.

—ხომ ხედავ?—მკითხა მამაჩემმა.

— რატომ არა!.. ბრმა ხომ არა ვარ?

— იცნობ?—მეკითხება მამა.

— რა დიდი ცნობა უნდა?

— ხომ არ გინდა, რომ დაეჭიდო?

— ვისა?

— ამ პატარა ბიჭს.

— ბიჭი კი არა, ის არ გინდა კიდე! ჩემი ლანდია.

— რა იცი, რომ ლანდია?

— რატომ არ ვიცი!.. განა ცოტა მინახავს წყალში?

— ამ სიტყვაზე სუყველამ სიცილი ასტეხეს და გაიკვირვეს.—„შენი რისხვა ნუ მომეცემა—წამოიძახა მოურავმა—შენი რისხვა ნუ მომეცემა, რო იტყვიან: კვიცი გვარზე წავაო, სწორეთ მართალი ყოფილა! სოფლის ბავში რომ ყოფილიყო, რას მიხვდებოდა!.. მე რომ პირველათ სარკეში ჩავიხედე, ჭალარა მერია, მაგრამ მაინც კინაღამ გავგიჟდი, ისე გამიკვირდა!..“ ეტყობოდა, მოურავს კიდევ ბევრი რამ უნდოდა ეთქვა, მაგრამ დედა-ჩემმა გაა-

წყვეტინა სიტყვა, დაშიძახა და მკითხა: წყალშიო? როგორ თუ წყალში?

— ისე. როცა სათევზოთ დავდიოდი ხოლმე ან ყვირილაში, ან იზვარაში, წმინდა წყალში ყოველთვის გამოვჩნდებოდი ხოლმე.

— მარტო შენ?

— მარტო მე რათა? წყალში ყოველიფერი გამოჩნდება: ხარი, ძროხა, ცხენი. დღე ყოველიფერი გამოჩნდება, ღამე-კი მარტო ვარსკვლავები და თვარე გამოჩნდება ხოლმ ე.

— თევზს როგორ-ღა იჭერდი?

— პატარაებს ჩქიფით და დიდებს კი ხელაობით. შევყოფთი ხოლმე ხელს ჯილეში, ქვებში და, თუ შევხვდებოდი თევზს, დავიჭერდი და გამოვიყვანდი.

— გველი რო შეგხვედროდა?

— რა ვუყოთ მერე? განა არ შემხვედრია? შეჰყოფ ჯილეში ხელს, იქ ბევრი ღორჯო გვონია ერთათ თავმოყრილი, გამოგაქ და თურმე გველია დახვეული... გაიშლება და შემოგვეხვევა კლავზე.

— მერე... არ გეშინოდა?—შემომკივლა დედამ.

— არა! დავასხვერტებდი ხოლმე რიყეზე.

— რომ ეკბინა?

— ნწუ, ამპა! წყალში როდი იკბინება, შხამი როდი აქ თან. წყალში ჩასვლას რომ დააპირებს, გველი წვანე შხამს იქავე ქვაზე წამოანთხევს. წყლიდან რო ამოვა, მერე ისევე ალოკავს და გაუდგება გზას. მაშინ თუ ვისმეს შეხვდა და უკბინა, ძნელია, მზის ამოსვლისას თუ უკბინა, მზის ჩასვლამდის ველარ გაატანს; და მზის ჩასვლისას თუ უკბინა, მზის ამოსვლას ველარ მოესწრება კაცი, მოკვდება.

— რო ველარ მიაგნოს თავისი შხამი?

— თუ ვინმემ დაუმალა, ან შხამიანი ქვა გადაუგდო, მაშინ წყლის პირზე დაიწყებს ძებნას გველი, ირბენს, ირბენს და, რო ველარ ნახავს, ჯავრით დაუშენს თავს ქვაზე და მოკვდება.

— შენ რა იცი ეგა?

— შარშან ყვირილას პირზე ვნახეთ მაგრე მკვდარი გველი. არც თავი ჰქონდა გაჭეჭყილი და არც წელი მოწყვეტილი, ისე იყო კვდარი და მეთევზეებნა თქვეს, შხამი დაეკარგებოდა და თითონ მოიკლავდა თავსაო.

— რაზე იჭირვებს საქმეს, რატომ თან არ ჩაიტანს იმ შხამს წყალში?

— დაწყევლილია!.. მერე და შხამი რო ჩაიტანოს წყალში, წყალს ხომ მთელი სოფელი სვამს და დიდი და პატარა სულ არ მოიწამლებოდენ ერთიანად? ჩემს სიტყვა-პასუხზე დედას ეცინებოდა და თავზე მისვამდა ხელს და მეც, რაღაი კი სოფლის ამბავი მომაყოლეს, მზათ ვიყავი, რომ საღამომდის მეტიტინა. მაგრამ სხვებმა გაგვაწყვეტინეს საუბარი. დასწყევლოს წმინდა გიორგიმო — დაიძახეს აქეთ-იქით — ტფუ, ტფუ! ვიღაც სწორეთ ჩვენ ძვირში არისო და გადავიდენ სხვა საუბარზე. ამასობაში სადილობამაც მოატანა და გადაძახეს ბიჭებს აივანზე, რომ სადილი მოეტანათ.

უცბათ ოცი-ოცდა ათი მეტი ფარეში შემოიჭრენ და გაჩერდენ შუა ოთახში. ბატონები მივიდენ, ჩამომწკრივდენ ტახტზე; პირდაპირ, მეორე ტახტზე აზნაურშვილები დასხდენ და თავში ღვდელი დაუჯდათ. კიბეზე ვიღაცამ დაახველა, თქვეს—მოურავიაო და მართლაც ის იყო, მოუძღოდა წინ სადილს, შემოვიდა და მიეყუდა სვეტს. იმას შემოჰყვენ სხვებიც. ხელოსნებს პური მოჰ-

ქონდათ ხელ-კალათებით, მზარეულებს კი ქოთნებით და ქვაბებით სხვა-და-სხვა საჭმელები. მიდგეს კუთხეში და გაჩერდენ. აბა, ჰე! ხელი დაგვაბანიეთო, ბძანეს ბატონებმა. ერთმა ფარეშმა ტაშტს დაავლო ხელი, მეორემ თუნგს და მესამემ ხელ-საწმენდს. ჩამოუარეს რიგით და ყველას ხელი დააბანიეს. მერე ორმა ბიჭმა შემოიტანა გძელი და ვიწრო ხის სუფრა ოთხ-ფეხიანი, რომელსაც ერთი ფეხი გამოვარდნილი ჰქონდა. ,,შეუყენეთ ფეხიო'' —უბძანა ბატონმა. ბიჭები სულ ერთიანად გაცვინდენ გარეთ და თვალის დახამხამებამდე ერთმა შემოარბენინა ქვა, სხვებიც ისევ უკან მოსდევდენ, გადააბრუნეს სუფრა და შეიქნა ერთი კაკი-კუკი. გაუმაგრეს ფეხი, მაგრამ ცოტა მეტი მოუვიდათ, ფეხი დამოკლდა და სუფრამ ყანყალი დაიწყო. ,,შეუყენეთ ნაფოტი''-ო, ბძანა ბატონმა. გაცვინდენ ბიჭები ნაფოტის მოსატანათ. კიდევ ისევ ერთმა მოიტანა ნაფოტი და სხვები უკან მოსდევდენ, შეუყენეს სუფრას და გაამაგრეს. როგორც იქნა, ამ ჭირს გადარჩენ, მაგრამ მწუხარება ამითი მაინც არ გათავებულა. დამშეულს ძაღლებს რომ სადილის სუნი ეცათ, დრო იხელეს, შემოცვინდენ ოთახში, შეძრვენ სუფრას ქვეშ და წამოწვენ.—არიქა, დაგვიხსენით ამ ძაღლებისაგანაო, დაიყვირა ბატონმა. ბიჭებმა დაავლეს ჯოხებს ხელი და დაუწყეს სუფრას ქვეშ ძაღლებს ცემა. ძაღლები იღრინებოდენ, იკბინებოდენ, დიდხანს არ უნდოდათ, რომ გამოსულიყვენ სუფრის ქვეშიდან, მაგრამ ბოლოს, ძალა რო დაატანეს, იკადრეს და გაცვინდენ გარეთ. ერთი-ორი ძაღლი აზნაურების სუფრას ქვეშაც შემძვრალიყო. ბიჭებმა რომ იმათ ჯოხით ცემა დაუწყეს, ერთმა აზნაურმა იყვირა: ,,ვაიმე, წვივი, წვივი მომტეხე, შე ოჯახ-დაქცეულოვო! ბატონი ჩემის რისხვა ნუ მომეცემა, ჩემი

ჯინი ჭირს და განგებ მიყო ეს საქმეო,—მაგრამ ბიჭი დიდ უარზე იდგა და იძახოდა: ღვთისა და ბატონის რისხვა მქონდეს, თუ უცაბედად არ მომსვლოდესო. ამ შემთხვევამ დიდი სიცილი და ხარხარი გამოიწვია და ის აზნაურშვილიც განგებ აზვიადებდა ტკივილს, ისვამდა წვივზე ხელს და იჭყანებოდა. ძაღლები რომ გარეკეს, რამდენიმე ბიჭი კარებზე დააყენეს ჯოხით, რომ აღარ შემოსულიყვენ. ეს შემთხვევა პირველი არ ყოფილა და უკანასკნელი. არა თუ ჩვენ ოჯახში, სხვის ოჯახებშიაც ამ გვარივე შემთხვევა იყო ხოლმე; თითქმის ყველა იჯრაზე, ყოველ სიდილ ვახშამზე ამ სუფრის ფეხების ცოდვილი იყო და ძაღლების გერება და აზრათ არავის მოსდიოდა, რომ ერთხელვე გაემაგრებინა სუფრის ფეხები და ან ბიჭები სადილობამდინ კარებზე დაეყენებინათ, რომ ძაღლები არ შემოსულიყვენ ხოლმე. ამ ახირებულობას ისე იყვენ მიჩვეული დიდი და პატარა, რომ უამისოთ ვერც კი შეეძლოთ წარმოედგინათ სადილ-ვახშმის ჭამა, თითქოს ეს ყველა აუცილებელი საჭიროება ყოფილიყოს ისე, როგორც ღვდლისაგან სუფრის კურხევა. ყოველიფერს რომ მორჩენ და დაალაგეს საჭმელები სუფრაზე, უცბათ დედაჩემმა შეჰკივლა მამა-ჩემს—რას შვრები მაგას!—თურმე მამაჩემს კარგი მოზდილი ლუკმა ჩაედვა პირში ისე, რომ ჯერ ღვდელს „მამაო ჩვენო“ არ ეთქვა და სუფრა არ ეკურთხებინა. ახლა კი გაახსენდა, წამოვარდა ზეზე და ხელით ანიშნა ღვდელს, ღვდელმაც სისწრაფით მამაოჩვენო გადიკითხა, აკურთხა სუფრა და მაშინ კი მამაჩემმა გადაყლაპა ლუკმა და მიუბრუნდა ღვდელსა. ,,მამაო, კინალამ არ დამახრჩე, შიშით ვერ გადავყლაპე, სირცხვილით ვერ გადმოვაგდე და შენ კი ლოცვა გააჭიანურეო''.—შენი რისხვა ნუ მომეცემა, გადავახტი, ორჯელ გადავახ-

ტი, რამდენიც შევიძელი, ჩავაფუჩეჩე. ამ სიტყვებზე დედაჩემი გაჯავრდა და უსაყვედურა მამა ჩემს: სულ შენი სულ-წასულობის ბრალია, რომ ღვდელსაც ცოდვაში აგდებ და გმობას ალაპარაკებ. ვის გაუგონია ლოცვის გადაფუჩეჩება და ღვთის მოტყუებაო. ღვდელი გაწითლდა და თავის გასამართლებლად წაილულღლუღა: არა უშავს რა, ბური და ღვინო ისეც ნაკურთხია ღვთისაგანო; ცოტა რომ დააკლდეს, რა უშავსო. რას ამბობ, ღვდელო, სთქვა დედა-ჩემმა, რაც კი არსებობს ქვეყანაზე ღმერთს უკუთხებია, რო გაუჩენია. მაშ რალა საჭიროა კურთხევანი რო ყოველ დღე ხელში გიჭირავს, ეს ბაასი ვინ იცის, რამდენს ხანს გაგრძელდებოდა და რითი გათავდებოდა, რომ მამაჩემს არ დაეყვირა: კარგია, ახლა რა დროს ეგ არის, მშიაო. ყველამ ხმა ჩაიწყვიტეს და შეუდგენ გულს-მოდგინეთ ჭამას.

სუფრა სხვა-და-სხვა თავი საჭმელებით აივსო, თავთავისი კერძი ყველას საყოფი ედვა წინ, მაგრამ მაინც მამა ჩემს მოართვეს ხელ-გობით და დაუდგეს წინ ასოასოთ აქნილი რაჭული ხბო, რომელსაც მოსაკითხათ უგზავნიდა ხან ერთს და ხან მეორეს. ისინიც თაყვანისცემით მოახსენებდენ ხოლმე: ,,ღმერთმა ნუ მოგვაკლოს თქვენი მოწყალებაო''. ამ დროს გავიხედე და შუა ოთახში რომ გამწკრიეებული ბიჭები თავზე გვადგენ და ჩვენ ჭამას რომ უყურებდენ და ტუჩებს აცმაცურებდენ, მათ რიცხვში ჩემი ძიძიშვილიც იდგა. თვალი მიქნია, მიეხვდი, რაც უნდოდა, გავაპარე ხელი, ვტაცე შუა ძვალს და ელვასავით გადავუგდე. ბურთში გაჩვეულმა ბიჭმაც, რასაკვირველია, მიმინოსავით დაიჭირა და იგდო უბეში. ბევრმა თვალიც ვერ მოასწრო ამ ჩვენ ხორცით გაბურთავებას,

მაგრამ დედა ჩემმა შენიშნა და სიცილით მითხრა: ,,შვილო, მარტო მაგას რომ მოუკითხე, სხვებს ხომ გული დაწყდებათო! მაგის ტოლა ბიჭები, ორი-სამი, ხომ ხედავ, სხვაც არისო! ისინი სულ შენი შინაყმები და ვეზირები იქნებიანო! მოუკითხე იმათაკო!'' მე დიდი სიამოვნებით ავასრულე დედის ბძანება და თითო ნაჭერი გადავუგდე სამივეს. ეტყობოდათ, რომ ბურთაობაში ისინიც გაწაფული იყვენ, ორმა მათგანმა თითები ისე გამოკრეს ჰაერში მოტრიალე ხორცს, როგორც მიმინომ ბრჭყალები მწყერს, მხოლოთ ერთ იმათგანს, რომელიც უფრო მოზრდილი იყო, გაუვარდა ძირს. ,,აი დაგესხა თავსხლაფიო!' მიაძახეს აქეთ-იქიდან, ,,ვერ ყოფილხარ ბატონის ერთგულიო!'' შერცხვა ბიჭს, მაგრამ ხორცის ნაჭერი მარჯვეთ მომუჭნა. ,,პაღური მაგასო!'' ბძანა ბატონმა, მიცვინდენ პატარა ბიჭები და ჰკრეს პაღური. საკვირველია! ეს პაღური არც მეპაღურეებს და არც საპაღურე'ს არა სწყენიათ, შეიქნა ერთი საზოგადო სიცილი და ხარხარი. პატარა ბიჭებს პურიც გადუგდეს და ისინიც სიამოვნებით გაცვინდენ გარეთ, რომ პირი ჩაეგემრიელებინათ. სუფრაზე ღვინოს არავის არ აძალებდენ, მხოლოთ მერიქიფეებს ეჭირათ ხელში ღვინით სავსე დოქები და დაიცლებოდა თუ არა ვისიმე ჭიქა, მაშინვე აავსებდენ. სადღეგრძელოები არ იცოდენ, პირველს ჭიქას რომ აიღებდენ, მაშინ კი პირჯვარს გამოისახავდენ და იტყოდენ: ,,დიდებაა ღმერთსა! მოწყალესა ერსა! ღმერთო გაუმაჯვე ბატონსა და ყმებსა, აქა მბძანებელსა! შენდობა მამაო''—ეტყოდენ ღვდელსაც და გადაჰკრავდენ ღვინოს. მერე კი იმდენსა სვამდენ, რამდენიც უნდოდათ. სამიზეზო სადღეგრძელოები-კი ფიქრადაც არ მოსდიოდათ.

სადილი რაც უფრო გძელდებოდა, უფრო და უფრო ეტყობოდა მხიარულება ყველას. იცინოდნენ, ხუმრობდნენ და სას-ცილო ამბებს ამბობდნენ, საცილსა და მუსაიფში ხანდახან ფარეშებიც გამოერეოდნენ, მაგრამ თავი კი მხიარულათ ეჭირათ. გათავდა სადილი, სუფრა აალაგეს, ფარეშებმა ხელი დააბანიეს ისევ ყველას და წავიდ-წამოვიდენ. სახლში მხოლოთ დარჩნენ ბატონები. იმ დროში ნასადილევს ძილი ყველასათვის აუცილებელი საჭირო იყო და ამიტომ დედ-მამა საწოლ ოთახში დარჩენ. მე კი სასტუმრო ოთახში შემიყვანეს და იქ დამტოვეს: „იყავი მანდო და როცა ძილი მოგინდეს, წამოწევი ტახტზე, მუთაქა მანდერ არიო, მიიდევი და დაიძინეო. სანამდის არ აგრილდება, კარში არ გაგიშვებთ, ხომ ხედავ, რომ სიცხით დადამიწას ალმური ადისო. ყოველი ცხოველი გამორეტებულია, ან ბრაზიანმა ძაღლმა არ დაგგლიჯოს, ან გელმა არ დაგკბინოსო. რო აგრილდება, მაშინ კი პატარა ბიჭებიც გამოიღვიძებენ და იხტუნეთ ერთად ეზოში, რამდენიც გინდოდესთო“. მომიკეტეს კარები და დამტოვეს მარტო. ეს პირველი შემთხვევა იყო ჩემ სიცოცხლეში, რომ მარტო დავრჩენილიყავი, და ისიც კარ-დაკეტილ ოთახში. დავღონდი და დავიწყე ფიქრი. მე გული ისევ ჩემი სოფლისაკენ მქონდა. „მართილია, ამისთანა სიცხეში, ვამბობ გუნებაში, მზეში ყოფა და წანწალი არ ვარგა, მაგრამ მაგიერათ რა სჯობია იმას, რომ ხეს ქვეშ ჩეროში იჯდე და დანასობიას ან კენჭობიას თამაშობდე! და აქ კი, არ ვიცი, რა უნდა გავაკეთო? ძილიო, რო მეუბნებიან, განა ძილის გუდა ვარ, რომ დღეც ვიკოტრიალო?“ ამ გვარი ფიქრები სევდასავით მომაწვენ გულზე და ყელში რაღაცა ბურთივით გამეჩარა. უცბათ რაღაცამ გრიალი დაიწყო,

შეიხედე კედლისკენ და შევნიშნე, რომ (თურმე კედლის სიათი იყო), თითქოს კოლოფის მსგავსი შეიძრაო, გაიღო კარები, გამოხტა გუგული, სამჯერ დაიძახა „გუ-გუ“-ო და შეყო ისევ თავი, დაიმალა. წამოვვარდი ზეზე, დამავიწყდა ჯავრიც, მწუხარებაც, ვიფიქრე: „ეს გუგული სად შემოფრენილა-მეთქი“. ის სოფელშიაც ვიცოდი, რომ გუგული ბუდეს არ იკეთებდა და სხვის ბუდეში სდებდა კვერცხებს. ვთქვი, სწორეთ მერცხლის ბუდეა აქა და იქ ზის მეთქი. მოვინდომე, რომ მივპაროდი და ქუდი დამეხურა ზედ. მივეპარე ფეხ-აკრეფით ნელ-ნელა, დავდგი სკამი და შევდექი ზედ, მაგრამ მაინც ვერ ავწვდი. საათი მაღლა იყო ჩამოკიდული, სკამი სკამზე დავდგი და ისე ვაპირებდი მიპარვას, შევპოტინდი; მაგრამ ამდროს გამომისხლტა სკამი, გადმოვვარი და გამხდა ბრეგვა პოლზე. ხმაურობაზე გამოცვინდენ მეორე ოთახიდან და გაშხვართული რომ მნახეს პოლზე, ჯერ შეეშინდათ, მაგრამ მერე-კი, რომ მნახეს არა მიჭირდა რა, სიცილი აიტეხეს. მე შემრცხვა და მოვრთე ტირილი. გული ამომიჯდა და ვეღარაფერით ვეღარ გამაჩერეს, სანამდი ჩემმა უფროსმა დამ არ მომკიდა ხელი და არ წამიყვანა სამოახლოში, სადაც ჩემი ძიძაც სტუმრათ იყო.

დედა ჩემი დიდი ძველებურ-ოჯახის ასული იყო. 1820-ში, თეოფილაქტეს დროს, ქუთათელი და გენათელი რომ დააპატიმრეს და აჯანყება მოხდა, იმ აჯანყებულების მეთაურად ითვლებოდა დიდი ივანე აბაშიძე, ახალციხეს მოკლული. ეს ივანე დარეჯან-ბატონიშვილის, პირველი სოლომონ მეფის ასულის, შვილი იყო და დედიჩემის მამა. აჯანყებულები რომ დაიმორჩილეს და დაამშვიდეს, (უნდა მოგახსენოთ, მისთანა აჯანყება არ ყო-

ფილა, რომ ხალხს რამე ძალადობა ეხმაროს; მხოლოთ უკმაყოფილებას აცხადებდენ პირდაპირ, დაუფარავად) აბაშიძის ოჯახი აიკლეს და მისი ცოლ-შვილიც სხვებთან ერთად ტყვედ წაიყვანეს. გურიის უკანასკნელი მთავარი, მამია გურიელი, ღვიძლი ძმა იყო აბაშიძის ცოლის; გამოესარჩლა დასა და დის-წულებს, იშუამდგომლა მთავრობასთან და ტყვეები, გარდა დარეჯან ბატონიშვილის ერთი უფროსი ვაჟისა, უკანვე დააბრუნეს გზიდან. მაშინ დედა ჩემი იყო 12 წლისა და ყველაფერი გულის ფიცარზე დაებეჭდა. აბაშიძის სახლობა დაბრუნდა, მაგრამ ყმა და მამული ჩამორთმეული დაუხვდა, ოჯახი აკლებული და განადგურებული. საზრდო რომ აღარა ჰქონდათ და პატრონიც აღარავინ ჰყავდათ, გურიის მთავარმა გადაიყვანა თავის ოჯახში და ცდილობდა, რომ მათი მწუხარება, მომავალის იმედებით, როგორმე გაექარვებინა. ყველაზე უფრო დასევდიანდა თურმე დედა-ჩემი: ამას თურმე დარეჯან-ბატონიშვილი აგონდებოდა, რომელიც შვილსავითა ზრდიდა და ანებივრებდა, როგორც შესანიშნავ ბავშვს. დარეჯან ბატონიშვილისა არ იყოს, გურიელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დედაჩემს. იმ დროს, როგორც სხვა ყოველ ქართველ დიდ-ოჯახებში, გურიელის სასახლეშიაც თითქმის შინა კაცებათ ითვლებოდენ ფრანგის პატრები და დიდი გავლენაცა ჰქონდათ ოჯახებზე...

ამ ევროპიულათ განათლებულმა და გონება-განვითარებულ მეცნიერებმა დედა-ჩემზედაც დიდი გავლენა იქონიეს: მათი მეოხებით შესწავლილი ჰქონდა, სხვათა შორის, ექიმობა და მეურნეობა. რაც-კი იმ დროში ქართველ-ქალის ხელიდან გამოვიდოდა, ყველაფერი ზედმიწევნით იცოდა: იყო კარგი მწიგნობარი, მეოჯახე, მოხელ-

საქნარე და მასთანაც კარგი აღმზდელი. ცნობის მოყვარეობასთან შრომის მოყვარეობაც შეთვისებული ჰქონდა: დილას, მამლის ყივილზე რომ წამოდგებოდა, დაღამებამდე ფეხზე იდგა და უსაქმურათ კაცი ვერ ნახავდა. „სიზარმაცე და უსაქმურობა დედა არის ყოველ-ვვარ ბოროტებისაო“—იტყოდა ხოლმე და ,,კეთილი საქმე-კი იგივე ლოცვა, ვედრებაო“. მოსამსახურეს ყოველთვის თვალ-ყურს ადევნებდა, რომ ცუდი არა ჩაედინათ-რა. უსაქმოთ არავის გააჩერებდა... ყოველ გვარ ხელობას ასწავლიდა მათ და ზოგს წიგნსაც აკითხებდა. მაშინ, ბატონ-ყმობის დროს ამგვარი ქცევა საარაკო იყო და დედა ჩემის მოქმედებაც ბევრს თვალში ეჩხირებოდა. მკაცრობისა და მრისხანის სახელი ჰქონდა დავარდნილი, რადგანაც თავი მძიმეთ ეჭირა. ,,თუ თავი გაუყადრე ბრბოს, პირს შეგაჩვევს, აღარათ ჩაგაგდებს და რაც უნდა ურჩიო, აღარ დაიჯერებსო‘‘—ამბობდა. სასახლეში მისი ყველას ეშინოდა და დიდი ხათრიცა ჰქონდათ. მაშინ მეც ისე მეგონა, როგორც სხვებს, რომ დედა ჩემი ცივგული და მრისხანე იყო, მაგრამ გონებაში რომ ჩავხვდი, მაშინ-კი გამოვიკვლიე სიმართლე. ის იყო ნამეტანი ჩვილი გულის მექონი და მოყვარული, მაგრამ დიდ-ოჯახში ნამყოფი, დარეჯან-ბატონიშვილის გაზდილი და პატრების ნამოწაფარი, განგებ პირ-ბადეს იფარებდა, მხოლოთ კეთილი განძრახვით: უნდა გენახათ მაშინ, როდესაც სასახლეში ავათ ვინმე გახდებოდა, გინდ უკანასკნელთაგანიცა!... დღე და ღამ მოსვენება აღარა ჰქონდა და თავის ხელით უვლიდა, როგორც შვილს. გაჭირვებულის დახმარება რჯულათ ჰქონდა დადგენილი. სულ სხვებზე ჰფიქრობდა და სხვებისთვის, თითქოს თავის საკუთარ პირადობაზე ხელ-აღებული ყოფილიყოს, მუდამ მწუხარე-

ბაში იყო და ყოველ ფერიცვალობა დღეს მტირალი იჯდა ხოლმე. ამბობდენ: ამ დღეს რაღაც ძველებური ამბავი აგონდებაო.

სულ სხვა ბუნების, მიმართულებისა და ხასიათის იყო მამაჩემი. უკანასკნელ დროში წერეთლები მძლავრობდენ და სახუცის ოჯახი კი, მთავრობისაგან ზურგ-მომაგრებული, ყველაზე ბატონობდა იმ დროს მამაჩემი დედის ერთა მცირე წლოვანი ობოლი ყოფილა; ბიძებიც გადავარდნილი ყოფილან, მეფე სოლომონს ხლებიან თან. ქვრივ-ობოლს ვინ არა სჩაგრავს და, რასაკვირველია, შეძენის სურვილით გატაცებული სახუცესიც არ დააკლებდა ხელს. ერთხელ სახუცის მოურავი მოსულა ბებია ჩემთან და მოუხსენებია: ,,თქვენ რომ ეზოში ძელქვის პატარა სახლი გიდგათ სახუცეს სურს, რომ დაუთმოთო". პატრონს, რასაკვირველია, შორს დაუჭერია ეს ამბავი, მაგრამ მოურავს მაინც მიუყვანია მუშები, დაუნგრევია სახლი და გადაუტანია. გამწარებულ ბებია ჩემს სახუცისთვის წიგნი მიუწერია: ,,დიდო ზურაბ წერეთელო! გრცხვენოდეს უკადრისი საქციელისო. დაგვიმარტოხელე ქვრივ-ობოლი და სახლს თავზე გვანგრევო. ვინ იცის, დრო რას მოიტანს, თუ ღმერთმა ინება და ჩემი მაზლი შინ მშვიდობით დაბრუნდა, მაშინ დრო გადაბრუნდება და შენც ესევე საქმე მოგივაო''. პასუხათ ზურაბ წერეთელს აი, რა მოეწერა: „აბაშიძის ქალო, ენა დაიმოკლე, თორემ, ხომ იცი, დროც ჩემ ხელთ არის და გასავალიცო. ჩაგწერ სიაში და შენი ობლიანა მოზდოკში ამოგაყოფიებ თავსო!" ამ მუქარით შეშინებული ქვრივი გაჩუმებულიყო, მეტი რა გზა ჰქონდა, და შვილსაც ისე უფრთხილდებოდა, რომ მუდამ გვერდში უჯდა და აღარსად უშვებდა. ამის ბრალი იყო, რომ მამაჩემი ში-

ნაკაცად იყო გაზდილი და მხოლოთ ის იცოდა, რაც დედა მისს ესწავლებია. მუდამ დედის კალთაში თავის დებას ისეთი ზედგავლენა ჰქონდა მამაჩემზე, რომ იმას მთელ მის სიცოცხლეში თვით-ნებობა და ახირებულობა ზნეთ ჰქონდა გადაქცეული. სძულდა ნადირობა, რაც იმ დროში მებატონეების ჩვეულება იყო, ეჯავრებოდა აქეთ-იქით სიარული და სულ სახლში იჯდა. შინაც არას აკეთებდა. ამბობდა: „კაცი სიმშვიდისა და მოსვენებისათვის არის გაჩენილიო“. არც თვითონ შრომობდა და არც სხვას აწუხებდა. უყვარდა ძილი, აგრეთვე არ სწყინდა, როცა ხედავდა, რომ უსაქმური მოსამსახურეები მთელი დღე მხარ-თეძოზე წამოწოლილი კოტრიალობდენ სახლში. პირის გემო იცოდა, უყვარდა კარგათ ჭამა და სულ იმას იძახოდა: „არიქა, მშიერი არავინ დარჩეს სახლში, დიდსა და პატარას, ყველას საყოჟათ აჭამეთო“. ბუნებითად ნამეტანი გულ კეთილი იყო, შური და ბოროტება არ ესმოდა, რა იყო, მაგრამ ერთ უბრალო რამეზე უცბათ იცოდა გულის მოსვლა და მაშინ აღარ დაზოგავდა გინდ შორებელი ყოფილიყო და გინდ მახლობელი.

ეს ზნე მოუვლიდა ხოლმე უფრო ხშირათ მაშინ, როდესაც უნებურათ გამოაღვიძებდა ვინმე. მაგრამ სიფიცხე დიდხანს არ გასტანდა. მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს: ჩვენში, როგორც შობის წინ ალილოზე, ისე სააღდგომოთ ჭონაზე დადიოდენ ხოლმე მომღერლები. ერთხელ იმ დროს მოვიდენ ჩვენსა მეჭონეები და დაიწყეს „ჭონა“, როცა მამა ჩემს ეძინა. „ალათასა, ბალათასა, ხელი ჩაჰკარ კალათასაო“, რომ შემოსძახეს, მაშინ გამოელვიძა მამა ჩემს და მიაშურა. მომღერლებმაც რომ დაინახეს ლომივით კაცი, პერანგის ამარა, თავ-შიშველა, ფეხ-შიშველა მათკენ მუქარით მიმართული, დაფთხენ, გადა-

ცვივდენ ზოგი აქეთ, ზოგი იქით ყორეზე, თავს უშველეს, მაგრამ თითო-ოროლა აქა იქ მოგროვებული კვერცხები კი სულ დაემტვრათ. მამა ჩემი გამობრუნდა და უბძანა მოურავს: „შემიტყვე ვინ იყვნენ ეგ მეჭონეები,' რომ ცოცხალი არ გადავარჩინოო“. ამაზე დიდი ფიციც დასდვა, მაგრამ, რომ გამოიძინა და კაი გუნებაზე დადგა, ბევრი იცინა და თავის ბძანებაც გამოსცვალა: „შეიტყვეთ, ვინ იყვენ ის საცოდავები, რაც დამტვრევიათ კვეცხები სასახლიდან უზღვვით და, ამას გარდა, კარგათაც დაასაჩუქრეთო“. ეს ხასიათი რო იცოდენ მისი, მძინარის ყველას ეშინოდა და ფხიზელს კი არავინ ერიდებოდა. ოჯახის საქმეში არ ერეოდა, სულ დედი-ჩემის ხელში იყო, მაგრამ მამა ჩემის ახირებულობა ბევრჯელ ხელს უშლიდა და ამ ორს, სრულიად ერთმანეთის წინააღმდეგ ბუნების მექონ, ადამიანთ ხშირათ ჰქონდა ერთმანეთში საყვედური. დედაჩემს არ მოსწონდა მამიჩემის ყოფა-ქცევა, მაგრამ ბევრს უთმობდა. როგორც კი შეიქნებოდა შუა დღე და გუგული თორმეტჯელ დაიძახებდა „გუგუს“, მამაჩემი მაშინვე სადილათ დაჯდებოდა. ადრე რომ მონდომოდა სადილი, მაინც არა სჭამდა, უცდიდა გუგულს და მოთმინებიდან გამოსული ყვიროდა: ,,რა არის ეს რჯულძაღლი, რო ასე აგვიანებს და სასადილოს არ დაუკრავსო''. ესეები ყველა დედას არ მოსწონდა და ხშირათ ეტყოდა ხოლმე: ,,შენი ცოდვა მიეცეს, ვინც შენ აგრე გამოგზარდაო''. ამგვარი ახირებული ხასიათი ოჯახში მოსაწონი არ არის, როგორც წესისა და რიგის ამრევი, მაგრამ სასახლეში კი ყველას ვაჟბატონი უფრო უყვარდათ, ვიდრე ქალბატონი. საკვირველია, მრისხანე დედაჩემს არ უყვარდა არავის დასჯა, მხოლოთ სიტყვითა და შეხედულობით იყო საშიში. ხშირათ იპატივებდა ხოლმე

მამიჩემისაგან გულმოსულობით გაწირულს, მაგრამ მაინც ყველა მრისხანეთა თვლიდა.

ერთხელ მოცლილი ფარეშები წასულიყვენ შეშის მოსატანათ, ტყე იქვე ახლოს იყო; თითო კონის შეკვრას, რასაკვირველია, დიდხანს არ მოუნდებოდენ, მაგრამ დაღამებამდი მაინც რათ დაბრუნდებოდენ სახლში; დარჩენილიყვენ სათამაშოთ და, სხვათა შორის, „ტირილობია“ ეთამაშნათ: გადააფარებდენ თურმე ჩოხას შეშის კონას, დახურავდენ ქუდს, ერთი მიუჩოქებდა, ორი იქით-აქეთ ხელს მოჰკიდებდა და სხვები ზარს ააყოლებდენ მოთქმით ტირილს, ვითომ და მკვდარიაო; ხან ერთმანეთს ტიროდენ, ხან თურმე მოურავს, ხან ხელოსნებს, ხან მზარეულებს, ხან ვისა და ხან ვის. ამ ხანად თურმე რიგი მოურავზე მიმდგარიყო. იმასაც გაეგო, გული მოსვლოდა და ბატონს დააბეზღა: ,,თქვენ გტიროდენო''. მამაჩემს გული მოუვიდა. მიაყვანია მომტირლები და მათი საქმე ცუდათ იყო, თუ დედაჩემი არ გამოსარჩლებოდა: ,,როგორ გეკადრება აგრე გამოურკვეველად გარისხებაო, ტირილიც არის და ტირილიც არისო. ვინ იცის, რა სიტყვებს ამბობდენო. ეგება მართლა წარმოიდგინეს, რომ ბატონი აღარა გვყავდეს, რა დღეში ჩავცვინდებითო და იმას მოთქვამდენო''. ამის გამგონე ბიჭებმა გული მოიცეს და შეჰფიცეს: „შენი ხატი ნუ გაგვიწრება, ჩვენ თქვენი ხსენება არ გაგვებედოს და ღმერთმა ნუ მოგვაწროს მაგ დღესაო. ჩვენ მხოლოთ მოურავი ვიტირეთო''. მამაჩემს გაეცინა და ბრძანა: ,,კარგი, აღარ დაგსჯით, მაგრამ გაიმეორეთ კი ახლავე, როგორ იტირეთ მოურავიო''. იმათაც, რასაკვირველია, შემოიტანეს შეშის კონა, გადააფარეს ჩოხა და შექნეს ღრიალი: ,,ვაიმე, მოურავო'' და შეიქნა კამედია. სათითაოდ ატირეს სუყველამ. დიდმა, პატარამ,

ვინც კი ოჯახში იყო, თავი მოიყარა, შეიქნა ერთი საზოგადო მხიარულება, ასე გაშინჯეთ დედაჩემიც კი მეორე ოთახში იჯდა და ცდილობდა სიცილი შეეკავებია. ცუდ გუნებაზე იყო მხოლოთ მოურავი და მეორე დღეს მოციქულიც მოუგზავნა მამაჩემს: ,,თუ შეიძლებოდეს, რამდენიმე ხნით დამითხოვეთ, რომ სახლში წავიდეო''.

ეგება ვინმემ იფიქროს, რომ ამ გვარი საქმეების ჩამდენი და საქმეში აჩქარებული მამა ჩემი მჩატე ჭკუის ყოფილიყოს. სრულიადაც არა, ძლიერი გონების კაცი იყო, მოსწრებული და ენა-მჭევრი, თუმცა კი ხშირათ ენა-მწარეც. დედა ჩემი იტყოდა ხოლმე: ,,ამ ჩემ შვილებს მამა მისის ენა გამოჰყვათ, დახურდავებულიო''. ჩვენ ხუთნი და-ძმანი ვიყავით, ღვთის მადლით, არც ერთს არ გვქონია სუსტი ენა და აქედან შეგვიძლია ვიგულისხმოთ, თუ რა უნდა ყოფილიყო მამა ჩემის დაუხურდავებელი ენა? სწორეთ, სასიამოვნო და საყვარელი სანახავი იყო მამაჩემი, როდესაც გუნებაზე იყო. იმას რო სწავლა მიეღო და ცხოვრებაში განვითარება ჰქონოდა, შესანიშნავი რამე იქნებოდა, მაგრამ ნამეტან გულ-კეთილობასთან შეერთებულ გულ-ფიცხობას სულ სხვა ბეჭედი დაესვა და თუ დედა ჩემი არ ყოფილიყო, ოჯახში ყოველიფერი არეულ-დარეული იქნებოდა. ამას თვითონ მამაჩემიც გრძნობდა და დამშვიდების დროს, დიდი პატივის მცემელიციყო ცოლის ნება-სურვილისა. მიუხედავათ მისი ახირებულობისა, გარეშეებსაც ძალიან უყვარდათ მამა ჩემი და მთავრობაც დიდ პატივსა სცემდა სიმართლისა და პირდაპირობისათვის და ბევრ რამესაც უთმობდა. ერთხელ გენერალ-გუბერნატორმა გაგარინმა დაიბარა: „მოდი ახლავე ჩემთან, უნდა მოგილოცო ხელმწიფის წყალობაო“. ბზობა დღე იყო. მივიდა მამაჩემი. გაგარინმა მიულოცა და უთხ-

რა, რომ ხელმწიფის „ბლაღოვოლენიე“ მიგვიდეო. მამაჩემს იამა და დაჯდა, დაუწყო ცდა, როდის ჩამაბარებენ „ბლაღოვოლენიესო“: იცადა, იცადა, სადილობა გადავიდა, მამაჩემმაც მოთმინება დაჰკარგა და მიაძახა: „თუ მიბოძებთ, მიბოძეთ, ეგ რაღაც „ბლაღოვოლენიე“ არისო!“ გუბერნიის მმართველს გაეცინა და უთხრა თარჯიმანის პირით: „ბლაღოვოლენიე“ უმაღლესი მადლობა არისო“. მოთმინებიდან გამოსული მამაჩემი წამოვარდა ზეზე და მიაყვირა: „ღმერთმა უმადური გამყოფოს, უსადილოთ დამტოვეთ! დღეს ბზობაა, მაგას ერთი კარგი ზურგიელი მერჩიაო“—სთქვა და გამოვარდა გარეთ. არ გაუვლია ნახევარ საათს, რომ ჩვენსა თარჯიმანი მოვიდა, გაგარინის გამოგზავნილი, თანაც ერთი წყვილი დიდროვანი ზურგიელი მოიტანა: „ეს მიახლეპია შენთვისო— შემოეთვალა გუბერნატორს, და „ბლაღოვოლენიეც“ კიდევ სხვა იყოს ზედ მეტათო“. რასაკვირველია, სრულიათ დაკმაყოფილებულმა მამაჩემმაც დიდი მადლობა შესწირა.

მამაჩემის ახირებული ხასიათის ასახსნელათ ბევრი რამ სასაცილო შემთხვევა მახსოვს.

ფოტოგრაფია რუსეთში ახალი შემოღებული იყო. ჩემ ძმას გადაეღო თავისი სახე და გამოეგზავნა. უწყება მოგვივიდა; მე გიმნაზიაში მიმეჩქარებოდა და დავიბარე შინ: რომ დავბრუნდები, ფოსტიდან გამოვიტანთქო. მამაჩემს სულმა აღარ მოუთმინა და თითონ თურმე წავიდა ფოსტაში; შევიდა, ნახა, რომ ყურადღება არავინ მიაქცია, მიიხედ-მოიხედა, სკამიც ვერსად დაინახა, რომ დამჯდარიყო. დგას ფეხზე სხვებთან ერთად და ფიქრობს გუნებაში: ეს რას ნიშნავს! სადაც შევდივარ, ყველგან დაბძანდის მეუბნებიან და სკამს მიდგმენ და ეს კი ვიღაც არის, ბუზათაც ჯარ მაგდებსო. ფოსტიმეისტერი ახალი

დანიშნული იყო და მამაჩემს არ იცნობდა. მამაჩემმა ერთხანს იცადა და ბოლოს, რომ მოთმინება დაჰკარგა, მივიდა და უთხრა:

— კიდევ დიდხანს გინდა, რომ მაცდევინო, მომეცი ჩემი ილიკოს გამოგზავნილი თუ რამე იყოს და გამისტუმრე.

— ილიკო ვინ არის?—ეკითხება განკვირვებული ფოსტიმეისტერი.

— ილიკო ვინ არის? ვინ არის და ჩემი შილი, ხემწიფე იმპერატორის მოსამსახურე—კანვოი.

— მე ვერ ვიცნობ.

— ოხ, შენ თუ არ იცნობ, მაშ პური ველარ უჭამია! იმ კაცს სასახლეში იცნობენ და შენ, აქ, გინდ იცანი და გინდ არა.

— ყოველიფერი კარგი, მაგრამ თითონ თქვენ ვინლა ბძანდებით?

— მე? თავადი როსტომ წერეთელი.

— ვერც თქვენ გიცნობთ.

— ახლა ხომ გეუბნები ვინცა ვარ.

— ეგ არა კმარა.

— მაშ, ხატზე ხო არ გინდა, რომ შემოგფიცოთ?

— ფიცი რა საჭიროა, წადით და მოწმობა მოიტანეთ.

— მოწმობა?! რისი მოწმობა?

— მისი, რომ სწორეთ თავადი როსტომ წერეთელი ხარ.

მერე და ვის უნდა გამოვართვა ეგ მოწმობა?

— პოლიციაში, კვარტალს.

აქ მამაჩემმა მეტი შეურაცხყოფა ველარ აიტანა და სტაცა კისერში ხელი...

შეურაცხყოლილი ფოსტიმეისტერი გაიქცა საჩივლელათ პირდაპირ გუბერნატორთან. დაიბარეს მამაჩემი. შეიდა თუ არა ზალაში, მაშინვე საყვედურით მიმართა გუბერნატორს: მთელი ხმელეთი ხელში გიჭირავთ და კაცებს ველარ შოულობთ, თუ როგორ არის თქვენი საქმე, რომ ვიღაც გიჟებს და მასხარებს ნიშნავთ?

— როგორ? რა ამბავი იყო? რა ჩაგიდენიათო?— ეკითხება გუბერნატორი.

— როგორ თუ რა ჩამიდენია! დიდმა იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა დამამტკიცა თავად როსტომ წერეთლად, ნიკოლოზმა ხელი მოაწერა, ალექსანდრე შეორემ ბეჭედი დაუსვა და ახლა, ეს ვიღაც ოხერია, სამი დიდი ხემწიფის მონიჭებულ წყალობას ისე მართმევს და შხდის, თითქო მაგის შეკერილი ჩოხა-ნაბადი იყოს! შეუბნება, რომ ეგ ყოლიფერი ჩალითაც არ ღირს, თუ პოლიციაში არ წახვედი და იქ ხელ-ახლა კვარტალმა, მაქსიმე მგალობლიშვილმა, არ დაგამტკიცაო.

— ეგ ყოველიფერი კარგი, მაგრამ თქვენ რაღა უპასუხეთ.

— საპასუხო რა მქონდა?! რისიც ღირსი იყო, კიდევაც მივანიჭე.

— მაშ, აღიარებ, რომ შეურაცხყოფა მიაყენე?

— რას ამბობთ? როგორ თუ შეურაცხყოფა?! ჩემი საკინათ აგდება რომ კიდეც ამეტანა, რა ნება მქონდა, რომ მთავრობის შეურაცხყოფა დამეთმო მაგისთვის?

— ხელი შეახეთ?

— არა, ისე, კისერში წავავლე.

— მეტი არაფერი?

— როგორ არაფერი. გადმოვღუნე და სამიოდე ჯოხი ვზუზღე, ერთი ჩემი გაკიცხვისთვის და ორიც—მთავ-

რობის შეურაცხყოფისთვისო. ამას ისეთი გულ-მოსულობით ამბობდა, რომ ვერც თითონ გუბერნატორმა და ვერც მისმა ჩინოვნიკებმა სიცილი ვეღარ შეიკავეს. ბოლოს, როდესაც აუხსნეს მამაჩემს მისი შეცდომა, შეწუხდა, მიუბრუნდა იქვე მდგარ ფოსტიმეისტარს და უთხრა: —,,შე ცუდო კაცო, მე რა ვიცი ახალი რიგ-სა და წესებისა? რომ მნახე, შემოვედი ერთი უსწავლელი, ადამის ხნის კაცი, აგეხსნა ჩემთვის, რასაც ახალი კანონები გეუბნებიან, თვარა: მე შემოვდივარ ზრდილობიანათ, შენ კი ისე მიბღვერ, თითქოს შენი მოსისხლე მტერი ვყოფილიყო. სხვა რომ არა იყოს რა, ყმაწვილი ხარ, ჩემი ჭაღარასთვის მაინც უნდა გეცა პატივიო". ეს საქმე ბოდიშითა და მორიგებითა გათავდა. შემდეგ დიდი მეგობრებიც იყვენ მამაჩემი და ის მისი მონათლული ჩინოვნიკი. ყოველ დღესასწაულების წინ, საშობოთ, საახალწლოთ, საალდგომოთ, დიდ მოსაკითხებს, როგორც მეგობარს, უგზავნიდა ხოლმე მამაჩემი და ისიც დიდი მადლიერი იყო: მოუვიდოდა თუ არა მამაჩემს მისი შვილების წიგნები რუსეთიდან, თვითონ პოსტიმეისტერი მოარბენინებდა ხოლმე მამაჩემთან და აღარც კითხულობდა: „ქტო ტაკოი როსტომ წერეთელიო?"

კულებიაკინი ჭკუიანი და კეთილი კაცი იყო და ხალხსაც ძალიან უყვარდა, მაგრამ ერთი წუნი ჰქონდა: უცბათ რაღაცა მოუელიდა და აყვირდებოდა ხოლმე, მაშინ მის მრისხანებას საზღვარი აღარა ჰქონდა. ამ გუბერნატორს ჩვეულებათ ჰქონდა, რომ სადმე წავიდოდა სოფლათ, სვიტას იახლებდა და წინ ბაირაღს გაიძღოლებდა. ერთხელ საჩხერეშიც ამ გვარათ მოვიდა. თითქმის მთელი საწერეთლო, დიდი და პატარა, თავად-აზნაურებთაგანი, შუა გზაზე მიეგება და თან წამოჰყვა. კულე-

ბიაკინმა თავ-მომწონეთ თავისი ბედაური შეათამაშა. ცხენს რაღაცა წასცდა. ერთმა ახალგაზდათაგანმა თ. ა. მ. სიცილი აიტეხა. გუბერნატორმა შეჰყვირა თავისებურათ! ახალგაზდა უადგილო მხიარულებისათვის გაქაჩეს და სატუსაღოში, ქუთაისისაკენ, უპირებდენ გაგზავნას...

მამაჩემი თავის დროზე გათქმული მოჭადრაკე იყო, ვერავინ უგებდა. განსაკუთრებით ღენერლის შტაბის აფიცრები იყვენ მონდომებული, რომ როგორმე მოეგოთ, მაგრამ ვერას აწყობდენ. ერთხელ ღენერალ-გუბერნატორს — გ. ერისთავს — შემოეთვალა: თბილისიდან ერთი შესანიშნავი მოჭადრაკე პოლკოვნიკი გვეწვია, შენთან თამაში სურს და, თუ დრო გაქვს, მოდი, ჩემთან არისო. აბა, შენ იცი, თუ შენებურათ გვასახელებ ქართველებსო. მამაჩემიც წავიდა და გაიმართა თამაშობა. პოლკოვნიკმა დაინახა, რომ მოპირდაპირე ახირებულათ ეთამაშებოდა და ჰკითხა: თქვენ, როგორც პირველსავე გამოსვლაზე გეტყობათ, თეორია არ უნდა იცოდეთო: კუთხის პაიკი რა ხელმოსაკიდებელი იყოო.

— თეორია რა არის? — ეკითხება მამაჩემი.

— სხვა-და-სხვა სათამაშო კანონები.

— ჩვენ, ქართველებმა, ერთი კანონის მეტი არ ვიცით: ისე უნდა ეთამაშო, რომ მოპირდაპირეს მოუგო.

— ეგ მართალია, მაგრამ უთეორიოთ არ შეიძლება.

— არ ამიხსნით მაინც, რა არის თეორია?

— სხვა-და-სხვა გამოჩენილი მოჭადრაკების ნათამაშევი, რომელიც სხვებისთვის სამაგალითო კანონათ დარჩენილა.

— ჰო, ისემც კარგი დაგყმართოს. ისინიც ხომ ჩემისთანა მიწიშვილები იქნებოდენ, ციდან ხომ ვერ ჩამო-

ფრინდებოდენ. ახლა ჩემ თამაშსაც უგდე ყური და, თუ მოგეწონოთ, ჩაწერეთ და თეორია იქნებაო.

პოლკოვნიკმა დაიწყო თამაში და არ გაუვლია დიდ-ხანს, რომ კიდეც წააგო. შეწუხდა და თქვა: „აშიბკაო“. ითამაშეს მეორე, კიდევ წააგო და თქვა: ,,აშიბკაო''; მესამე, მეოთხე, მეხუთე!.. გაცხარებული პოლკოვნიკი აგებს და თან იძახის: „აშიბკა, აშიბკაო''. მამაჩემს გაეცი-ნა და უთხრა: პოლკოვნიკო, ტყუილად ნუ ფიქრობ რომ მოიგო, სანამ, ეგ ვიღაც ,,აშიბკა'' გადაგკიდებია, მაგას თავიდან არ მოიშორებო! ეს ხუმრობა მის მოპირდაპი-რეს ეწყინა, შეურაცყოფათ მიიღო და ხმა-მაღლა ლაპა-რაკი დაიწყო. მამაჩემმა დამშვიდებით უპასუხა: ნარდი, ჭადრაკი და სხვა ამ გვარი სათამაშოები სასიამოვნოთ და დროს გასატარებლათ გამიგონია ჩვენშიო, ხუმრობაც შეშვენის და მეც ჩემი ქვეყნის ჩვეულებაზე ვადგივარო და თქვენში თუ საწყენი და გასაჯავრებელი ყოფილა, ჩემთან რა გინდა, ისევ თქვენებთან გეთამაშნაო. გაჯავ-რებულმა დაავლო ქუდს ხელი და გამოვარდა გარეთ. აი, ამისთანა ხასიათის კაცი, რომელიც გარეთ, სხვაგანაც არ იშლიდა თავის ახირებულობას, რა უნდა ყოფილიყოს შინაურობაში, სადაც დამოუკიდებელი ბატონი იყო? მართლაც, ბევრს ახირებულობას ჩადიოდა და ხელს უშ-ლიდა დედიჩემის ყოველთვის წინ-და-წინ მოფიქრებულ და გონივრულ განკარგულებას.

მახსოვს, ერთი გლეხი გადაგვიშენდა და ოჯახში არაევინ დარჩენილა, გარდა ერთი ოთხმოცდაათი წლის მოხუცისა, რომელსაც აღარც მამულის მოვლა შეეძლო და აღარც თავის საკუთარი თავისი რჩენა. რომ საგლეხო ადგილ-მამული არ გამცდარიყო, მამაჩემმა მოინდომა იმ ბერიკაცის სასახლეში გამოყვანა. მოხუცმა, რასაკვირვე-

ლია, შორს დაიჭირა თავის სახლ-კარის თავის დანებება; იმას უნდოდა, რომ თავის სიცოცხლეში არ ენახა მის ქოხში გამქრალი ცეცხლი, იქვე მომკვდარიყო, სადაც მისიანები ცხოვრებდენ და ბოლოს იძათვე საფლავს ამოწოლოდა გვერდით. ნებით რო ვეღარ დაიყოლიეს, ბატონმა ბძანა, რომ ძალით გამოეყვანათ და კიდეც გაუგზავნა კაცები. ეს ამბავი არაკის არ მოსწონდა სასახლეში: მოსამსახურეები, ბიჭები, გოგოები, ყველანი ჩურჩულობდენ:ნამსახური კაცი თავის სახლიდან რა გასაგდებიაო? ნაერგოგულარს და ნამსახურს კაცი ძაღლსაც არ გაიმეტებსო. ამას მოვკარი მე ყური და გავიქეცი მამაჩემთან. ის ნიგოზ ქვეშ ჩეროში იყო მხართეძოზე წამოწოლილი; მივედი და ვკითხე: მამა ბატონო, ჩვენი მურა რო დაბერდეს, აღარაფერი არ შეეძლოს, აღარც ყეფა და აღარც ღრენა, მაშინ რაღა ვუყოთ მეთქი?

— რაში გეკითხება, შვილო? თუ მანგრე დაბერდება, მჭადს აჭმევენ და იქნება თავისთვის, სანამ არ მოკვდებაო.

მაშ, თუ მანგრეა, კაცი უკეთესი არ არის ძაღლზე მეთქი. ბერიკაცს რომ თავის სახლ-კარს აშორებ და გაგამოგყაევს, ის კი არ გეცოდება-მეთქი.

ამ სიტყვებმა ისე დააფიქრეს მამა-ჩემი, რომ ხელ-ახალი განკარგულება მოახდინა: თავი დაანებეთ იმ ბერიკაცს, დარჩეს თავის სახლში და საზრდოც მიუჩინეთო. მასუკან ხშირათ იტყოდა ხოლმე: ჩემი დაუფიქრებლობით კინაღამ ცოდვაში ჩავვარდიო, მაგრამ ანგელოზმა მამხილა ბავშის პირით, ვენაცვალე იმის ძლიერებასო.

ხშირათ მამაჩემს სახარების კითხვა უყვარდა, მაგრამ იმ კილოთი, რა კილოთიც წირვაზე კითხულობენ ხოლმე და ისე გაიტაცებდა ხოლმე კითხვა, რომ სახარებაში გამოხატულ პირებს ემუსაიფებოდა. მაგალითად: „ჰი

შენს მადლს“, „ვენაცვ=ლე შენს სახელს“ „იცის, ბიჭმა“ და სხვანი და სხვანი. ამგვარ სიტყვებს ჩაურთავდა ხოლმე, მოსაწონ აზრს მოიწონებდა და საგმობელს გმობდა. ერთხელ, სახარეპის კითხვის დროს, როდესაც მივიდა იმ ადგილამდინ, სად-ც ფარისევლები შეცდენას უპირებდენ ქრისტეს და ქრისტეც უბძანებდა მათ: „მიეცით კეისრისა კეისარსა და ღვთისა ღმერთსაო“, მამაჩემმა ჩვეულებრივათ წამოიძახა: დაგესხაო თავს ლაფი, გინდოდათ, რომ მოგეტყუებიათო? ჰოი, ახლა ნეტავი თქვენი თავი მომცა ხელში, რომ ეგ წვერები სულ ღერ ღერათ დაგაგლიჯოთო! ამ სიტყვებს დედაჩემმა მოჰკრა ყური. გამოვიდა მეორე ოთახიდან და ჰკითხა: ბატონო, ვის უჯავრდებით მაგრე გულითო? — ვისა და ამ შეჩვენებულ ფარისევლებსაო — გულმოსულათ უპასუხა მამაჩემმა.

— შე დალოცვილო, მაგ სიშორეს რომ არ წაეპოტინო—მიუგო დედაჩემმა—შინ რომ საკუთარი ფარისეველი გყავს, რატომ იმას-კი არაფერს ეუბნებიო? შენმა მოურავმა მთელი ოჯახი აურ-დაურია, მაგის თავგასულობას საზღვარი აღარა აქვს. რამდენი ხანია გეხვეწები, რომ ამ ოჯახს ეგ როგორმე მოაშორო, მაგრამ ის ფარისევლობით თვალებს გიხვევს და ჩემი აღარა გჯერარაო. ამის თქმა და მამაჩემის ზეზე წამოვარდნა ერთი იყო: მომგვარეთ მოურავიო—დაიყვირა. მოიყვანეს ნამძინარევი მოურავი, მაგრამ, სანამდი ის რასმე იტყოდა, მიაძახა ბატონმა ბიჭებს: „მე ფარისეველი სახლში აღარ მინდა, დააყოლეთ ეგ შეჩვენებული თავ-დაღმართზე და მიაყოლეთ პანღური, რომ სასახლისაკენ პირი აღარა ქნასო!“

ეს მოურავი, მართლა საძაგელი რამ იყო, მაგრამ მამაჩემი მაინც არ ელეოდა და დედა-ჩემმა, რომ იცოდა

მამიჩემის ხასიათი, სახარების კითხვაში შეურჩია დრო და ძლივს გადაარჩინა ოჯახი იმ ცუდი მოურავისაგან.

ამით ვათავებ მამაჩემზე საუბარს, თუმცა ბევრი რამ შემეძლო, რომ კიდევ მეთქვა.

ჩვენი სახლის ზედა სართულს ოდა ერქვა, ქვედას, პალატი და ორივეს საერთოდ-კი—სასახლე, რომელსაც ირგვლივ, სამი კუთხით სხვა-და-სხვა შენობა ერტყა: სამოახლო, საფარეშო, სახაბაზო, სამზარეულო, ბეღლები, საბძლები, სასიმინდეები, მარანი და სხვა-და-სხვა ხულები. იმათზე ცოტა მოშორებით საჯალაბო იყო და იმ საჯალაბოს გარს ერტყა საჯინიბო, სათხებო, საღორე, საქათმე, საბატე საინდოურე და სხვანი. სამოახლოში ქალები იდგენ და სამ ხარისხოვანათ იყოფებოდენ: გამდლებათ, მოახლეებათ და გოგოებათ. გამდელი, როგორც ოჯახის ერთგული, ნამსახური და მოჭირნახულე, დიდპატივში იყო, ხმა ჰქონდა საოჯახო საქმეში და ბატონიშვილების გამოზდაც მის ხელში იყო. ეს ყოველ ოჯახში საზოგადოთ ძველთაგანვე მიღებული იყო, მაგრამ დედა ჩემი-კი ამ კანონს არ დასდევდა და უფრო თვითონ ზდიდა შვილებს. მოახლე, ქალბატონთან თანშეზდილი და ნამზითვი, მისი ხელზე მოსამსახურე იყო; გოგო-კი—ყველას მორჩილი და მოსამსახურე იმათ გამდლები ადევნებდენ თვალ-ყურს და სწვრთნიდენ; საქმე არ გამოელეოდათ ხოლმე: ჭრა, კერვა, ქსოვა, ქარგვა, რეცხვა, აბრეშუმის მოყვანა და სხვა ამგვარი რამ ხელსაქნარი მათი პირდაპირი მოვალეობა იყო. კაცებს უფრო ცოტა საქმე ჰქონდათ სასახლეში. სახაბაზოში ხაბაზები იდგენ; დღეში ორჯელ გაახურებდენ თორნეს, გამოაცხობდენ საცხობს და სხვა საქმეს, რაც უნდა საჭირო ყოფილიყო, ხელს არ მოჰკიდებდენ. სამზარეულო მზარეულებს ეჭი-

რათ ხელში და ისინიც ხაბაზობის კვალობაზე მიდიოდენ-
შარან-ბეღლები ხელოსნებს ებარა, სასიმინდე და ხულე-
ბიც მათი საქმე იყო; საბძლები კი მეჯინიბეებს ჰქონდათ
მიჩენილი. მოჯალაბე და მწყემსები ცალკე წრეს შეადგენ-
დენ. ყველას თავისი საკუთარი, ძველითგანვე დაწესებული
და გადაჭრილი საქმე ჰქონდა: სხვა საქმეს ხელს არ ჰკი-
დებდა, სხვების საქმეში არ გარეოდა; იცოდა მხოლოთ
ის, რაც მისი საქმე იყო და კიდეც ასრულებდა, თქმა
აღარ უნდოდა. ეს ყველა ასე იყო, მაგრამ, რადგანაც
ამგვარი საქმის კეთება მაინცა და მაინც ბევრ დროს არ
მოითხოვს, ბატონი მხლებლებიც უმეტეს ნაწილათ უსაქ-
მურათ ბრძანდებოდენ და სიზარმაცით დათენთილი იყვენ-
მხოლოთ ფარეშებმა არ იცოდენ, რა უნდა გაეკეთებიათ,
თუ ბატონები არ მიუთითებდენ, ისე, თავის თავად, ხელს
არაფერსა ჰკიდებდენ.

ჩვენ სახლს წინ დიდი ეზო ჰქონდა, სადაც უზარ-
მაზარი ნიგვზები, ანუ, როგორც ზოგან ეძახიან, კაკლის
ხეები საჩრდილებლათ თავ-მომწონეთ შლიდენ შტოებს.
სახლის წინ კარის ეკლესია იყო აგებული უკან საქა-
ლებოთი. ძველათ, საქართველოში არც ერთი ეკლესია
არ აშენდებოდა ისე, თუ უკან საქალებოც არ ეშენებო-
და მიდგმული. წირვა-ლოცვის დროს საყდარში წინ
კაცები იდგენ და უკან საქალებოში-კი ქალები. რასა-
კვირველია, არავის მამაკაცთაგანს ფიქრათაც არ მოუვი-
დოდა, რომ ზურგი მიექცია ხატებისაკენ და ქალებისა-
თვის დაეწყო ცქერა!. დღეს-კი, როდესაც რუსულ წეს-
ზე აშენდა ჩვენი საყდრები და საქალებოს აღარ აკეთებენ,
ქალები და კაცები არეულათ შედიან საყდარში. ნახევ-
რად ტიტველა ქალები თვალს იტაცებენ კაცებისას და
მლოცველებსაც ზეციური სასოება ქვეყნიურ იმედებზე

გადააქვთ. სიხლი უღელავთ და გულისთქმა ებილწებათ. თითქმის ყოველ დიდ ოჯახს ჰყავდა ძველათ საკუთარი მღვდელი; წირვა-ლოცვა გაუწყვეტელი იყო და ადრე მდვდელსაც უფრო პატივსა სცემდენ, ვიდრე დღეს. მეფე და მთავრებიც შენდობას თხოვდენ მღვდელს და ხელზე ეამბორებოდენ; მხოლოთ ბატონები თავის საკუთარ მღვდლებს, რადგანაც სულ ერთად იყვენ, არა ჰკოცნიდენ ხელზე, ამიტომაც დარჩენილა ჩვენში ანდაზა: „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“.

აი, ვრცელი სახე, როგორც საზოგადოთ ყველა დიდ-ოჯახებისა, ისე ჩვენი მოსახლ-კაროობისაც! ახლა, ეგება ვინმემ იკითხოს, თუ რათ უნდოდათ მაშინდელ ბატონებს ურიცხვი ფარეში სასახლეში მაშინ, როდესაც საქმე არა იყო რაო? ამის მიზეზი იყო მაშინდელი ბატონ-ყმობის წესი და რიგი, ძველათგანვე ისე რჯულათ დაკანონებული, რომ მისი გატეხა ცოდვათ მიაჩნდათ.

ბატონ-ყმობა ჩვენში პიროპით იყო და არა უსაზღვრო, როგორც სხვაგან. ყმებმა იცოდენ, რა უნდა გადაეხადათ, ბატონებმა—რა უნდა გადაეხდევინებინათ და ორივე მხარე შეურყევლათ ასრულებდა თავის მოვალეობას. სხვა-და-სხვა გვარის და სხვა-და-სხვა სოფლის გლეხები, სხვა-და-სხვა გვარათ იყვენ დაბეგრილი, ზოგს მეტი ემართა, ზოგს ნაკლები, ზოგს სულ ამოკვეთილი ჰქონდა ბეგარა და გააზატებული იყო. ერთ ჩვენ გლეხთაგანს, სხვათა შორის, ნახევარი კვერცხიც ემართა. ყველიერის დაურწყებას ჩამოვიდოდა სასახლეში, სამზარეულოში შეწვავდა კვერცხს, გაფცქვნიდა, მერე გაჰყოფდა ძუით შუა და ნახევარ კვერცხს მიართმევდა ბატონს, როგორც ბეგარას. ნახევარ კვერცხის ბეგარა ისე აწუხებდა იმ გლეხს, რომ რამოდენჯერმე თხოვა ბატონს: ამომიკვეთე და ერთს

ძროხას მოგართმევო, მაგრამ პასუხად ამას ეუბნებოდა: საშვილი-შვლო ვალდებულება რომ მე მოვსპო ძროხის გულისთვის, ეს ღორმუცლობა იქნება და თუ სხვებ გამოიჩენ როგორმე თავს ერთგულობით, მაშინ კი შეიძლებაო. მართლაც, ჩვენს სამოახლოში სახადი გაჩნდა, ავათმყოფები გადახიზნეს. საორმოცომ ისე შეაშინა ყველა, რომ ავათმყოფებს არავინ ეკარებოდა; მაშინ ამ გლეხკაცმა იშოვა დრო, დაადგა თავზე ამ გადაწოლილებს და უპატრონა. ამ ერთგული სამსახურისათვის ამოუკვეთეს ნახევარი კვერცხის გადახდა.

ერთ გლეხს წელიწადში ათი კოკა ღვინო ემართა; ერთ წელიწადს ღვინო აღარ მოუვიდა და ბატონმაც კოლოტებით ღვინის მაგიერ ათი კოკა წყალი გამოატანია და ჩაასხმევინა ჭურში. ღვინო რომ არ მოუვიდა, ის ღვთის ნება იყოო, გლეხ-კაცს მუშაობა და შრომა მაინც არ დაკლებიაო და რაც არა აქვს, რა უნდა გადავახდევინოო, მაგრამ წყალი ხომ ზედ კარზე ჩამოუდისო და მიტომ გამოვატანინე, რომ არ იფიქროს, ბეგარა ამოკვეთილი მაქვსო. რაც მამა-პაპიდან არ მართებს, იმაზე მეტს არას ვთხოვ, მაგრამ რაც მართებს, იმას კი ვერ შევარჩენო, რადგანაც მამებს ასე გადმოუციათ ჩვენთვის და შვილებსაც ასე უნდა გადავცეთო. თვითონ გლეხებიც მტკიცეთ იდგენ თავის პირობაზე და ნამეტანის გადახდას სიკვდილს არჩევდენ.

როგორც სოფელი შრომა ქათმით, რაჭა ხბოთი და არგვეთი ცხვრით, ისე თავასა ღორის სიკეთით იყო განთქმული. თავასელ გლეხებს ბეგარათ ედვათ, რომ ყოველ წელიწადს, ნაშობევს, დაურწყების კვირაში, თითო ბურაკი გამოეტანათ სასახლეში. ჩვეულებათა ჰქონდათ, რომ მარჯვენა ფეხი უნდა მოეჭრათ გამოტანილ ბურა-

კისათვის და უკანვე წაელოთ შინ. ამას ბედის დაბრუნებას ეძახოდენ.

ერთხელ ერთ გლეხთაგანს გზაში დაგვიანებოდა და რომ დამარხვდა, მეორე დღეს მოიტანა ბურაკი. ბატონი გაუწყრა და ის ბურაკი იქვე დაბმულ დათვს გადაუგდო. დათვმა, რასაკვირველია, მაშინვე დატორა. გამწარებულმა გლეხმა გაიმეტა თავი, შეეჭიდა დათვს, გამოგლიჯა ბურაკი, მოჭრა მარჯვენა ფეხი და დანარჩენი ისევ გადაუგდო: „არა, შენი ჭირიმე—მიაძახა, - როგორც დამნაშავეს, რაც გინდა ის მიყავითო, მაგრამ ჩემს ბედსა და მამა-პაპის ჩვეულებას დათვს ვერ შევაჭმევო“.

გრიგოლ წერეთლის შვილი—ნესტორ წერეთლის მამა, დიმიტრი, რუსეთში იყო გამოზდილი. დაბრუნდა თუ არა, ოფშქვითელი ნიჟარაძის ქალი შეირთო, მდიდარი მემკვიდრე. ჩაესახლა იქ და მეოჯახობას მიჰყო ხელი. ერთ ღამეს ვიღაცამ თოფი ჰკრა და მძინარი მოჰკლა. მკვლელობა მიაწერეს ცოლის ნათესავებს, როგორც გარეშე მემკვიდრეებს. დაიჭირეს, ბევრი დასაჯეს, ზოგი ციხეში გამოახჩვეს და ზოგი ციმბირში გაგზავნეს. გაიარა ორმოცდა-ათმა წელიწადმა. ერთმა მოხუცებულმა სოფლელმა, სიკვდილს წინეთ აღიარა საჯაროთ შემდეგი: „მე ვიყავი დიმიტრი წერეთლის შინაყმა, ერთხელ კამბეჩები დარჩენილიყვენ ღამე საჩეხს გარეთ და ბატონმა გვიბძანა, რომ შეგვერეკა საჩეხში; ჩვენ, რასაკვირველია, უარზე დავდექით, რადგანაც მწყემსები არ ვიყავით, მაგრამ ბატონი გაგვიწყრა და გვიბძანა: მე ეგეები არ ვიცი, რასაც გიბძანებთ, ის უნდა გააკეთოთო. ეს გვეუცხოვა ჩვენ, ფარეშებს, პირობა შევკარით, რომ მოგვეკლა. წილი ვყარეთ და მე მერგო. იმ ღამეს მივეპარე მძინარს ფანჯრიდან და თოფი ვკარიო“. ამ რამდენიმე მაგალითებიდან მკი-

თხველი ცხადათ დაინახავს, თუ რა მძიმეთ იდგენ თავის მოვალეობაზე ბატონიც და ყმებიც. აზატ გლეხებს არაფერი გადასახადი არ ემართათ და მიდიოდენ საბატონო აზნაურების კვალობაზე: გამოჰყავდათ სასახლეში თითო პატარა ბიჭი ხელზე მოსამსახურეთ და იმით თავდებოდა მათი მოვალეობა. აი, სწორეთ ამ მიზეზით აიხსნება ის გარემოება, რომ დიდ ოჯახებში ორმოც-სამოცობით ეყარენ ფარეშები და საქმეს-კი არაფერს აკეთებდენ. ბატონ-ყმობის დროს მხოლოთ მოჯალაბეები იყვენ საზოგადო კანონს, რიგსა და ჩვეულებას მოკლებულნი. გლეხი, მიწა-წყლის პატრონი, და მოჯალაბე, უმიწა-წყლო, სულ სხვა-და-სხვა იყო. მოჯალაბეთ გახდებოდა მხოლოთ ნაყიდი, ანუ ტყვეთ წაყვანილი და სრული მონაც იყო მისი პატრონისა. მოახლეთაც მოჯალაბის შვილები უნდა გაეყვანათ და გლეხისას ვერ შეეხებოდენ, გინდ ობოლიც ყოფილიყო.

სიკო წერეთელს ერთი გლეხი გადაუშენდა და უპატრონო ობოლი მოსამსახურეთ გამოიყვანა. სოფელმა იწყინა და მოციქული მოუგზავნა: მიწა-წყალი თქვენია, საკომლოს რაც გნებავთ, ის უყავით, მაგრამ ობოლზე-კი ხელი არა გაქვთ და დაგვიბრუნეთ, რომ ჩვენვე ვუპატრონოთ და გავათხოვოთო. ბატონმა, რასაკვირველია, ყურადღება არ მიაქცია მათ თხოვნას. ერთ დღეს რაღაც უჩვეულო ხმაურობა მოისმა საჩხერეში; გაიხედეს და დაინახეს, რომ ყვირილის პირათ ხვადაბუნები მოდებული იყო გლეხ-კაცებით, კალიასებ მოფენოდენ ჭალებს, შემოვიდენ საჩხერეში და შემოერტყენ ირგვლივ წერეთლის სახლს ყვირილით: ნუ ჩადიხართ უსამამართლობას, გოგო დაგვიბრუნეთო. როდესაც ბატონი გაუძალდა, გლეხებმა შეუყარეს კეტები ხის სახლს და სულ ჭრიჭინ-ჭრი-

ჭინი დააწყებინეს. შეშინებულმა ბატონმა დაუბრუნა გოგო და გლეხებმაც სულ მაყრულითა და ვარხალალოთი წაიყვანეს თავის სოფლისკენ. იმ დროს დიდი სვიმონ წერეთელი, სახუცის შვილი, მეფის სიძე, ღრმა მოხუცებული კიდევ ცოცხალი იყო; იწყინა ეს შეურაცხყოფა გლეხებისაგან, შეაკაზმინა თავისი ლურჯი ბედაური (მთელ საწერეთლოში მისი ლურჯი ბედაური იმ დროს გათქმული იყო), შეჯდა და დაიძახა: „მდევარიო!“. მაშინ ყველა მებატონეებს ბედაურებით საჯინიბოები გავსილი ჰქონდათ. თვალის დახამხამებამდი გამოეწყვენ, შეეკაზმენ წერეთლის შვილები, თან იახლეს დაიარაღებული აზნაურშვილები და გამოუდგენ გლეხებს. ხვადაბუნებში, ყვირილის პირათ, მოსწვდენ. გლეხებმა რომ დაინახეს მათზე მიმავალი ცხენოსანი ჯარი, მობრუნდენ, მოიმარჯვეს ხელ-კეტები და დაეწყვენ რაზმებათ. წამოდგენ წინ მოხუცებული გლეხები, მიეგებენ ბატონებს, დაუჩოქეს და მოახსენეს: ნუ იზამთ მისთანა უსამართლობას, რომელიც არც თქვენს ძველებს და არც ჩვენს ძველებს არ ჩაუდენიათო, ნურც თქვენ თავს გაგვამეტებიებთ და ნურც ჩვენ ამოგვწყვეტთ ცუდ უბრალოთო. ორივე მხარე მაგრათ იდგა და ვინ იცის, რით გათავდებოდა საქმე! მაგრამ ამ დროს გაჩნდა მისი ჭაკი ცხენით ოქროპირ ღვდელი, წერეთელი და ჩამოვარდა შუა კაცათ: როგორ გეკადრებათ გლეხ-კაცების თავის გაყადრებაო!—მიუბრუნდა წერეთლებს, თავი დაანებეთ, მთავროპას შეატყობინეთ და ის გაცემს მაგათ თქვენ მაგიერ პასუხსო. მართლადაც. გლეხ-კაცები ძალიან დასაჯეს, ზოგი დააპატიმრეს და ზოგიც გაგზავნეს. საკვირველი ეს იყო, რომ ეს ხალხი, რომელიც ჩხუბს უპირებდა შვენიერათ დაიარაღებულ ცხენოსან ჯარს, სრულიათ დაემორჩილა, მხო-

ლოთ ერთ ზასედატელს და ორ ყაზახ-რუსს. რა გაეწ-ყობაო — ამბობდენ, — ძალა აღმართს ხნავს, მტერმა რაც უნდა ის გვიყოს, მაგრამ შინაურობაში-კი წესსა და რიგს ვერც ჩვენ გაკტეხთ და ვერც სხვებს გავატეხინებთო. ამ გვარი მაგალითები ბევრი ყოფილა, მაგრამ სამინუშოთ ესეც კმარა.

ბატონ-ყმობის დროს, ჩვენში ცემა-ტყეპა ძალიან იშვიათი რამ იყო! თუ გალახავდენ ხელით, ან მათრახით, ან ჯოხით, ისევ პატარა ახალგაზდა ფარეშებს, თორემ დავაშკაცებულს არა. ამათ შესარ ხვენათ საკმაო იყო პანღური და ცალი ულვაშის აწევა. „როზგი“ ამ ბოლო დროს შემოიღეს, თორემ ადრე ქართველებმა მისი სახელიც არ იცოდენ. აი, რა გამიგონია მამიჩემისა და ბიძიჩემისაგან. 1830 წ. ქუთაისში შეკრიბეს იმერეთის თავად-აზნაურობა, რომ მარშალი აერჩიათ. იმ თავად-აზნაურებში ერთი თურმე კაპიტანი მიქელაძეც ერია, რომელსაც სუყველა ერიდებოდა. ზემოურებს თურმე გაუკვირდათ ეს და ჰკითხეს ქვემოურებს: რა მიზეზია, რომ მაგ დარბაისელ კაცს პირს არიდებთო. მეტი რაღა მიზეზი უნდაო — უპასუხეს ქვემოურებმა, — ეგ დალოცვილი, წამოაქცევინებს გლეხ-კაცებს, ჩაახდევინებს და სულ ისე არაზგვინებსო. ზემოურებმა რომ ეს გაიგონეს, იმათაც ზურგი უჩვენეს ათვალწუნებულ ვაჟბატონს.

ჩვენ ოჯახში მახსოვს, მხოლოთ რამდენიმე შემთხვევა, რომ კაცი დაესაჯოთ. და აი ერთი იმათგანი. ერთხელ სოფლიდან გამოვიდა მოხუცებული გლეხი და შეევედრა მამაჩემს: შენი ჭირიმე, ეგება მიშველოთ რამე, შვილი გამიმუტრუკდაო, ნაქართლი გახლავსო; როცა იქ მიდიოდა, გვარიანი ჭკუიანი ბავში გახლდათ, ახლა იქიდან რომ დაბრუნდა, ჭკუის ნიშან-წყალიც აღარ ეტყო-

ბაო. ჩაუცვამს რაღაც ქაჯურათ, იპრანჭება და სამუშაოთ ხელს აღარ ანძრევსო. ამან ყოველიფერმა კიდევ თქვენი ჭირი წაიღოს, მაგრამ ერთი მისთანა საქმე ჩაიდინა, რომ ოჯახსაც თავი მოჭრა და ჩვენ სოფელსაცო: საჯაროთ ყბაში სილა გაარტყა დედაკაცსაო... საბრალო ჩემი რძალი წყალში გადავარდნას აპირებდა, რომ ჩვენ არ დაგვეჭირაო.

მამაჩემმა გამოაყვანინა ნაქართლი ბიჭი, რომელმაც რაღაც ახირებულათ დაუწყო მუსაიფი ბატონს: კნიაზს გაუმარჯოს—უთხრა ბატონს. ბატონს გაუკვირდა და ცივათ უპასუხა: შენც ღმერთმა შეგარცხვინოს და შენი კნიაზიცა! ე, რას დამგვანებიხარ, რა ნაირათ ჩაგიცვამს?

— როგორ თუ რა ნაირათ, კნიაზ? ჩვენი ადათი ესე გახლავს.

— როგორ თუ თქვენი? სადაური?

— ქალაქური. მე გეურქ აღასთან ვიყავ ქარვასლაში. იქ ყველანი ასე იცმენ!

— კი, მაგრამ ეგ ქუდი რო განზე მოგიქცევია და მარტო ნახევარზე გახურავს, ნახევარმა თავმა რაღა დაუშავა?

— ეს ანჩისხატური გახლავს.

— ეგ კოპლებიანი ქამარიც ანჩისხატურია? წვეტიან ჩექმებზე რო შემდგარხარ, თითო ტკაველა რიკი მიგიცია ქუსლებისათვის და შენ საკუთარ სიმაღლეს რო აღარ ჯერდები, გინდა ცაც მოატყუო და დედამიწაც?

— ესეც ადათი გახლავს, კნიაზჯან.

— ადათი! ჰმ! მაშ, ისიც ადათი ყოფილა, რომ შენ დედაკაცი გაგილახავს?

— ვისი დედაკაცი? მე ჩემ ცოლსა ვცემე.

ამ მუსაიფს მოსამსახურეები ყურს უგდებდენ, უკ-

ვირდათ და თავის ქნევით იღიმებოდენ. ერთხანს ბატონ-საც ეცინებოდა, მაგრამ ბოლოს ვეღარ აიტანა მისი უზ-რდელი სიტყვა-პასუხი და დაიღრიალა: სტაცეთ ამ წუწკს ხელი, ბიჭებო! მოხადეთ ქუდი, გააძვრეთ ჩოხა, შემოხ-სენით ეშმაკის კოთხოებიანი ქამარი, გახადეთ ფეხს და მიაკარით ხეზეო!.. მოსამსახურეები მიცვინდენ და სიამოვ-ნებით აასრულეს ბატონის ბძანება. ბოლოს ბძანა ბატონ-მა, რომ სამოახლოდან გამოსულიყვენ გოგოები, სათითა-ოდ მისულიყვენ მასთან და ეთქვათ: ფუი, შეგირცხვა წვერ-ულვაში, რომ დედაკაცსა სკემო. ეს რო გაათავეს, ბძანა, რომ ხელ-შეკრული გაეყვანათ წყალ-გაღმა, იქ გაეხსნათ მისთვის ხელები, პანღური ეკრათ და გაეგდოთ. ეს ამბავი, ძალიან ეწყინა დედა-ჩემს, რო გაიგო და უსა-ყვედურა ქმარს, როგორ იქნება მაგრე გაკიცხვა კაცის და შერცხვენაო; ცხადია, რომ სულელია და მაგითი ეგ ჭკუას მაინც ვერ ისწავლისო. ამაზე მამა-ჩემმა ესა თქვა: მაგის ქკუას მე რას დავეძებ, მაგრამ სამაგალითოდ დავ-საჯე. რომ სხვებიც არ გაბრიყვდენ სოფელში და პრან-ჭიობა არ დაიწყონო.

აი, ასეთი იყო სახე იმ ოჯახისა, სადაც მე სოფლი-დან მიმიყვანეს.

სასახლეში რომ გამომიყვანეს, პირველ-ხანებში ძა-ლიან მოწყენილი ვიყავი. დედამ შემნიშნა ეს, მომიჩინა, პატარა ბიჭები და მიმანება თავი. მე ამ ახალ ამხანაგებ-თან ერთად დილიდან საღამომდე სულ მინდორში დავ-რბოდი; მხოლოთ სადილათ დამიძახებდენ ხოლმე. თვი-თონ დედაჩემი, როგორც წინეთა ვთქვი, მშრომელი იყო: დილიდან დაწყებული საღამომდე სულ ფეხზე იდგა; სა-ღამოს შემობრუნდებოდა სახლში და მაშინ ჩვენც დაგ-ვიძახებდენ ხოლმე. დაანთებდენ ბუხარში ცეცხლს, ბუხ-

რის წინ გაგვიშლიდენ შვლის ტყავს და დაგვსვამდენ ზედ. ირგვლივ შემოგვეხვეოდენ ბიჭები და მოგვიყვებოდენ ხოლქე ზღაპრებს. ზღაპარი რომ მოგვწყინდებოდა, მაშინ გავშაირდებოდით ხოლმე ერთმანეთში: ან გამოცანებს ვამბობდით და ან სხვებ როგორმე ვიქცევდით თავს ვახშმობამდე. დედა იქვე ტახტზე იჯდა ფეხ-მოკეცილი, წიგნს კითხულობდა თავისთვის, მაგრამ ჩუმათ-კი ყურს უგდებდა: ბიჭებს ურიგო არა წაცდეს-რა ყმაწვილებთანო. ჩემ ამხანაგ-ბიჭებში ერთი პატარა ბიჭი ერია დიდი გამოეშაკებული ყოველიფერში, მაგრამ გულისყური კი არა ჰქონდა. როცა დედა დაგვასწავლიდა ხოლმე ჩვენ ყველას საზეპირო ლოცვებს, ის ბიჭი ისე გამოშტერებული იდგა, რომ სიტყვის განმეორებას ვერ ახერხებდა. დედა ჩემს ეს ძალიან უკვირდა: „ისე ყოველიფერში მოხერხებულია და ნიჭიერიო და გულისყური-კი დახშული აქვსო!“ „ვაიკეთე სამი თითი“ —ეტყოდა ხოლმე გამოლენჩებულ ბიჭს, დაიდეგი შუბლზე! თქვი: „სახელითა ძამისათა!“ ახლა კიდევ ჭიპზე!.. თქვი: „და ძისათა“!.. ახლა მარჯვენა მხარზე... „და სულისა წმიდისათა!“ ახლა მარცხენაზე. „ამინ“!.. ბიჭი იმეორებდა, თუთიყუშივით, მაგრამ თავის-თავად კი ვერ ამბობდა. ბოლოს, რომ ვეღარა მოუხერხა რა, სულ დაანებეია თავი და ერთხელ, ბუხრის წინ რომ ვთამაშობდით, დედამაც ვითომ ხუმრობით მიუბრუნდა იმ ბიჭს და უთხრა: „პეტრე იყო ბელატიო!“ (მელოტი) უჩვენა, შუბლი და დაადეია სამი თითი. „წვერი ჰქონდა აქამდიო“. დაადეია თითები ჭიპზე—„ულვაშები აქედან-აქამდე“ — გაატანია მარჯვენა მხრიდან მარცხენაზე ხელი. ამ სიტყვების შემდეგ, რასაკვირველია, წარმოვიდგინეთ მოხუცებული პეტრე, თავ-ტიტველა, დიდი წვერებითა და ულვაშებით...

დავიწყეთ სიცილი და ზედი-ზედ ვიმეორებდით ზემო სიტყვებს ხან ერთი და ხან მეორე. შედეგი ამისი ის იყო, რომ უგულისყურო ბიჭმა პირჯვრის-წერა ისწავლა და მეორე დღეს ,,სახელითა მამისათაც'' გაიზეპირა. ჩვენს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. დედაც გამხიარულდა და მკითხა: ,,შენ არ იცი ჯერ ლოცვებიო?''—როგორ არა, სოფელში მასწავლეს და თუ იმას არ მათქმევინებდენ, ისე არ დამაძინებდენ ხოლმე-მეთქი და მოჰყევი ზეპირათ:

,,დავწვები, დამეძინება,
პირჯვარი დამეწერება,
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი
თავითა დამესვენება!''..

—

„ჯვარი მწყალობს ჯვარ-ცმული
ვერას მავნებს მაცდური!''

კარგი ლოცვაა, მითხრა დედამ, მაგრამ ეგ სოფლურია და ჩვენ კი სულ სხვა ლოცვები გვაქვს წმინდა მამებისაგან შედგენილიო და ის უნდა ისწავლოო''. მეც, რასაკვირველია, დავეთანხმე და ერთი თვის განმავლობაში ,,მრწამსი'', ,,მიწყალე'', ,,მამაო ჩვენო'', ,,წმინდაო ღმერთო'' და სხვანი სულ ზეპირათ ვიცოდი. ისე გამიგემრიელდა საზეპიროები, რომ წერა-კითხვის სწავლაც მოვინდომე, მაგრამ დედამ მითხრა: ,,ჯერ ბრიყვი ხარ და არ შეგშვენის წერა-კითხვაო; როცა დაჭკვიანდები და ხასიათიც კარგი შეგექნება, მაშინ გასწავლი, თორემ ჯერ შენ რა ღირსი ხარო!''.. ამ სიტყვებმა სულ ცეცხლი მომიკიდეს და ვცდილობდი დაჭკვიანებას, რომ ჩემ ძმებსავით მეც წერა-კითხვის ღირსი გავმხდარვიყავი. მეხარბებოდა, ესენი რომ კითხულობდენ და ბოლოს ჩემ-

მა ბედმაც გაჭრა. ერთხელ ჩემი ძმა, რომელიც რამდენიმე წლით ჩემზე უფროსი იყო, მღვდელს მოეხმარა და წირვაზე შვენიერათ წაიკითხა ,,სამოციქულო''. ნაწირევს დიდი და პატარა ყველა მის ქებაში იყო.

მე მეხარბებოდა და გული მწყდებოდა. ერთმა გლეხმა მკითხა: ,,შენ როდის-ღა წაიკითხავო?'' ჩემ მაგიერად მეორემ მიუგო: ,,როდინობის კვირეშიო!'' მივხვდი, რომ დაცინოდენ და მეწყინა. იმ დღეს ჩემ უფროს დას კალთა დავაგლიჯე ხვეწნით: კითხვა მასწავლე-მეთქი. იმანაც დამარიგა, დედამ არ გაგიგოსო, და ჩუმათ დამაწყებინა კითხვა: მოკლე ხანში ან-ბანიც ვისწავლე და ამოსაღებიც დავიწყე. ,,თუ აგრე კარგათ და გულ-მოდგინეთ ისწავლი, მალე სამოციქულოსაც დაგასწავლი და საყდარში წაგაკითხვებო—მეუბნებოდა ჩემი—და დედას ძალიან გაუკვირდება და მოგიწონებსო;'' მე, ამ იმედით წახალისებულს, დღე-და-ღამ მეტი აღარა მეფიქრებოდა რა. რა ვიცოდი, თუ ეს სულ დედი ჩემის ხერხი იყო, რომ წერა-კითხვა შემყვარებოდა! ამ ნაირმა წინდახედულობამ ძალიან შემაყვარა წიგნის კითხვა და ერთ წელიწადსაც არ გაუვლია, რომ მე მღვდელს ვეხმარებოდი. დედა ჩემი არ გვაქალაჩუნებდა ჩვენ. ,,ნამეტანი ალერსი აფუჭებს ყმაწვილო''—იტყოდა ხოლმე და მართლაც თუმცა გალახვა არ იცოდა ჩვენი, მაგრამ შიშით მაინც კი ძალიან გვეშინოდა მისი. არც ერთ დანაშაულობას არ შეგვარჩენდა, რომ არ გადაეხდევინებია ჩვენთვის; მაგრამ სასჯელი კი ახირებული იცოდა, მაგალითად, წიგნის კითხვის ნებას არ მოგვცემდა: „ღირსი აღარა ხართ, როგორც დამნაშავეო!'' და მაშინ უნდა გენახათ ჩვენი მწუხარება!... ,,იიი! იიი!''—დაგვცინოდენ ბიჭები და გოგოები სასახლეში „უწიგნოთ დარჩით, უწიგნოთ დარჩი-

თო!'' და მართლაც ჩვენს სირცხვილსა და მწუხარებას საზღვარი აღარ ჰქონდა. რამდენისამე წლის განმავლობაში ხუცური ზედ-მიწევნით ვიცოდი; მხედრული ჩემით ვისწავლე, ანბანის წერა ბეჭზე დავიწყე. რუსული კითხვა დედაჩემმა მასწავლა, მაგრამ სიტყვები კი ბევრი არც დედას ესმოდა და არც მე. ერთი ძველი, მოსკოვში დაბეჭდილი, ,,რაზლოვორი'' გვქონდა და იმას მაზეპირებიებდა ხოლმე. დედაჩემი სულ იმას ფიქრობდა, რომ ჩვენ უსაქმოთ არც ერთი წამი არ დავრჩენილიყავით და სწორეთ, რომ სიხარულით გვზრდიდა. სულ ფეხ-შიშველა და თავ-შიშველა დავრბოდით მინდორში, არც გაცივების გვეშინოდა და არც შიმშილის. ,,კაცი იმე უნდა იყოს დაჩვეული ბავშობიდანვე, რომ ცხოვრებაში ყოველიფერი აიტანოსო.'' — იტყოდა ხოლმე დედაჩემი და მართლაც, რომ მისი რჩევა ბოლოს გამოგვადგა. რომ უფრო დაწვრილებით გაიგოს მკითხველმა, თუ რა ნაირათ გვზდიდენ ჩვენ სოფელში, მე ავწერ წლიდან წლამდი რას ვაკეთებდით და ან დღეს როგორ ვაღამებდით?

დილას, გამოვიღვიძებდით თუ არა, ქვეშაგებშივე უნდა გვეთქვა ეს ლოცვა: ,,გმადლობ შენ, უფალო, ყოვლითა გულითა და სხ.".. მერე ხელ-პირს დავიბანდით, ჩავიცვამდით, წავდგებოდით ხატების წინ, საზეპირო ლოცვებს ვიტყოდით და ჩედაც დაუჯდომელს მოვაბამდით. ლოცვის შემდეგ პირს გავისველებდით, ე. ი. ცოტა რასმე ვისაუზმებდით, რომ იმ დღეს, გამოსვლის დროს, ჩვენთვის ჩიტს არ დაესწრო და არ ეჯობნა; მერე მივუჯდებოდით წიგნებს, ერთ ხანს ვკითხულობდით, ვსწავლობდით და, რომ მოვრჩებოდით, შემდეგ კი საღამომდე თავისუფალი ვიყავით. სადილათ მოგვიკითხავდენ ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ, როცა „სტუმროპიაში" თამაშს მოვინდო-

მებდით ხოლმე, გარეთ ვრჩებოდით და ერთად პატარა ფარეშებთან სუფრას ხეს ქვეშ სადმე ჩრდილში გავშლიდით. იქ, ჩვენ კერძს გარდა, მოსაკითხიც მოგვდიოდა. მასპინძლებათ ყოველთვის ყმაწვილები ვიყავით ხოლმე და სტუმრებათ კი—პატარა ფარეშები. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩვენი სტურები ძალიან უბოდიშოთ გვექცეოდენ და გვაბრიყვებდენ: გვეტყოდენ ხოლმე, დაგვახრჩვეო!.. დაგვიღებდენ პირს და რაც კი რამ გაგვაჩნდა, ვტენიდით პირში, განსაკუთრებით ცხელ-ცხელ ხაჭაპურებს. ისინი გააბამდენ ყვირილს: „ვაიმე ვიხრჩობით, ვიხრჩობითო“, აიტეხდენ განგებ ხველას და დაიწყებდენ ფართხალს. ჩვენ სრული დარწმუნებული ვიყავით, რომ ისინი იგონებდენ ყოველიფერს, მაგრამ ეს თვალთ-მაქცობა მაინც ძალიან მოგვწონდა, გვიხაროდა. საღამოს, შინ რომ დავბრუნდებოდით, დედა გვკიცხავდა ხოლმე: „რა ქენით? რა გააკეთეთ? რა ითამაშეთ? რა ილაპარაკეთ?“ და სხვანი... საზოგადოთ უნდა ვთქვათ, რომ სპარტანულათ გვზდიდენ. არ გვარიდებდენ არც სიცივეს, არც სიცხეს, არც დარს და არც ავდარს. დილ-დილობით ცვრიან ველზე ფეხშიშველას უნდა გვერბინა. პირველი თოვლი რომ მოვიდოდა, ფიფქზე რამდენჯერმე უნდა გაგვერბინ-გამოგვერბინა; დასოვლებული და სიცივისაგან გაჭარხლებული ფეხები ცეცხლზე უნდა შეგვეშრო. დარწმუნებული ვიყავით, რომ ამით ტან-მრთელობა მოგვემატებოდა. ახალ გაზაფხულზე რომ წვიმა მოვიდოდა, ჩვენ სახლის ღარს თავს ვუშვერდით, რომ ოქროს ხუჭუჭი ამოგვსლოდა. უმთავრესი ყურადღება ჩვენი წირვა-ლოცვაზე და მარხვაზე იყო მიქცეული. სამწუხარო დრო ჩვენთვის დიდმარხვა იყო; მთელი დღე საღამომდის, სანამ ლოცვა არ გამოვიდოდა, წყლის მეტს არაფერს მიგვაკარებდენ; სა-

ღამოსაც მარტო ხმელ პურს გვაძლევდენ. არა თუ შეჭამადი რამე, ღვინო, მარილი და ზეთიც კი აკრძალული გვქონდა. თამაშის ნებაც არ გვეძლეოდა. ცისკარს როგორ დავაკლდებოდით? ესენი ყველა ჩვენთვის ჯოჯოხეთი იყო და, რასაკვირველია, აღდგომას სულ-წასულობით მოველოდით. მასუკან ნახევარმა საუკუნემ გაიარა, მაგრამ დღესაც, დიდ-მარხვა რომ დადგება, მე ჩემს ქერქში აღარა ვარ და ვერც მოვიხდი სიკვდილამდე სიყმაწვილიდან დარჩენილ ზაფრას. საზოგადოთ დიდ-ოჯახებში ყველგან ამაოდ მორწმუნება იყო გავრცელებული: ყმაწვილებს ყველას სჯეროდათ, რომ ჭინკები, ქაჯები, კუდიანები და ეშმაკები ქვეყნად დადიან და ადამიანებს აშინებენო. ეს სენი ჩვენს ოჯახშიაც მოდებული იყო. ახლა, როგორც ვფიქრობ, ეს სულ მოსამსახურეების ბრალი იყო: იმათ, საზოგადოთ ბიჭსა და გოგოებს, აკრძალული ჰქონდათ ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა და თამაშობა: დღე ვერ ხედავდენ და ღამ-ღამობით რომ თავისუფალი ყოფილიყვენ და ვერავის დაენახათ, ბატონიშვილებს, ყმაწვილებს განძრახ აშინებდენ და ისინიც, დაღამდებოდა თუ არა, შიშით კარში ველარ გამოდიოდენ. არ მახსოვს ისე შევსულიყო ან საფარეშოში და ან სამუახლოში, რომ ათასი რამ უცნაური და საშიში არ ეთქვათ ჩემთვის. დედას რომ ვეტყოდი ხოლმე ამას, ის გაიღიმებდა და მიპასუხებდა ხოლმე; „არა, შვილო, ტყუილია! ვინც ცუდს არ იზამს და არც არას დააშავებს, იმას არაფერი არ მოეჩვენებაო.“

ამ გვარი სიტყვებით დაიმედებულს გული საგულეს მქონდა და უშიშარიც ვიყავი, მაგრამ ორმა შემთხვევამ გამიტეხა გული და ხასიათიც გამომეცვალა: ერთხელ, დღედა-ღამის გაყრის დროს გადავიპარე ბოსტანში და ნესვის

მოპარვას ვაპირებდი; დავუწყე ძებნა, გადავზი-გადმოვზიე ბარდები და მივაგენი ერთ მწიფე ნესვს; მოწყვეტა რომ დავაპირე, გამეკლო გულში: არავინ მიყურებდეს-თქო, დავანებე თავი, წამოვდექი ზეზე და მივიხედ-მოვიხედე. მეორეთ რომ დავაპირე და მოვინდომე ნესვის მოწყვეტა, თურმე ხელი დავაცდინე ბარდებს და იქვე სხვა ალაგას გადავშალე ფოთლები; იქ თურმე კატა იწვა. წამოვარდა ზეზე ფრუტუნით და გაიქცა. მე მაშინვე მომაგონდა ჩვენი მოსამსახურეების სიტყვები, რომ ,,კუდიანები რათაც უნდათ გადაიქცევიანო''; ამას გარდა, დედის სიტყვებიც მომაგონდა: ,,ვისაც არაფერი დაუშავებია, იმას არაფერი მოეჩვენებაო''. ვთქვი გუნებაში, მეტი დამნაშაობა რაღა იქნება, რომ ჩუმათ მინდოდა ნესვის მოწყვეტა-მეთქი? ალბათ კუდიანი იწვა ნესვათ და კატათ გადაიქცა-თქო. ერთი-ორი დავიკივლე და შემიწუხდა გული. არ გაუვლია ერთ კვირეს, რომ ამას მეორე შემთხვევაც დაერთო: ტალავერში მაღლა ყურძნის მტევნები იყო ჩამოკიდებული, მე პატარა ვიყავი და ვერ ავწვდებოდი, მაგრამ ჩემი უფროსი და კი კრეფდა ხოლმე; ერთხელ მთვარიან ღამეში შევნიშნე, რომ ჩემი და ტალავარ ქვეშ იდგა და ყურძენს კრეფდა. მივიჭერი და შევეხვეწე: ,,ანნა, გენაცვალე, ერთი მტევანი მეც მომიწყვიტე-თქო!'' ჯერ ხმა არ გამცა, მაგრამ, რომ აღარ მოვეშვი, მომიბრუნდა, უცბათ რაღაც წაიპურტყულა და დამეჭყანა. მისთანა თქვენმა მტერმა ნახოს, მე იქ სანახავი ვნახე: ჩემი დის მაგიერათ ვიღაც სხვა იყო! თურმე ჩემ უფროს ძმას, დავითს, რომელსაც კუჭის სისუსტის გამო ყურძნის ჭამა აკრძალული ჰქონდა, დის ტანისამოსი ჩაეცვა და ის'ე წასულიყო ყურძნის მოსაპარავათ. მე ესები რა ვიცოდი, ეშმაკათ მივიღე და გული შემიწუხდა. თუმცა ორიეე მემთხვევაში ჩემი შეცდო-

მა თვალდათვალ დამიმტკიცეს, მაგრამ ისე გამიფუჭდა ხასიათი, რომ ბნელაში, კარში გამოვიდოდი კი არა, ოთახშიაც ვერ ვრჩებოდი მარტო, თუმცა მერვე წელიწადში გადმომდგარი კი ვიყავი.

ერთხელ, ზამთარი რომ დადგა, მე და ჩემმა პატარა ფარეშებმა შვილდ-ოდლების კეთება დავიწყეთ. ქორაფის ხეს რომ ვაკოპიტებდი, დავიცილე წალდი, დავიკარი კოჭზე და შუა გავიპე. ტკივილს ისე არ შევუწუხებივარ, როგორც შიშს: ,,ვაი თუ გამიწყრენ-თქო''. მოვაგროვეთ აბლაბუდა, დავიდევი სქლათ გაჭრილზე, ზედ ბამბა დავიდევი და შევიკარი მაგრათ. მინდოდა არავისთვის გამემხილა, მაგრამ იმ ღამეს თურძე ქვეშსაგებში შემხსნოდა და სისხლის ტბა დამდგარიყო. რასაკვირველია, გაიგეს, მიაქიმეს და ნახევარი წლის განმავლობაში ტკივილი არ დამცხრობია. ბოლოს მოვრჩი, მაგრამ ძარღვები კი ისე დამისუსტდა, რომ მუხლი მომეღუნა და დავკუტდი. ბევრი მიაქიმეს, მაგრამ არა მეშველა რა. ამ ხანებში მამა ჩემი დეპუტატათ დაინიშნა ქუთაისში სათავად-აზნაურო კომისიაში. დედა ჩემმა ურჩია, რომ მეც წავეყვანე ქუთაისში და ექიმებისთვის ეჩვენებია ჩემი თავი. რადგანაც ფეხის გამართვა არ შემეძლო, ქალის უნაგირზე შემსვეს, ქალივით გადამადებიეს შეხუთული ფეხი და ისე წამიყვანეს. ქუთაისამდის ორი დღის სავალი იყო. გზაში უნაგირზე თურმე ფეხი დამეზილა, შეკრული ძარღვი გაიხსნა, ჩაეედი თუ არა ქუთაისში, ფეხი გამემართა, აღარც ექიმი დამჭირვები და აღარც წამალი.

რვა წლის ვიყავი, როდესაც სოფელს მომაშორეს და ქალაქ ქუთაისში გადამიყვანეს. აქ თავდება ჩემი ბავშობის პირველი ხანა ბედნიერი, ნაყოფიერი და დაუვიწყარი. აქიდანვე იწყება მეორეც: მტანჯავი, დამჩაგვრელი

და გამაუკუღმართებელი!.. მაგრამ, სანამ ამ მეორე ხანაზე ვიტყოდე რასმე, დავუბრუნდები ისევ ჩვენს სოფელს და მაშინდელ ცხოვრებიდან სამინუშოთ რამდენსამე სახასიათო შემთხვევებს გავიხსენებ. ზემოთ ვთქვი, რომ სპარტანულათ გვზდიდენ-მეთქი და, მართლაც, რაც უფრო ვიზდებოდით, წლიდან-წლობით, უფრო და უფრო გვეტყობოდა ამ გვარი აღზრდა. თითქოს ისე აღარ გვაქცევდენ ყურადღებას, როგორც სულ პატარაობისას და უფრო თავ-მინებებული ვიყავით. ბევრჯელ, გაზაფხულის დამლევს, ტობობის დროს, როდესაც ღრუდოებიდან ვამოსული თევზები ქარავნად აყვებოდენ დიდ მდინარეებს, რომ მერე იქიდან პატარ-პატარა ღელეებში შესულიყვენ ქვირითის დასაყრელათ, — გონჯურის პირათ, სხვებთან ერთად მეც მთელი ღამე გამითევია, ფაცერსაც ბევრჯელ მოვდგომივარ და გარეთაც ბევრჯელ ვწოლილვარ, მაგრამ არავის უთქვამს თუ ეგ საშიში, სახიფათო და ურიგო საქმეაო. ღამის თევის დროს, რომ ძილი არავის შემოგვპაროდა, მორიგათ ზღაპრებს ამბობდენ ბიჭები: ხან შაირებს, ხან ანდაზებს, ხან გამოცანებს და კიდეც ეს იყო, რომ ამგვარ ადგილებისკენ ჩვენც მიგვიხაროდა. ბევრს აღარც ჭამა-სმას დადევდენ ჩვენსას: ხან მეტსაც ვჭამდით, ხან მშიერიც ვიყავით, ხან ასე და ხან ისე: ხან ძვირფასათ მოგვრთავდენ ხოლმე, ხან უბრალოთ; ხან ბუმბულში ვგორავდით და ხან ხმელზე ვკოტრიალობდით. თანასწორობა არ იყო. რიგსა და წესს ვინ დადევდა? ავისაც და კარგისაც თანასწორათ შეგვეძლო ატანა; ამას არც არას ჩვენ ვნაღვლობდით და არც უფროსები გვეკითხებოდენ, მაგრამ ეს-კი იყო, რომ ცუდს არაფერს გვაბეჯვინებდენ. მაგალითად, თავი რომ გაგვეტეხა, გვეტყოდენ: „აი, შეგირცხვა თავი! შენხელა ბავშვმა როგორ არ უნდა იცო-

დეს თავის მოვლაო! გასწი, გასწი გაიზდები და დაგავიწ-
ყდებაო.“ ამ გვარი ცივი ნუგეშებით გაგვისტუმრებდენ
ხოლმე, მაგრამ სხვისთვის რომ უსამართლოდ წკიპარტი
გვეკრა, არ შეგვარჩენდენ და უთუოდ გადაგვახდევინებ-
დენ. ერთხელ, ტყაპა-ტყუპი რომ შამომესმა, მივირბინე
სახაბაზოს კარებთან და ხაბაზს ცხელი თორნოული გა-
მოვართვი. ჩემზე ადრე იმავე კარებს მიდგომოდა ჩვენი
წუწკი წითელი ღორი და შელრუჩუნებდა, მაგრამ ვინ
გაცემდა ხმას. მე რომ დამინახა, მჭადით ხელში, ამედევ-
ნა ჭყივილ-ჭყივილით, გავექეცი, გამომიდგა; წამოვკარი
ქვას ფეხი და გავგორდი მიწაზე; იმანაც იხელთა დრო,
მეძგერა და ზეამაღლიტა მჭადი. მოვრთე ყვირილი და
მივაშურე დედას. დედამ მომისმინა საჩივარი, შეკრა წარ-
ბები და მითხრა: „როგორ ამხელ სირცხვილით შე, ნა-
ცარქექია, შენაო? ბაბუა შენმა გარეული ტახი დაიჭირა
ყურით და შენ-კი ერთი შინაური წუწკი ღორიც ვეუ
მოგიგერებიაო... ავიღებდი ჯოხს და დავკრავდი თავშიო!
პატარა ხომ აღარა ხარ: დამდეგ თიბათვეს ექვსი წლის
გახდიო“. ამ სიტყვებმა ისე შემარცხვინეს, რომ მჭადიც
დამავიწყდა და ტირილიც. მთელი დღე ჩემ გუნებაზე
აღარ ვყოფილვარ, მით უფრო, რომ პატარა ბიჭები და
გოგოები, რომ ჩამივლიდენ ხოლმე გვერდს, დაცინვით
წაილაპარაკებდენ, ვითომ თავისთვის: „ღორის წაქცეუ-
ულოო“. ამ დაცინებამ ისე გამამწარა და გამაგულადა,
რომ მეორე დღეს ცალ ხელში მჭადი დავიჭირე და მე-
ორეში ჯოხი და განგებ ავუარ-ჩამოვუარე გვერდით ჩეგ
მტერს. წართმევას დაჩვეულმა ღორმა შამომიტია, მაგრამ
მე ვაშკაცურათ დავუხვდი და ვხეთქე თავში ჯოხი. ჩემი
მტერი ალბათ ამას არ მოელოდა, რომ შეჩერდა და შა-
მომიხორხოტა, მაგრამ, რომ მოვუნაცვლე მეორეცა და

მესამეც, იკადრა და გაიქცა. ახლა მე დავედევნე გაგულადებული. წინ ის და უკან მე! ის მიჭყივის, რაც შეუძლია, და მე-კი, რაც ძალი და ღონე მაქვს, კიჟინას ვაყრი. ვერ წამიჩვალ, შე წუწკო, შე ფრთხალო-თქო! იმ დროს სწორეთ ჩემი თავი პაპაჩემი მეგონა; შამოვარბენინე ღორს ორჯელ-სამჯელ სამოახლო, საფარეშო, თითონ ჩვენი სასახლეც და აღარ მოვეშვი, სანამ საღორეში არ შემივარდა. არ იფიქროთ, რომ მე იმის მტერობა მჭირვებოდეს და შურისძიება მდომებოდეს! არა, ეს ომი იმისთვის გადავიხადე, შეეტყო სუყველას, რომ მე ღორის აღარ მეშინოდა.

ღორზე ამ ძლევა-მოსილობამ ისე გამაგულადა და გამაუშიშარა, რომ, თუ-კი ჯოხი ხელში მექნებოდა, აღარაფრის აღარ მეშინოდა. საგმირო ზღაპრებმა, სავაშკაცო შაირებმა და ამბებმა იმდენათ გამიტაცეს თანდათან, რომ თავი გმირათ დავისახე. ერთხელ პატარა შინდის ხეზე გავედი, რომელიც ზღაპრულ ალვის ხეთ წარმოვიდგინე, და იქით-აქეთ ყურება დავიწყე, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხელმწიფეების სარაიები დამენახა, მაგრამ გადმოვვარდი, გაჩხდა ბრეგვა მიწაზე და ზურგის ტკივილმა მაგრძნობინა, თუ რა ზღაპრული „ღვთისა ვარ გმირი“ ვიყავი! საკვირველია, ამ გვარი მარცხები ხან-და-ხან გამომაფხიზლებდენ ხოლმე, მაგრამ მერე-კი ისევე ოცნება მერეოდა და ისევ გამანაცარქექიავებდა ხოლმე. ერთ საღამოს „კურდღლობიას“ ვთამაშობდით. ვისაც კარგი ხმა ქონდათ და მოყეფა შეეძლოთ, ისინი ვითამ მეძებრები იყვენ ხოლმე, ვისაც მუხლს ერჩოდათ, მწევრები, სხვები-კი უფრო ზანტები — კურძუალები და მონადირეები; კურდღელი-კი მორიგისი ვინმე. იმ დღეს, თუმცა მეძებრათაც კარგი ვიყავი, მაგრამ ზოგიერთებთან მწევრობაც მერგო. და-

იმალა კურდღელი, ავუშვით მეძებრები, მოედვენ არე-მარეს, დასცეს კურძუალებმა კიჟინა; წაქეზებულმა მეძებრებმაც ვითომ სუნი იცეს და კვალი აიღეს, ატეხეს ყეფა; ათი თუ თხუთმეტი ბავშვი სულ სხვა-და-სხვა ხმაზე ყეფდა... ყურთა სმენა აღარ იყო; მწევრებმა ყურები დაცქვიტეს და აიქოჩენ. ამ დროს თურმე ჩვენს ბაღში ნამდვილი კურდღელი ყოფილიყო შეპარული და გამოვარდა. ჩვენ დაგვავიწყდა თამაშობა და გავედევნეთ დიდიან-პატარაიანა იმ კურდღელს. კურდღელს თვალი წაუხდა: ხან იქით ეცემოდა და ხან აქეთ, მაგრამ სუყოველი მხრიდან ჩვენი ორ-ფეხი მეძებრები უყეფდენ და ისე აერია გზა და კვალი, რომ ხიმეში გაეკვეტა; მივასწარი და ვტაცე ხელი უკანა ფეხებში. რომ მაგრათ არ ყოფილიყო გაჭედილი, რასაკვირველია, მე იმას ვერ დავიმაგრებდი, მაგრამ მაინც გავაბი ყვირილი: მიშველეთ, დავიჭირე-მეთქი. მოცვივდენ სუყველა, დიდი ბიჭებიც მოგვეხმარენ და ცოცხალი მივგვარეთ ბატონს. იმ დღეს ჩემი ვაშკაცობის ამბავი ძალიან გაითქვა და მეც სწორეთ დავრწმუნდი, რომ კურდღელს ფეხ-და-ფეხ მოვწვდი და დავიჭირე-თქო. მას უკან, ხშირათ, საღამ-საღამოობით ბოსტნის ბოლოზე ვიცდიდი ხოლმე, ეგებ კიდევ გამოვარდეს კურდღელი და დავიჭირო-მეთქი. ალბათ, ეს შემნიშნა დედამ, რომ ერთხელ მიმიხმო და მითხრა: „შენ ხომ ამისთანაებში ტოლი არა გყავს და ერთ-ერთი შინაური კურდღელი დამიჭირე, სხვისთვის მინდა გასაგზავნათო“. მეც, რასაკვირველია, ვიკისრე; სახტართან, საქალებოს გვერდით საკურდღლე იყო მიშენებული და იქ შინაური ოეთრი კურდღლები ბუდობდნენ. დილიდან საღამომდის ვდიე ხან ერთს და ხან მეორეს, მაგრამ ვერ დავიჭირე და საღამოს, დედამ რომ მკითხა, ფაფვი მითი ვი-

მართლე, რომ ფეხები მტკივა-თქო. დედაჩემმა სიცილი დაიწყო და მითხრა: ,,პატარა კი აღარა ხარ, როგორ ვერ მიხვდები, კურდღლის დაჭერა ფეხ-და-ფეხ შენ კი არა, არა კაცს არ შეუძლიაო. შინაური რომ ვერ დაიჭირე, გარეულ კურდღელს შენ როგორ დაეწეოდი, თუ უცაბედათ ხიმეში არ გაკვეხებულიყოო!'' ამ სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, გულში ჩამახედეს, ვიგრძენი ჩემი ნაცარქექიაობა, შემრცხვა და გავწითლდი.

იმ დროში ჩაის არ სვამდენ, ეხოლოთ სტუმრებისათვის მოადუღებდენ ხოლმე, მაგრამ ბავშვებს მაშინაც არ ასმევდენ... ცხელი წყალი შიგნეულს გაუფუჭებსო და შაქარიც კბილებს წაუხდენსო. მე, რასაკვირველია, სული მიმდიოდა შაქარზე, მაგრამ ვინ მაჭმევდა? მაგიერათ, როდესაც შაქარს მტვრევას დაუწყებდენ ხოლმე, მე მივუცუცქდებოდი გვერდით შაქრის მტვრეველს და იქითაქეთ შორს გადაბნეულ ფხვნილს ქორივით მივჩერებოდი, მაგრამ მათი აღება ხელით მოუხერხებელი იყო; დასველებული თითები მზათ მქონდა, დავაწებდი ზედ და ელვასავით ვიტაცებდი პირში. ეს შემნიშნა ერთხელ ჩემმა უფროსმა და მირჩია—მაგას ნუ შვები, სიწუწკეაო; ჩუმათ თითო კვნიტ შაქარს მაძლევდა ხოლმე; მეც ეს მინდოდა და ღმერთს ვეხვეწებოდი: ღმერთო, სტუმრებს ნუ გამოგვილევ-თქო, რადგანაც უმისოთ, ვივიცოდი, შაქარს არავინ დაამტრევდა. ხშირათ დავუხვდებოდი ხოლმე წინ ჩვენგან წამავალ სტუმრებს და ჩუმათ ვეხვეწებოდი: თქვენი ჭირიმე, ხშირათ იარეთ-მეთქი; იმათ ეგონათ, თუ მე ეს სტუმართ-მოყვარეობით მომდიოდა, მიწონებდენ და ამბობდენ: რა კეთილია ეს ბავში და რა პურადი გამოვაო!.. რა იცოდენ, რომ მე მხოლოთ ჩემი ,,უსხის კუდი'' მაგონდებოდა, ე. ი. შაქრის

კვნიტი. პურადობის რა მოგახსენოთ, მაშინ რა პურადობა შემეტყობოდა, მაგრამ გულ-კეთილი კი მართლა ვიყავი: პირუტყვი რომ ჩემთან ვისმე გაელახა, ვატირებდი, თუმცა ღორი მეც კი გავლახე ერთხელ; მაგრამ ეს სულ სხვა იყო, მინდოდა მომეგერებია და ჭკუა მესწავლებია. ერთხელ ყანაში ღორი მოკლეს და მე მთელი დღე არაფერი მიჭამია; ისე მებრალებოდა, რომ სიახლოვესაც ვერ მივეკარე, დამეხედა, და ეს მით უფრო საკვირველი იყო, რომ საკლავს რომ წამოაქცევდენ, სიამოვნებით თავზე დავტრიალებდი და არც არაფერ სიბრალულსა ვგრძნობდი. საუფლო დღეებში, მაგალითად, შობის, აღდგომის და სხვა ამგვარ დღესასწაულების წინა-დღეს ძროხას რომ დაკლავდენ, ჩემ სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა! ბუშტს გამოვართმევდი ხოლმე მზარეულს, დავზელდი ნაცარში, გადავაძროობდი ზედა კანს და გავბერავდი; მერე ვინმე ქალს ან გამდელს ვაჩუქებდი ხოლმე საუმარულეთ, რადგანაც გაგონილი მქონდა, რომ უმარულის შესანახავათ კარგიაო. ერთხელ მხოლოთ შობის წინ დღეს აღარ მიყურებია ძროხის დაკვლისთვის, რადგანაც უჯრო სასიხარულო შემთხვევამ გამიტაცა და ჩვეულება დამავიწყდა: სწორეთ იმ საღამოს ქუთაისიდან მოგვიეიდა მამი-ჩემის გამოგზავნილი კაცი და პატარა ჩექმები მომიტანა. იმ დღემდის ჩემ ფეხს ჩექმა არ მიკარებია და მხოლოთ შლაპუნა ფოსტლებს ვიცვამდი ხოლმე. რაღა თქმა უნდა, რომ სიხარულმა ამიტაცა, ძროხა-კი არა თავი დამავიწყდა. მამა-ჩემი იწერებოდა, სხვათა შორის: ,,ამ ჩექმებს ვაგლახათ ნუ გააფუჭებიებთ ჩემ კაკოს! სირბილის ნებას ნუ მიცემთ, რომ ქუსლი არ მოაქციოს და უბრალოთ არ მოჩორთოსო!'' ეს ბძანება ჩვენ სახლში გადაჭარბებითაც აასრულეს: ჩამაცვეს მხოლოთ შობა დღეს, ახალ-წე-

ლიწადს და ნათლიღებას. მერე გამხადეს და შეინახეს; მე ისევ ფოსტლებზე გადამიყვანეს და აღდგომამდის აღარ მიპირებდენ ჩაცმევას.

მომავალ აღდგომას, რასაკვირველია, ორ-კეცი სიხარულით მოველოდი. ცისკრის რომ დარეკეს და ჩვეულებრივათ ჩაცმა-დახურვა დაიწყეს, მეც მომიტანეს ჩემი საოცნებო ჩექმები; მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი უბედურება: ჩექმები გამხმარიყვენ, მეც ფეხები გამზდოდა და შიგ აღარ ჩამეტია. ბევრი მაწვალეს, მუხლზე კანი გადამაძვრეს, კოჭი კინაღამ ამომიგდეს, მაგრამ არა ეშველარა. დამმწარდა აღდგომა. იმ დღეს რაღა მოესწრებოდა, მაგრამ სწორამდის კი მომიტანეს ახალი და იმ დღიდან დაწყებული, ქუთაის წასვლამდი, თითქმის წელიწად-ნახევარს უჩექმოთ აღარ გამივლია. უკანასკნელ წელიწადს მით უფრო კარგათ შევიშვნე ჩექმები, რომ ბევრს აღარ დავრბოდი, რადგანაც აღრინდელი თავ-შესაქცევარი ყოველგვარი თამაშობა მომწყინდა და უფრო სხვა საფიქრელს გადავყევი. ამის მიზეზი იყო „ვეფხის ტყაოსანი“. წავიკითხე თავიდან ბოლომდი და, თუმცა სღაპრული მხარის მეტი არა გამიგიარა, მაგრამ მაინც ძალიან გატაცებული ვიყავი. იმას მივაყოლე სხვა საკითხავებიც და მთელი ქრისტომატია, ჩუბინაშვილისაგან პეტერბურგში გამოცემული, რამდენჯერმე გადავიკითხე. ამას გარდა, ერთხელ ქალაქიდან ჩამოგვიტანეს ამბავი, რომ ,,ვლუხარიჩმა'' კომედია დაწერაო და ვარანცოვის სასახლეში ითამაშესო. ამ ამბავს გულმოდგინეთ ვუგდებდი მე ყურს და ბოლოს თითონაც მოვინდომე,, რომ იმ გვარი რამ კითხვა-მიგებითი დამეწერა და მართლაც ავწერე ჩვენი შინაურობა, მაგალითათ, როგორ აწვალებდა ჩვენი მოურავი ხალხს, მერე ბატონს აბეზღებდა; ბატონიც მოთმინებიდან გამო-

დიოდა და ჯავრობდა და სხ. და სხ. ეს ბავშური სცენები სასახლეში სუყველიას მოეწონა გარდა მოურავისა, რომელიც გულ-მოსული ამბობდა: ,,ჩემი დაცინება არაფერია, მაგრამ ვნახავ, თუ ამ ყმაწვილმა მთელი ქვეყანა არ გადიმტეროს და ნუ აქეზებთო''. ეს ჩემი პირველი ნაწარმოები დედა-ჩემს თურმე შეენახა და რუსეთიდან რომ დავბრუნდი, მიჩვენა. მე სიბრიყვე მორეულმა ვიუკადრისე, გამოვართვი დედას, დავხიე და ცეცხლში ჩავყარე. დედაჩემს ეს ძალიან ეწყინა და მისაყვედურა, მაგრამ რაღა გაეწყობოდა, ხომ ვეღარ გავამთელებდი! ამგვარი ბევრი რამ მაგონდება ჩემი სიყმაწვილიდან, მაგრამ, რომ მკითხველს თავი არ მოვაბეზრო, ამით ვათავებ.

კუჭია

(ზღაპარი)

იყო და არა იყო რა, ერთი ხელმწიფე იყო უსაქმური და ჭამა სმაზე გადაყოლილი. ერთხელ, სადილათ რომ იჯდა, მწვადი დაუგვიანეს, გაჯავრდა და ბრძანა: რა თავს იგდებს მზარეული, რომ ამდენ ხანს მალოდინებსო?! კუჭ-ღვიძლის შეწვას ბევრი რა უნდაო? შამფურზე წამოაგოს და ცეცხლზე მიაფიცხოსო. გაგზავნა მსახური შესატყობათ. გავიდა ხანი და გაგზავნილი აღარ დაბრუნდა. მეორე გაგზავნა, ისიც დაიკარგა. მესამე... მეოთხე.. მეხუთეც... რაც მსახურები კი ადგენ თავზე, ყველა გაგზავნა და აღარც ისინი დაბრუნებულან. გაგზავნა ვეზირი, ისიც დაიკარგა. შვილები გაგზავნა აღარც ისინი დაბრუნდენ. მერე ცოლს უთხრა: შენ მაინც შემიტყვე რა ამბავიაო? წავიდა დედოფალი, ისიც იქ დარჩა. გაუკვირდა ხელმწიფეს და თქვა: სწორეთ რაღაც ამბავი უნდა იყოსო! თვითონ წავიდა და რომ შეჰყო თავი სამზარეულოში, მისთანა თქვენს მტერს, იმას საქმე მოუვიდა: თურმე კუჭი გადმოგორებულიყო, გაეღო პირი, ჯერ მზარეული ჩაეყლაპა და მერე ყველა, ვინც კი ამბის შესატყობლათ მიდიოდა. ბოლოს ხელმწიფეც ჩასანსლა.. გაიბერა, გაიზარდა და გამოგორდა კარში. მიდის და მიგორავს; ვინც შეხვდება წინ—ჰყლაპავს! ჩაუარა სოფლებს და ჩაუყლაპავი აღარავინ გაუშვა... შეშინდა ქვეყ-

ყანა. ვისაც კი გულს ერჩოდა, დაუხვდენ წინ ზოგი კეტებით, ზოგი ცულით, ნაჯახით, წალდით, ზოგიც შვილდისრით, მაგრამ ვერა დააკლეს რა. უფრო და უფრო აღებს პირს „კუჭია", ჰყლაპავს დიდსა და პატარას!.. იზდება და იბერება... მთის ოდენა გახდა!.. მაინც მიდის და მიგორავს უგზო-უკვლოთ. რომ ველარა გააწყვეს რა, წავიდენ სოფლელები მკითხავთან. მარჩიელმა უთხრა: მაგას თქვენ ვერას დააკლებთ, ტყულა ნუ აჯავრებთ და ნურც აკვდებითო. ეგ რასაც მეტს ჩაჰყლაპავს, ისა სჯობია, ბევრს ველარ მოინელებს და თან გადაჰყვებაო. გარედან ვერას დააკლებთ და ვინც ჩაგყლაპოსთ მის ძუცელში თან სადგისი ჩაიტანეთ და შიგნიდან უჩხვლიტეთ ხოლმეო. დაუჯერეს და მართლაც, რომ ველარ მოინელა ამდენი მსხვერპლი „კუჭიამ" და შიგნიდანაც დაჩხვლიტეს, „ბუჰო" ერთი დაიძახა და გასქდა. რაც რომ ჩაეყლაპა, ვერ მოენელებია და ისევ ისე ცოცხლათ გადმოჰყარა ყველა... ცოცხლები იყვენ, მაგრამ მკვდრის ძილით კი ეძინათ, გარდა ერთი მეჩანგურისა; მარტო იმას ელვიძა და, რომ განთავისუფლდა, მოაწყო ჩონგური და დაამღერა:

სულხავო და ღორ-მუცელა,
ძაღლთა-პირა, „კუჭიაო",
უსამართლოთ ჩანაყლაპი
ყველა თურმე ფუჭიაო!

—

ქვეყნის სასწორ-სამართალი
ღვთის ხელი და მუჭიაო
და რატომ არ ეკითხები
მის განგებას, „კუჭიაო?"

—

ბაბილონის გოდოლივით
იბერები, იზრდებიო!..
რომ გასქდები, გაპრეწილი,
მაშინ გამოფხიზლდებიო.

—

გველეშაპმაც გადაყლაპა
შუა ზღუაში იონაო,
ჰგლოვდა ხალხი წინასწარ-მთქმელს,
რადგანც მკვდარი ეგონაო.

—

მაგრამ სამ დღეს მტრის მუცელში
ცოცხლათ მოიკალათაო,
მეოთხე დღეს გამოვიდა
ხმელზე ძალის ძალათაო.

—

თქვა: ,,რა დიდხან მძინებია''.
სამ დღესა და სამ ღამესო,
უსიცოცხლოთ, უსინათლოთ,
მოკლებული სიამესო.

—

მაგრამ, ღმერთო, ვისაც თურმე
არ გასწირავ მაღლით შენო,
ის არ ქრება და იმის ბნელს
ნათელ შუქსაც მიაფენო!

—

ამდენ მსხვერპლსაც გადმოხედე
მოწყალების თვალითაო,
გაუმტკიცე ნეტარება
კარგი მომავალითაო!..

—

სიმღერამა და ჩანგურის წკრიალმა ნელ-ნელა ყველა გამოაღვიძა... წამოდგა ზეზე მეფეც, მიიხედ-მოიხედა და ღმერთს მადლი შესძინა: გმადლობ, უფალო, რომ ახლა გადამარჩინე და აწ თუ კიდევ კუჭს მივენდო, უარესიც დამმართეო. შეჰყარა ისევ თავისი სახელმწიფო, მარტო ჭამა სმაზე აღარ ფიქრობდა, დაუდვა გული სახელმწიფო საქმეებს და მის ბედს ძაღლი აღარ დაჰყეფდა.. ჭირი იქ დავტოვე და ლხინი აქ მოვიტანე.

ს. ვ ა ლ ე

ვალის სოფელი შესანიშნავია ახალციხეში თავის სახნავ-სათესით, ვაკეებით, ბალჩებით და ბოსტნებით. ახალციხიდან 10 ვერსის სიშორეზე იქმნება ეს სოფელი. აღმოსავლეთისა და სამხრეთის მხარე წვრილ-სერ-გორებიანია, დასავლეთი და ჩრდილო უფრო ვაკეები; ამ სოფლის აღმოსავლეთით პამაჯის, წინუბნის და აბათხევის სოფლები მდებარეობენ, სამხრით — ნაოხჩების სოფელი, ჩრდილოთ, ფოცხოვის მდინარის გაღმა, — ჭიხელი, ფარეხა და მეშურნეთი და დასავლეთით, ფოცხოვის მდინარის გაღმით, წარბათ-უბანი და არალი. ბალჩები და ბოსტნები გაშენებულია, როგორც სოფელში ისე მდინარის ჩაყოლება გაღმა-გამოღმა, რომელზედაც თავ-ბოლოს რვა-რვა თვალი წისქვილებია გაკეთებული!

მადნეულებისაგან აქ მოიპოვება ქვის ნახშირი, რომელიც 1852-მდის წარმოებაში იყო; ოსმალები რომ შემოესიენ, დააქციეს და აღარ მუშაობს. არის მარილიცა, მაგრამ სახნავ-სათესის გამო არ აცხადებენ, რომ წაგვიხდება ყანებიო. 1840 ერთ გლეხს მისცეს ის მლაშის ნაჭოჭარი სახნავი ყანათ და რა გუთანი შეიტანა, პირველი კვლის გავლებისათანავე მარილის ლოდი გამოჩნდა და სოფლელებმა დააგდებინეს ის ადგილი და სხვაგან მისცეს. ჭითომ, თავიანთ ჭკუით, სასარგებლოთ არ დაინახეს თავიანთთვის, მარილის ლითონი, რომლის ძარღვი 5 ვერსის სიშორემდის მიდის პამაჯის მიწებში. ფოტორებში არის წერნაქიცა და ქვის

ნახშირი; აქვე არის ამინარის ქვა, 60 ფეხის ზომისა სიგრგვლით.

ვალეში ცხოვრობს 140 მოსახლე; არიან მართლ-მადიდებელნი, კათოლიკენი და მაჰმადიანი მესხები; სულ 1500 სულამდის იქნებიან. აქვთ თლილი ქვითკირის ეკკლესიები და ჯამე (სამკრებულო). ხალხი მეტათ გამრჯე, მუშა, ხელ-გამომავალი არის, ზამთარ ზაფხულ; კაცით ქალამდის: მშვიდობიანი, კაცთ-მოყვარე და კარგი ყოფა-ქცევისა. იშვიათად მოხდება ამათში ავ-კაცობა; გარეშე ავაზაკი აქ ვერ ნავარდობს ვერასოდეს, მიტომ რომ გარშემო ვრცელი ვაკეები აქვს. ერთმანერთიც ძმურათ უჭირავთ, რადგან ერთი ტომი, ერთ-ხორც-სისხლი არიან: მაჰმადიანები მთლათ მართლ-მადიდებლების და უმრავლესნი კათოლიკეების განაყოფები არიან. არსებობს აქ მართლ-მადიდებელთა საკვირაო სკოლაცა.

ვალეში შესანიშნია სიძველით მართლ-მადიდებელთა ღვთის-მშობლის ეკკლესია, სადაც დროებითად ილარიონ ეპისკოპოსის კათედრაც ყოფილა. აი, რა სწერია შიგნით სვეტზე სამხრეთის კართან: „ქ. ნებითა ღვთისათა მე ღვთივ-გვირგვინოსანის იესიან-დავითიან-სოლომანიან ბაგრატიონისა ქართველთ მეფეთ მეფის კოსტანდინის შვილის შვილმან, მეფის ბაგრატის ასულმან, ათაბეგ ამირსპასალარის სახლის სძალმან, დედის იმედმან, მეორეთ აღვაშენე წმიდაჲ ესე ეკკლესია შენ ცათა მობაძვისა ვალისა ღვთის-მშობლისა; რათა მცველ-მფარველ გვექმნა აქა და მერმისა მის საუკუნესა მე და თანა მეცხედრესა ჩემსა ათაბეგს, ქაიხოსროსა და ძენი ჩვენნი ყვარყვარე, მზეჭაბუკ, მანუჩარ, თვალ-შვენიერ, ივანე" და თამარ დღეგრძელობით დაიცვენ — ამინ. დასა მათსა ელენესა სასუფეველი დაუმკვიდრე, მამასა ჩემსა — ბაგრატ მეფესა, თა-

ნა-მეცხედრესა მისასა დედოფალს ელენეს შეუნდოს ღმერთმან, ძმასა ჩემსა არჩილს და აშოტს შეუნდოს ღმერთმან, დასა ჩემსა თათიას შეუნდოს ღმერთმან—ამინ. ვახტანგ, გრიგოლ, კონსტანდინე დღე-გრძელობით დაიცვენ.“ აქ ხსენებული ის ბაგრატ მეფე არის, რომელიც ლუარსაბ მეფესთან ერთად ოსმალ-ფაშებს წაეჩხუბენ და დამარცხდენ სოხოისტახედ, 1545. მაშინ ის ქაიხოსრო ათაბეგი იყო. რომელიც ბოლოს 1573 წ. ყაზმინს მოკვდა.

მართლ-მადიდებელთა გვარები:

. ბეჭნაძეები, გიორგიძეები, ჩიტაძეები, როსტიათობა, ნადირაძეები, გოგიძეები (ჩოტუათი); ესენი ჩორდუნელების მოგვარე ყოფილან; ამათი განაყოფი მაჰმადიანებიც არიან, შედუმანათ წოდებულნი. კათოლიკეებში არიან: გოზალათი (კოჭიბროლაშვილები), მალენაშვილები, ჩიტოშვილები, ხითარაშვილები, კაკაჩაშვილები, ჯანაშვილები, ნასყიდაშვილები, თელიაშვილები, ათუნაშვილები, (კოპაძეები), გოგილაშვილი, აღლემაშვილები, არსენაშვილები, ფეიქრიშვილები და სხვა.

სახლები ვალელებს ქვის კედლებით ნაშენი აქვთ, რამდენიმე თვლად გაყოფილი; თავი-სახლი, დარბაზი, ოდა-სასტუმრო, ბოსლებში აქვთ; სათორნე, სადაც ფურნეები აქვთ, საკუჭნაო, სადაც—ჭინახული, საფქვავი, ზოგს სახილეცა აქვსთ ცალკე. საბძელი და სახბორე, სადაც შინაურ ფრინველთაც ინახვენ, ასრეევ საცხვარეცა; ამბრები, ბეღლები ჭანური, ორმოები და სხვა.

პირუტყვები: ძროხა, ხარი, ფურ-კამეჩი, ხარ-კამეჩი, თხა, ცხვარი, ვირი, ჯორი, ძაღლი, კატა და ცხენი. ფრინვლები: ქათამი, ინდოური, ბატი, იხვი და ტრედი.

მხეცები: დათვი, მგელი, ფოცხვერი, მგელ-კაცა, ტურა, მაჩვი, კვერნა, დალა, ქვიჯანი, თრითინა, ვირთაგვა, თხუნელა, ძღარბლი, კურდღელი, მელა და წავი. ნადირები: ირემი, შველი, გარეული თხა, ჯიხვი და სხვა. მტაცებელი ფრინველები: არწივი, ორბი, ფუცხი, ძერა, ალალი, ქორი, მიმინო, კირკიტა, ღამე-ბუა, ოლოლი, ბუკნაჭორტი, ყორანი, ყვავი, კაჭკაჭი, კოდალა, ბუზი-ყლაპია, სხ. მგალობლებში: შოშია, შაშვი, ტოროლა, მერცხალი, ღალღა და ბულბული, კირკიტა, წრიალა, როჭო, ტყის-ქათამი, მთის-ქათამი, ქედანი, გვიძინი, გვრიტი, გნოლი, მწყერი, მწყერ-ჩიტა, ნარ-ჩიტა, ჩახ-ჩახა, მანგალა, ჭიკჭი. კა, ოფოფი, კუკუა, ბზე-წვა, ღამურა და სხვა. წყლისა: თევზი-ყლაპია, ჟრუნი, ვარხუ, ტარბი, გარეული-ბატი, გარეული-ბატასინა, იხვი, დედათ-მთრევალი, ლაკლაკი, შხერო და სხვა. მწერები: ფუტკარი, ბუზი, ბუზამ-კალი, ბოვრი, კრაზანა, ფუნდურა, ძაღლის-მწერი, ცხენის-ბუზი, ქინქლა, მუმლი, ტყიპი, ბაღლინჯო, ბუხალაკი და სხვა. მატლები: ჭიანყელა, თეთრი-მატლი სხვა და სხვა წვრილი, თუ დიდი ბობოლი, ბოსტანა, მცენართ-მჭრელი, ხილის-მატლი, პურის-მატლი და სხვაც. ჭიები: პურის-ცომა, რწყილის-დედა, შავი-ჭია, მწვანე-ჭია სხვა-და-სხვა ზომისა მრავალრიგი, კევი-რაჭია, მარიამ-ჭია, ხვაობლის-შუვრი, ჭიანჭველა, ჯინჭველ-ლომი, რკხილა, ჩიჩქვი და სხვაც. პეპლები: თეთრი, ყვითელი, ნარინჯი, ალი, წითელი, რუხი, მწვანე, ლურჯი, შავი, მიხაკის-ფერი და ნაირ-ნაირი ჭრელი ვერცხლის და ოქროს-ფერი პეპლები. ქვე-მძრომები: ბაყაყი წყლისა თუ ხმელეთისა, ასრევე გველები, კლდის ჯოჯო, სვენი, ხვლიკი, ანკარა, კუტი-კალია, მკალი და სხვა.

ყანების და მადამოს სახელები:

ფოტოროები, ვალის-ჭალა, გძელი-ჭალა, საგველია, თინარი, წეწნარი, მოკრული, თეთროში, შინდის-წყარო, თამარის-წყარო, ოსიას-წყარო, ავახნის-ხევი, სამგლია-ხევი, ჭორატი, ჩრდილის-ძირი, ტბა, ზღვარ-მაღალი, გვერდეული, დაფუფი, ჭობა, ღარული, მოკირიელი, მამულასეული, ხვლიკის-ყანა, ანჩხარა, ვაჩიანი, გაბადური, მლაშე (აქ არის მარილი), ლარი, გძელა, ბერაი, კავაი, ტაბარეული, ნაღვარეული, ნაფუზარი, ქვიანი, საურმისერი, სასისო, წისქვილის-წვერი, დოლის-წვერი, ხუცური, ბებერაი, საწყევარაი, ჭანჭახი, აღთუნღეული, ჭოჭი, გორი, ვარდი, ბერისეული, ნათლის-მცემელი, საკაკბე (აქაც წყარო არის) წითლი-გვერდი, ადომა-ხევი, ახორეთი, კვანჩხი, ვაშლეული, საკარცხული, ჭანიური, ელია-წმიდა, ხევის-ყანა, კოლა-ღელე, წნელეულის ღელე, ურწყავაი, კოლა-პატური, ხოდაბუნი, ნიგვზის-ძირი, ჯარმეული, ბოლო-ბოსტნები, ოჯორჯალი და სხვა. ნათლისმცემელი და ელია-წმიდა ნასაყდრევი არიან. ვაჩიანი, ჭანჭახი, გაბადური, ანჩხარა და თეთრობი სოფლების სახელებია. თქმა არის, იქიდგან მოსულთ თავიანთ სამშობლოს სახელები დაურქმევიათ. ასე არის, რაც მესხეთი გადასახლებულან იმერეთში, თავიანთ სამშობლოს სახელები დაურქმევიათ, როგორც მაგალ.: ვახანი, ქვაბი, მარელისი, ვანი, ვარძია, ლოსიათ-ხევი, სვირი, როკეთი, ვარდის-ციხე, მოლითი, ალის-იმერეთი, აჭარა და სხვა.

ვალე სახელმწიფოა. საბატონო მიწებსაც ხვნენ, როგორც გორაშენს და ირქას, სადაც საყდარიც არის ჩამოქცეული. მეტათ ნაქები ყურძენი და ღვინო სცოდნია; ახლა მიტოვებულია უბრალოთ, ნაოხრებნი ისევ სჩანან. ოსმა-

ლოს დროს ციხის ჯამეზე შეწირული ყოფილა საფაშო ვალის სოფელი და გარედან მოსული ფალავნების საცადი; ჯერ თურმე ვალეს იჭიდავებდენ. ხელმწიფის ფარმნიანი ფალავნები თუ წააქცევდენ, დასცემდენ ვალის ფალავნებს, მაშინ შეეძლოთ ახალციხეს ჩასვლა და ფაშასთან გამოცხადება საჩუქრისთვის. ფაშა ან თავის ფალავანს დააცემინებდა და ან საჩუქარს მისცემდა და ისე დაჯილდოებულს გაისტუმრებდა. ფაშა გზავნიდა ვალელ ძალ-ღონიერ ვაჟკაცთ კონსტანტინეპოლს, სადაც სწავლობდენ ხოლმე ბერძნულ ხელოვნურ ჭიდაობას და ისე მოდიოდენ მაჰმადიანები თუ ქრისტიანები. სახელოვანნი ყოფილან: როსტიათ ფალავან ქიტე, თელიათ ლაზარე და ყარაჯა მაჰმადიანი. ჩემს ყმაწვილობაში იყო გიგოლათ პეტრე, რომელიც 20 ფუთს ხვარბალს კოდის ჩინჩილასავით სხვის შეუწევნელათ წამოიკიდებდა ხოლმე. ის გარდიცვალა 55 წლის წინათ 70 წლისა; ფალავან ქიტეს მოსწრებია. მე მინახავს ჩემი თვალით; 12 ფუთის სიმძიმეს, მწოლარე 90 წლის მოხუცი, მოჰკიდებდა ხელს, აამაღლებდა ცალი ხელით და თვითონაც აჰყვებოდა, ადგებოდა ფეხზედ სხვის შეუწევნელადო!

ვალეში იციან ხორციელში და ყველიელში ჭიდაობა, ფერხული და (გუდა-სტვირი) და ოლიმპიური მრავალნაირი ვარჯიში. ქვის სროლა ორი ხელითა, ფიქლებისა, ცალის ხელით, ქალის გაქცევანა, ქოფი, ჯორებუნა, მხარდაველრი, თულოებით ცემა-ტყეპა, გადახტომანა, ცხისალემუნა, თავ-მოვლანა, კინკილვანა, ძერებუნა, მძიმე რამეების აწევა, აკიდვა, კლავის დრეკანა, მალაყი, არასი, ბურთაობა, შურდულით ქვის სროლა, უშურდულოთ მაღლა ან შორს სროლა ქვისა, სალებუნა, ჩიკორის ვაკვრა კომბლითა, ნიშანზე სროლა კოჭების ნაირ-

ნაირი თამაშობა, გაქცევანა, ცხენის ჭენება, ჯირითის სროლა და სხვაც ბევრ ნაირი ცდა. იციან აღდგომის დღეებშიც გარეგნობა: კაცი და ქალი გავლენ, საფლავებს აკურთხებინებენ მღვდელსა და მერმე ილხინებენ — ალაგ-ალაგ მიწურებში, კაცი და ქალი ცალკ-ცალკე, თავიანთ ნებისათ, ტკბილათ, მშვიდობიანათ. შესანიშნავია ახალ-ჯვარდაწერილი მეფე. მეორე დღეს, ეკლესიითან რომ გამოვა, გაუძღვებიან წინ მაყრები სიმღერით ტ ჭიმუნით; მეფეს ყველა მოსახლე ქათმებს აუფრენს პატივის საცემლათ ისიც ხმლით ან სატევრით თავს წასწყვეტს ან დაჭკოდავს, მაყრებიც მაშინვე მოკრებენ, ჩაჭყრიან გოდორში და ისე მივლენ მოლხინეთ სახლამდის, მერე დაჯდებიან და შეექცევიან თავისუფლათ ლხინ-ქორწილს!

სოფელში ხშირია წყაროები. ყველაზე ჩინებული სასმელათ ხევის-ხანის წყარო და იფნის-წყაროა. მდინარეებში იცის მრავალნაირი თევზები ჭანარი, ციმრა, ლურჯა, ნაფოტა, წითელი თევზი, შავი თევზი, კალმახი, ფიჩხული და სხვა. ნაქებია სიმსუქნით და სიტკბოთი საკუთრა ირქის მხრის თევზი; ვერც ერთი მხრის ნაქები თევზი ვერ უბადლებს მას გემოთი; ერთი ორ ფასათ გაიყიდება!

აქაური ხილი ნაქებია გემოვნებით და სურნელებით: ჭანჭური, თამახი, ქლიავი, ოტური თეთრი და შავი ან წითელი, ტყუბ-ქლიავი, წყალ-ქლიავი, ტყემალი თეთრი და წითელი, ღოღნაშო, ღორღოშო, თუთა თეთრი და შავი, მაყვალი, ჟოლო, კნაპი, ფშატი, პანტა, სხალ-პანტა, წითვლ-გვერდა, კვირის-თავა, სანთელა, ნანახირი, გულაბი, კაცისთავა, მიხრიკი, თავრეხული, ზამთარის-სხალი, ხეჭეჭური და სხვა. ვაშლები: შაქარვაშლი, მიხაკ-ვაშლი, მქაშე-ვაშლი, ფაშა-ვაშლი, სობა-

ვაშლი, შაჰალმა, ზამთრის-ვაშლი და მისთანა სხვა და სხვა გემო-სიტკბო სუნნელებისა. ტყის ხილი: მაჟალო, პანტა, კუნელი, უზანი, ჯახველა, ასკილი, კოწახური, მამლის-თვალი, ლაბა, და სხვა ყურძენიც კარგი მოდის, მაგრამ არ ხალისობენ. ბოსტნეულში ჩინებულია კომბოსტო (ლახანა): თითო ერთ ფუთს აიწონს ხოლმე ბევრჯერ; აგრეთვე ჭარხალა, ბოლოკი, თალგამა, სტაფილო, კარტოფილი, მიწის-ვაშლი, ხახვი — ზოგი თავი თითო გირვანქა გამოდის, პრასა, ნიორი, ტარხუნა, მაღდანოსი. მწვანეულობაში: კამა, ქინძი, რეჰანი, წიწმატი, ოხრახუში, სალათა სხვა-და-სხვა ნაირი. მხალი: ჯინჭარი, ღვალო, დვალული, ნაცარ-ქათამა, ყვავისფჩხილა, ფამფარა, სუქანა, პირ-ბამბა, და სხვა. ძირხვენიანები, ძირ-ტკბილა, თაურო, ატალი, სკვინძი, ღიმი, ღრიანჯოლა, სვინტრი, დათვისბაბა, დიყა და სხვა.

ვალეს აღმოსავლეთით და სამხრეთით ირგვლივ ტყე აკრავს 4—5 ვერსზე: ხორაჭკენისა, ჟღულის და წყალთბოლისა, ჭარლისა, უსკვისა და ჯაყისმნის. ამ ტყეებში ხშირია შავი შეშეულობა; არყი, დგნალი, ვერხვი, რცხილა, ლეკი, ლეკენჩხარი, ჭნავი, ხეჭრელა ხეშავა, წიფელი, მურყანი, იფნი, ჯახველა, კუნელი, პანტა, ქორაფი, მუხა, ოზანი, თხი-ვსელა და მისთანანი, კატარი, ფ ჭვი, წიწვი, ნაძვი, სოჭი და მასთანა ხე ტყე თუ საწვავი, თუ შენობისათვის გამოსადეგი.

ყვავილებში: ვარდისა და იასამანის ხეები, ასკილისა, მინდვრად ფორხვერა წითელი და ყვითელი, ყაყაჩო, ცხრის-სატეხა, სოსანი, პურის-ვარდი, ღიმღილო, შროშანი ყვითელი, მზის უმზირა, თეთრ-ყვავილიანი რწყილის ბალახი და სხვაც; სურნელოვანი, ზენტეხი, პიტნა, ქონ-

დარი, აბზინდა, საწუწკნელა რამდენიმე ნაირი, კვლიავი, ცერეცო და სხვანი; კულ-მუხო, ღვალოშმაგა, ლენცოფა, სარო, ყავის-კუდა, ხარის-კუდა, ყრალ-ბალახა, ვირის-ტერფა, ქრისტეს-სისხლა, წალიკა, რძიანა, ნარინჯი, ენდრო, ენდრონუკა, ხოვერა, შალგა, მარმიჭი, ხურო, ჟაუნა, მალაო, მატიტელა, ძურწა, ვარდ-კაჭაჭა, ხარის-კბილა, ასის-თავა, ქარქვეტი, ნარი, ნარ-ცეცხლა, კუროს-თავა, კაჭაჭი, ნარშურეტლა, იელი, მახიბელი, აპრა-ჭიჭა, ჭიჭოტა, მრავალ-ძარღვა, ენძელა, ძაღლ-ნიორა, ძაღლის-ყურძენა, მარწყვი, ლეშურა, თუთუბო, სამყუ-რა, მაჩიტელა, კათალიკოზა, ბარბალუკა. ოქროს-ცოცხა, მატ-სუქანა, დათვისუქანა, ურო, კორდის-ბალახი, ჭალი-სა, იონჯა, ბალახ-ვარდა და სხვანი.

ასეთ მდიდარ მინდორ ყანა-ჭალას მოჰყავს ჭინახუ-ლად, პური, ქერი, ასლი, დიკა, თათუხი, ოსპი, ფეტვი, ქვიშნი (უგრეხელა), ცერცვი, ბაკლა, ლობიო, სიმინდი, აყირო, კვახი, გოგრა, ქესტანა (ხაპი), კიტრი, ხოგხოგი ნახევარ არშინი, საზამთრო, ნესვი, პატრიჯანი, მწვანე, წითელი და შავი. სოკოები: მგლის-სოკო, ქამა-სოკო, გუდა-ფშაკა, არყის-სოკო, ხის-სოკო, ბებრის-სოკო, ხრა-შუნა, წეროს სოკო, შხამა-სოკო, ნაფეტვარა და სხვანი მრავალ-ნაირნი.

საგლეხო ყოველგვარი ხელსაწყობნი აქვთ საქართვე-ლოს ყველა გლეხობაზედ ბევრით უკეთესად: გუთანი, ჯი-ლღა, არნა, ფოჩხი-კაბდო. ჰგუთვნენ, ხვნენ, ღარვენ, ოშვენ და თესვენ, მით ჭინახულიც უხვათ მოსდით. მე მინახია ორი ურმის მჯას (ძნას) 140 ფუთი პური გა-მოსვლია, 2 ურემ ქერს 14 ხომარი ქერი დაუყრია, ხო-მარი 16 ფუთია. გამრჯეც არიან და კარგი ცხოვრებაც აქვთ. გაწყობილნი არიან ოჯახობაში თავიანთ დაგვარ.

ვალი სულ არავისა აქვს, ცოტა ვალსაც არ შეინარჩუ-ნებენ—სწრაფათ გარდიხდიან; ურთი-ერთის გატანა იცი-ან, არ არჩევენ რა სარწმუნოებისაც უნდა იყოს, ყველას სიკეთეს უშვრებიან.

ლექსი.

კაცი ის არის გაირჯეს,
ჭირს-ლხინში სულ არ გაირჩეს,
მტერიც უყვარდეს, მოყვარეც
მისთანა არსად დაისჯეს!

გამოცანა.

„ცა იყო და ქვეყანა არა, კაცნი იყვნენ და გზა არა, მოციქული და პასუხი არ მისცეს, წიგნი მიიტანა და ნაწერი არ იყო!“

ეგ საქმე წყალ რღვნისა არის: ქვეყანა წყალს ეჭი-რა, ნოე და მისი შვილები კიდობანში იყვენ, მოცი-ქული ტრედი იყო, წერილი ზეთის-ხილის შტო!

ხალხური.

ღმერთი დიდია, ღარიბო,
გული ნუ შეგიწუხდება,
ზოგს დღეს მოგცემს და ზოგსა ხვალ,
ზეგამდის შეგისრულდება!

გაგონილი ამბავი.

ერთს თავადს პირველშივე გაცივებით ცოლი და-უსნეულდა და ერთხანს შვილი აღარ ეყოლანა, სწუხდა

დიდათ და ხმარობდა კიდევაც ყოველ ღონეს: დაჰყავდა აბანოებზედ, მოიყვანა ასპინძის აბანოზედაც, რომელსაც ერთად ერთს ამბობდენ იმ გვარ დედათ სნეულებისათვის და სწორეთ მართალიც გამოდგა. ორი კვირის განმავალობაში იგრძნო სიმრთელე ამ დედაკაცმა და სიხარულით დაბრუნდა თავის სახლში. იქამდის რომ მწუხარე დალონებული იყო და სულ მწარე ნაღვლიანათ ატარებდა თავის სიცოცხლეს, ნახეს მისმა თანამგრძნობთ-მოყვარე-მოკეთეებმა, რომ სრულია შეცვლილ იყო, მის მოლხენა-მხიარულებას საზღვარი აღარ ჰქონდა იმ ასპინძის აბანოდან დაბრუნების შემდგომ, ისინიც იმასთან ძალაუნებრივ გამხიარულდენ; როგორც ადრე ჩვეულებითად დიდ იმედს აძლევდენ და ანუგეშებდენ ხოლმე, ისე ახლაც დილა-საღამოს არ შორდებოდენ და რაც შეიძლებოდა ართობდენ მის სასურველს ლხინ-სიხარულში; ბევრ ხანს აღარ გასწია ამათმა ასე სანატრელათ დროების გატარებამ! დახედეს მალე, რომ დაორსულებულიყო!... იმათაც ეს უნდოდათ, ცით მოელოდენ, არ აკლებდენ იმედნუგეშს მას და ღმერთმაც აასრულა ყველას სურვილი, გულის-ნადები. გარდმოხედა ღმერთმან წყალობის თვალით, ააცილა ყოველი მავნე შემავიწროებელი. ჩვეულებრივი დედათ მოვლენა მის ისეთს მდგომარეობაში, მოჟამიერდა, დალოგინდა და შეეძინა კარგი ტანმრთელი და შვენიერი შვილი.

რა შეიტყო ეს მათმა ერთგულმან შინა ყმამ, შემთხვევით ყანიდან მოსულმან, რომ გატეხილი ნამგალი უნდა გამოეცვალა სიმინდის საჭრელათ, საჩქაროთ გაიქცა სიხარულით ვენახში, სადაც მისი ბატონი ყურძენს აკრეფინებდა მუშებსა და მიამახარობლა: ბატონო ჩემო, ბა-

ტონო, ქალბატონმა ბრწყინალე, ტურფა, ლამაზი შვილი გიშობა, ვეხვეწები ღმერთს თავის მადლში გაგიზარდოსო! ბატონმა ჰკითხა: ბიჭო, ვაჟია თუ ქალიო? უთხრა: ბატონო, ვაჟიც არის და ქალიცაო.—ერთი არის თუ ორიო? —ერთიც არის და ორიცა, იქმნება სამიცაო! პირუტყვია თუ ადამიანიო? პირუტყვიც არის და ადამიანიცაო. ბედნიერია თუ უბედური? თქვენგან იქნება, ბატონო ჩემო, ბედნიერიცა და უბედურიცაო! მაშინ მისმა ბატონმა სამახარობლოში გაათავისუფლა ყმურის მონებისაგან და მისცა დვიროში ერთი გლეხის საკმარისი მამული!

გაუკვირდა დიდათ ეს მუშების თავ-მდგომს მოურავსა და ჰკითხა ბატონს, როცა წავიდა იქიდგან ის მახაროობელი: განა ღირსი იყო თქვენგან ეგრედ გაბედნიერებისა ეგ თაბარუტი ყმა, რაებს მიედ-მოედებოდა, ერთი სწორე პასუხიც ვერ მისცა თქვენს კითხვებსაო? უთხრა—როგორ არა, ძლიერ კარგი და ბრძნული პასუხები მომცა. სჩანს, შენ ვერაფერს ვერ მიმხვდარხარ მის ნათქვამებისასო! ვერა, ბატონო, ვერა!...—განა, გინდა, რომ აგიხსნა თვითვეულად?—ძლიერ მადლობელი დაგრჩები, ბატონო ჩემო, მოახსენა, თუ ამიხსნიო!

უთხრა ბატონმა მოურავსა, ჩემს პირველს კითხვაზედ რომ მითხრა, ვაჟიც არის და ქალიცაო, ჩემისთანა უშვილოსთვის ერთი შვილი, ვაჟიც არის და ქალიცა, მზეც არის და მთვარეცა. თუ მამაცი, გამჭრიახი, ძლიერი გამოვიდა, ხომ ვაჟი იქმნება, თუ, უთაური ქალაჩუნა და სხვათა ხელის შემხედვარი—მაშინ, რაღა თქმა უნდა, ლეჩაქ დახურული ქალი იქმნება! მეორე კითხვაზედ რომ მითხრა, ერთიც არის და ორიცა, იქმნება სამიცაო! თქმა არის: თუ თითით საჩვენებელი ერთად ერთი გვარის ბატონი გამოვიდა, ორ კარგ ძმებსაც აჯობებს და იქნება

სამთაც�, თქმულა, ერთი ათასათაო! —მესამე კითხვაზედ რომ მითხრა, პირუტყვიც არის და ადამიანიცაო, ეს იმას ნიშნავდა: ჯერ, როგორც ჩვილი ყრმა, პირუტყვივით უენა-პიროა, ტირილის მეტი არა იცის-რა, მაგრამ, როცა მოიზრდება, ენას ამოიდგამს, თავის მოთხოვნილებას გამოსთქვამს თავის პირით, ავსა და კარგს გაარჩევს, —რა ექვია მაშინ ადამიანი იქმნებაო.—მეოთხე კითხვაზე რომ მიპასუხა, შენგნით იქმნება ბედნიერიც და უბედურიცაო, ეს იმას ნიშნავდა, რომ, თუ ღვთის-მოშიშს, ღვთის-მსახურს, ღვთის-მოყვარულს, სწავლულს, კაცთ-მოყვარულს და სამშობლო მამულის ერთგულს გაზრდი, დიდი ბედნიერი იქმნება და გვარის ბატონიცა; და თუ ღვთის-უშიში, ღვთის-მსახურების მოძულე, ზნეობა წამხდარი, უსინიდისო, ცუდი მიმართულებისა გამოვიდა, რაც უნდა სწავლა მიიღოს, ღვთის-უშიშობით ის იმ სწავლას არა მარტო თავის საკნოდ, არამედ სხვათა დამაბრკოლებლად და ქვეყნის დამაქცეველად მოიხმარს, იმაზედ უბედურიც ხომ არავინ იქნება! როცა ამისთანა უბედურები გამრავლდებიან, მეფობაც მაშინ წახდება და ბატონობაც მაშინ ადგება და მთელი ქვეყნის საკიცხველნი იქნებიანო.

მგელებური მოკითხვის წერილი

(შეუცვლელათ)

ქ. ანთებულ ცეცხლჩი ჩამაგდევი, რაცა შენი დარდი მიშვრება, რაც არა, ამათი დარდი ლამის უღვთოთ სული ამომართვან. ღმერთსა ერწმუნევი, რომ რაცა შენ წასულხარ, სულ ავათ ვარ, თვალჩი ჩინი არა მაქკს. შენი ღმერთის ხათრისთვინ მალე მოდი, თვორემ ესენი დღეს

დამილევენ. დავსწერ წიგნს გამოგიგზავნი თავით ბოლო-მდი მურასავ, წამკითხველსა ვენაცვალე, გამგონელსა ნურასა. ყოვლად წმიდ ას ვეხვეწები, ჭირს ნუ შეგყრის ნურასა.

სახელი არა სჩანს, არც დრო. სჩანს პატარძალი უნდა იყოს!

ხალხური.

იამან გშობა შობითა,
ვარდმან გაგზარდა ქებითა,
ნეგომან ძუძუ გაწვია
მას ჰგავხარ სურნელებითა.

ქვეღებური ანდაზები.

ქართველი ჯარის ბრძოლაში კიჟინი და სომხის დიაკვნების წირვაზედ ყვირილი ორივ ერთიაო!

—

ბერო, არ გინდა ცხონება და ღმერთმაც ნუ მოგცესო!

—

ხუცესო და ხუთ-მუცელო, ხუთი დოქის გამომცლელო!

ზდაბრის წიგ-მართალი.

თურმე ეშმაკმა თავისი შვილი—უსჯულოება—დააქორწილა სიბოროტეზედ; ამათ გაუჩნდათ შვიდი ტრფიალი ქალიშვილი: ა. ერქვა ამპარტავნობა, ბ. ანგარება, გ. მრისხანება, დ. უწმინდურება, ე. ნაყროვნება, ვ. შურიანობა, და ზ. ზანტ-ზარმაცობა. სხვა-და-სხვა პირუტ-

ყვების და მხეცების სახე-მიმართულება მიეღოთ და იქა-
დიდენ თავიანთ ენერგია-ნიჭიერებაზედ იქამდის დაჟი-
ნებულად, რომ თითქოს ქვეყანაზედ ამათი უკეთესი არა
იყოს-რა და მთელი ქვეყნის კაცობრიობაც იმათ ეჭი-
როთ ერთიან ხვლშიო.

ამპარტავნობა ჰგავდა შვენიერს, მედიდურს ფარშა-
ვანგსა, მალ-მალ ინდოურივით სივდებოდა და იხედებოდა
თავის შვიდ-ფეროვან ფრთების ბოლოზედ; მერე, რომ დაი-
ხედავდა თავის შავფეხებზედ, სწუხდებოდა ხოლმე! ანგაა-
რება ჰგავდა შხამიან გველ-ვეშაპსა, რაც შეხვდებოდა
ცდილობდა ყველას ჩანთქმასა. მრისხანება ჰგავდა ლე-
კვებ მოტაცებულ ბრაზიანს ძუ ვეფხვს! ვისაც არა მგონია
ზედ ვარდებოდა, ჰგლეჯდა და ჰფრეწდა! უწმინდურე-
ბას მიეღო სახე-თვისება მიწისლომისა, რა ნაირ ადგილ-
საც მივიდოდა, იმ ნაირ ფერი სახეს მიღებდა ხოლმე! ნა-
ყროვნება ჰგავდა გაუმაძღარ ღორსა, დილიდან საღა-
მომდის არ აყენებდა პირსა! შურიანობა ჰგავდა მკბენარ
ძუნკალ ძაღლსა, სულ უღრენდა მიმსვლელ-მომსვლელთ
და ბევრთაც ჰკბენდა! ზანტ-ზარმაცობა ჰგავდა მოუჩვე-
ველ გარეულ ვირსა, ტლინკებს ისვროდა ზოგჯერ და
უფერო მეტად სულ გორავდა მინდორ-ვაკეებში და
მტვრით ივსებოდა!

ამპარტავნება მიათხოვა ეშმაკმა მთავრებსა, ანგაა-
რება მდიდრებსა, მრისხენება მხედართ-მმართველთა, ნა-
ყროვნება გარყვნილთა, შურიანობა ვაჭარ-ხელოსანთ
და მეურნეთა, ზანტ-ზარმაცობა სასულიეროთა და კეთილ-
შობილთა, და უწმიდურება საყოველთავო მეძავათ დასვა!

ხალხური ლექსები

(შეკრებილი გრ. აფშინაშვილისაგან კახეთ-
ში, სოფ. რუისპირში).

—

თრიალეთიდამ წამოვა
თორმეტი ვაჟი მთისაო,
არ ურევია სხვა მხრისა—
ყველანი არაგვისაო.
ღართის კარს რომ მაალწევენ,
სიცხე დაბრუნდა მზისაო!.
—აქ ვისაუზმოთ, ბიჭებო,
შიში არ არის მტრისაო...
იქვე ზის სამოცი კაცი,
ურჯულო დაღისტნისაო.
წამოიშალნენ ლეკები,
ელვა შაიქნა ხმლისაო!
გოშპარიშვილი ნინია
კანჯარივითა ხტისაო,
ცხენსა ზის იაბოზედა,
ნიავ-ქარივით ქრისაო;
ფრანგულსა ხელი გაიკრა,
ცხვრებივით ყელსა სჭრისაო;
ურჯულო შაეფალავნა,
ნინიამ დასცა ძირსაო...
ურჯულოს თოფი გავარდა,

ადამი დასცეს ძირსაო!
ქრისტე ღმერთმა გადმოხედა,
თვალს ცრემლი მოადგესაო:
ვაჰ, შენი ბრალი, ადამო,
გაუმაძღარო მზითაო!
ან დედას ვინ შაგინახავს,
ან იმ პატარა ქვრივსაო?!

2.

გიორგი გელანაშვილი,
სარდალი წყემსებისაო.
ასე არიგებს წყემსებსა,
როგორც დედ-მამა შვილსაო.
თავის მეღორეს შეჰფიცა:
მადლმა იმ მეუფისაო!
გუშინ რომ ღორში ვიყავი,
ნავალი ვნახე მტრისაო;
დავუჩოქე და ვესროლე
მარჯვენა ბეჭის ძირსაო;
არაგვის ღორი დაიძრა,
ჩაჰკივლა დიდის ხმითაო.
დიღმელების ბინაზედა
სამი ბელადი ზისაო;
სამთავ უტყუბეს თოფები,
გიორგი დასცეს ძირსაო!
ჩვენი პატარა გიორგი
ზევიდგან ჩამორბისაო,
მიშველე, ძმაო გიორგი,
ლეკმა დამიდო ძირსაო!

ასე გადმოდის გიორგი,
როგორც ნადირი ტყისაო;
კაფა და კაფა ლეკები,
როგორც ტოტები ხისაო'.
დედას კაცი მიუვიდა:
გიორგის არა სჭირს-რაო,
ხელთ ჭიანური უჭირაეს,
სამოთხის კარსა ზისაო!...

3.

ლომიაშვილი ივანე
კილოს რომ მოვიყარეო,
თავზე რო ხელი მოვისვი —
სიყმიდამ მოვიშალეო!
ბიძაშვილები მკითხავენ:
რასა იქ, გენაცვალეო?!
რასა ვიქ, ბიძაშვილებო,
მზე მიბნელდება, მთვარეო!
და მყვანდა გათხუებული,
ისიც აქ დავიბარეო.
მოვიდა, გადმამეხვია:
ძმაო, შენ გენაცვაო!
შენ ადექ და მე დავწვები —
სწორებში გაიხარეო;
მშვიდობით, ჩემო სწორებო,
მკლავი ვერ მოვიხმარეო,
გადახატული თვალ-წარბი
ლოდის ქვას მოვაფარეო!

4

იმისი სული კრულია,
რაც ქალი ენდოს ქმარსაო;
კოხტასა, ამპარტავანსა,
აზნაურისა ყმასაო!
წუხელის ლაშქრით მოვიდა,
შუაღამისა ხანსაო,
ავდექ, ავანთე სანთელი,
მივარდი გვერდის კარსაო;
ოქროსა სკამი მოვართვი:
დაბძანდი შენსა მზესაო!
—შენი „მზე“ მე არათა მწამს,
ლეკივით მოგჭრი თავსაო!..
გადავდექ, გადაუძრახე
ივანეს, ჩემსა ძმასაო:
ძმაო, გიკლავენ დასაო,
მოაცურებენ ზღვასაო...
ის ჩემი თეთრი ჩიქილა
სხვას დაუხურავ თავსაო;
ის ჩემი გიშრის ნაწნავი
ყვავს მიაქვს საბუდარსაო;
ის ჩემი ფარჩის სარტყელი
ცას შემოურტყამ გარსაო!

5

ქართველი ქალი ტიროდა
ქართლისა შუა გზასაო:
დამრჩნენ პატარა ობლები,

ვერ გამოვრეკე ზღვასაო!
ღმერთმა უშველოს მეცხვარეს,
იმის სამწყსოს და გზასაო:
ხიდი გაედო მსხლის ხისა,
წინ მიუძღოდა ცხვარსაო,
მეც იმან გამამიყვანა,
ჩემი ობლებიც წყალსაო,
თორემ შიგ ჩავვარდებოდი,
თევზი შამჭამდა ზღვისაო!

6.

ობიყმიანთ ბანზე ვიდექ,
დავხედე არე-მარესა:
უფროსი რძალი მზესა ჰგავს
და შუათანა მთვარესა;
უმცროსი რძალი დაეძებს
კედელში საპნის ნალევსა:
დილაზე ადრე ავდგები,
უმზეოდ დავიბან პირსა;
მოვისმენ ცისკრის ლოცვასა,
დავემზგავსები მთვარესა,
სულ უკან ჩამოვაყენებ
ამ დარბაისელ ქალებსა...

7.

ჭავჭავაძემ დამპატიჟა,
ღვინო მასვა ტკბილი.
ხოდაშნის ბოლოს მოვედი,

მამეკიდა ძილი;
გუდა-ნაბადი მოვიხსენ,
ჯაგში წავყავ ცხვირი!
(დამეკრა და მეთამაშა,
გამეწია ლხინი!)
ჩემი სტვირის მამპარავსა
შეეყაროს ჭირი,
სამი წლის ციებ-ცხელებამ
დაუსიოს ცხვირი!

8

შენ, მამაჩემო,
ხარ მაგისთანა:
ხელში გიჭირავს
ალმასის დანა...
სისხლით ავავსე
მე ტუსაღანა!
დედას აღარ აქვს
გიშრის კავები,
ცრემლით ევსება
ორივ თვალები!
ჩემს საფლავზედა
სდგას ორი ბალი,
იქ მიდის ერთი
ლამაზი ქალი,
ამბობს: სიკვდილო
დაგიდგა თვალი.

9

გადმამდგარიყო სერზედა
თვალ-ჟუჟუნა, თეთრი ქალი,
ხელს მიქნევდა: აქ წამოდი,
შინ არ არის ჩემი ქმარი.
ციხის საქცევად წავიდა,
დასცემიან დიდნი ქვანი!

10.

მე ბანის ბანად გეძებდი,
შენ დერიფანში გეძინა;
ოქროსა ღილი გაგხსნოდა,
ბროლისა მკერდი გეჩინა,
მელნის თმა, გიშრის კავები
ლამაზად გადმოგეფინა!

11.

ნესტან დარეჯან
სად რას გეძინა?
—მინდვრის ბოლოსა.
ზედ რა გეხურა?
— ზარი-ზარბაბი...
მოველ, აგხადე,
სამი გაკოცე;
სამმა კოცნამა
ფერი გიცვალა;
ფერმა ნაცვალმა

წიგნი დასწერა,
შიგ რა ჩასწერა?
—ხამ-ხამ ატლასი.
ვის გაუგზავნა?
—დავით მეფესა.
რით გაუგზავნა?
—ჯორ-აქლემითა.
რა მოუვიდა?
—დიბა-ხავერდი.
რით ჩამოხადა?
—ასი კაცითა.
დიბა-ხავერდი
რითი გამოსჭრა?
—მაკრატლის წვერით
რითი შეკერა?
—ნემსის წვერითა,
ბროლის თითითა.
რითი ჩაიცო?
—ნაზი ხელებით,
სიხარულითა.
რით გაიხადა?
—ცხარე ცრემლითა.
რითი გარეცხა?
—ცრემლ მდუღარითა.
რაზედ გაჰფინა?
—ალვის ტოტზედა.
რითი გააშრო?
—ნიავ-ქარითა..

—

სახნის-საკვეთი, ჯამბარა,
მამასახლისმა დაგვპარა;
იმას გაუწყდეს ცოლ-შვილი,
უხნავ-უთესი დაგვყარა!

12.

შენ კეკელო, პეწენიკო,
შენი საქმე როგორ იყო?
პავლია რომ არ შეგერთო
განა სხვა ბიჭი არ იყო?!
ვარდიაანთ სახლს უკანა
თელა იდგა და რცხილაო;
იმ დასაქცევმა კეკელომ
უბანი შეგვირცხვინაო!

13.

წყეულმა წყილმა მიკბინა
შუალამისა ხანსაო;
ავდექ, ავანთე სანთელი,
გავუდექ იმის კვალსაო;
შუა გზაზე მივეწიე —
ვაჰ, იმის დაჭერასაო!
ახლა ურემზე დავუდე,
სამას უღელა ხარსაო;
გავიტან მოედანზედა,
დიდის მელიქის კარსაო;

ლიტრას აბაზათ გავყიდი,
უყურეთ მოგებასაო!..

14.

ნათლი-დედამ დამპატიჟა,
გამიკეთა ხავიწიო,
კოჭლი გოგო ათამაშა,
იმის ცოდვით დავიწვიო!

15.

დღევანდელსა დღესა,
ქორწილი აქვს ღვდელსა,
პატარძალი მოიყვანა...
ნანი-ნანა-ნესა!
კატამ მწვადი მოიპარა,
პატარძალსა სცესა!
პატარძალი აგრე ამბობს:
—არ დავდგები თქვენსა...
დედას წიგნი მოეწერა,
შიგ ეწერა გიშერიო:
—შვილო, მანდვე მოითმინე,
მე ველარას გიშველიო.

16.

ერეკლეს სტუმარი
მოდის, მოგალობს,
ღიღინებს ნელა;
ფეხებსა ხლართავს —
უყურებს ყველა!

ჰკითხეს: სად იყავ?
—მეფესთანაო:
ისიც კაცია,
ჩვენისთანაო!

———

(სოფელ ყვარელში შეკრებილი).

—

შენი ქება შემომესმა,
შენი კარგი თავისა;
გაივლი და გამოივლი,
შუქი გადგა მთვარისა;
ზურგზე ნაწნავი გაყრია,
სისხო ჩემი მკლავისა;
თმას წინადან შუბლი არი
საწერელი კალმისა;
შუბლს ქვევიდან წარბები გაქვს,
მოწეული მაყვლისა;
აქეთ-იქით ლოყები გაქვს,
საკმეჩები ვაშლისა;
ლოყებს შუა ტუჩები გაქვს
სასუტები თაფლისა;
ტუჩებს შიგნით კბილები გაქვს
ჩემი გულის დარდისა!

—

აქამდე იყო ავდარი,
ეხლა დადგა დარია;
განა სხვა ქალი არ არის,
შენზე მქონდა თვალია;
თუ შენ ჩემს იქით გათხოვდე,
არ გეწეროს ჯვარია!

სუფსარქისი შავინახე,
მარხვა შენი წმინდათა;
შენ ქებასა ვლაპარაკობ,
ღამემ ბნელმა ინათა;
შენი დარდი და ბოროტი
გადამექცა ჭირათა;
მოდი, ქალო, მაკოცნინე,
ეგ გვეყოფა ლხინათა;
გაბრუნდი და შინავ წადი,
დაიფინე რბილათა;
თავით ბალიში დაიდე,
დაიძინე ტკბილათა...

—

მე, ალექსი კაკაშვილი,
რისთვის არ ვუფრთხილდი თავსა!
დავქუჩებულვართ ბიჭები,
მივდიოდით გალმა-მხარსა.
რაღას ვეფალავნებოდი
იმ საოხრო ალაზანსა.
მე ვსთქვი: რა მოერეოდა
ჩემს ღონიერ ბეჭებ-მკლავსა;
წყალმა ქვევ-ქვევით დამწია,
ბიჭები მიჭერენ თავსა;
შავხტი მაღლა, დავუძახე
საწყალ ჩემსა დედ-მამასა;
დედ-მამას რას გავაგონებ,
კალოზე ლეწავენ ძნასა;
გაუგია დედ-მამასა,
ცრემლით მორეცხავენ გზასა!

———

ზღაპრათ

სალსური „ვეფხვის ტყაოსანი“

(თქმული გლეხის ჯოგოლა არაბელისაგან სოფ. ჩირდილში, თიანეთის მაზრაში, და ჩაწერილი სოსიკო მერკვილაძისაგან).

იყო და არა იყო რა, იყო ერთი უწინდებური დიდი გმირი კაცი, სახელათ ტარიელი. ჰყავდა ცოლათ მეტათ შვენიერი მზეთ-უნახავი, სახელათ „მზე-ქალი.“ ისეთი ლამაზი იყო ტარიელის „მზე-ქალი“, რომ ღამეგნელაში ანათებდა და აშუქებდა, როგორც ლამპარი, როგორც ცის მნათობი. და მიტომაც ეძახოდენ „მზე-ქალს.“

ტარიელი უდიერი ლონიერი იყო და ქვეყანაზე არაფერი არ უმაგრდებოდა. ყველა ლონიერ დევს ეშინოდა და ერიდებოდა მისი. მუდამ სანადიროთ დადიოდა; დილით წავიდოდა, საღამოთი მიჰქონდა ცალ მხარზე მოკლული ირემი და ცალზე—დიდი, უზარ-მაზარი ხე—შეშათა. ტარიელი აიღებდა თავის დიდ ქვაბს, შედგამდა ნანადირევის მოსახარშავათ, დაავლებდა ხელს იმ უზარ-მაზარ ხესა, დაანარცხებდა დედამიწაზე და სულ ლუკმა-ლუკმათ აქცევდა შეშათ!..

ბევრს ედვა გულში მოტაცება ტარიელის „მზე-ქალისა“, მაგრამ ვერავინ ბედავდა ტარიელის შიშით. ყვე-

ლაზე უფრო შურდათ ეს ქალი ტარიელისათვის ქაჯებსა და ,,მაცილებს'' (ეშმაკებს). ყოველ დღე და ყოველ წამს იმის საცადში იყვენ ,,მაცილები'', რომ ეშოვნათ დრო და ,,მზე-ქალი'' (ნესტან-დარეჯანი) მოეტაცნათ და თავიანთვის წაეყვანათ. ერთხელ, როცა ტარიელი სანადიროთ იყო წასული, მოვიდენ ,,მზე-ქალთან'' მაცილები და თან მოიტანეს ერთი ახალ გაკეთებული კიდობანი. მაცილები იმ სახით მოვიდენ „მზე-ქალთან," როგორც ხორციელი ადამიანები და როგორც ტარიელის ერთგული მონები. მოახსენეს ტარიელის „მზე-ქალს": კიდობანი მოგვართვით ტანისამოსის შესანახადაო და მოგეწონებათ თუ არა—აბა ნახეთო. როცა „მზე-ქალმა" ნახა კიდობანი და მოეწონა, მაცილებმა უთხრეს: „აბა შიგაც შებძანდით და დაათვალიერეთ, სინათლე ხომ არსად გადისო"? მზე ქალს არ ეგონა, თუ „მაცილები" არიან და ოინს მიზამენ, მიღალატებენო. შევიდა კიდობანში თუ არა „მზე-ქალი", მაცილებმა მაშინვე დახურეს კიდობანი, ოთხივ-კუთხივ დარაზეს და მოიტაცეს; მივიდენ ზღვასთან და მისცეს წყალს:

დასხდიან მეკიდობნენი
იმბარ-ამბრი და უმბარნი.
იმათ კიდობან ააგეს
ქებითა-არა ქებითა,
შიგ ქალი შესვეს, „მზე-ქალი",
ძალითა განა ნებითა!..

მზე-ქალი შეაგდეს ქაჯებმა აღელვებულ და აზვირთებულ წყალში. ზღვამ შეიბრალა მზე-ქალი: დაწყნარდა და კიდობანი მაღლა-მაღლა „ქანქანით" წაიღო. წინ ნესტან-დარეჯანს გადაეღობენ, „გაებადნენ" გველები. შავმა გველმა თქვა, შევჭამოთო, ბაგრამ წითელმა გველ მა

შეუტია, „უშქინა“ და დაუშალა; თეთრმა გველმაც მხარი დაუჭირა წითელს და თქვა: ცის მნათობია, ქვეყნათ მოვლინებული, და ნუ შევჭამთო, ნურას გავუბედავთო.

ქაჯებ მზე წყალში შააგდეს,
წყალს მისცეს დგან-დგარებითა; *)
წყალმა იბრალა, იწყალა,
გაიგდო ქანქანებითა;
წყალში რო გველებ დაუხვდეს,
ბადე-ბადეს აქვს გაბმითა;
შავმა გველ უთხრა: შევჭამოთ,
წითელ უშქინა ავითა;
თეთრმა გველ უთხრა, ნუ შევჭამთ
ხმელთ მნათობარი მოვიდა“.

ბევრი ცურვისა და ზღვაში ხეტიალის მემდეგ, ქაჯებმა გაიტანეს კიდობანი ნაპირზე „ფასმანის“ (ფატმანის) მიწაზე. გამოიყვანეს ნესტან-დარეჯანი და კიდობნის „დირეზე“, საძირკველზე, ჩამოსვეს. ამ დროს დაინახეს „ფასმანის“ მონადირეებმა. მოჰკიდეს თვალი თუ არა შვენიერ „მზე-ქალს“, მაშინვე ჩაუხტენ და დაუწყეს ომი. ქაჯებმა შეაცურეს კიდობანი ზღვაში. მონადირენი კიდევ არ მოეშვენ და სამს სამოცი ისარი ჰკრეს კიდობნის დირეს:

ქაჯთა მზე გამოიყვანეს,
დასვეს კიდობნის დირესა.
„ფასმანის“ მონადირეთა
დირეზე თვალი ჰკიდესა,
ჩავიდენ, არ დაიშალეს,

*) „დგანდგარებითა“ აზვირთებულს, აღელვებულს“.

მისწივნეს, არ დარიდესა,
სამას-სამოცი ისარი
ზე ჰკრეს კიდობნის დირესა.

მონადირეებმა ბევრი ეცადეს, მაგრამ ვერ დაიხსნეს მზე-ქალი და წაიყვანეს ისევე ქაჯებმა. მიიყვანეს ქაჯებმა ქაჯეთის ციხეში და დამალეს იქ „მზეთ-უნახავათ“. გაიგო თუ არა გმირმა ტარიელმა თავისი „მზე-ქალის“ დაკარგვა, გაშმაგებული შეჯდა თავის რაშზე და წავიდა საძებრათ; დადიოდა ტყე-მინდორში და ზღვის პირებში. დღისით ტარიელი არ დაისვენებდა ხოლმე, ხოლო ღამდებოდა თუ არა, მაშინვე დაიბინავებდა და, როგორც-კი გათენდებოდა და ამოვიდოდა მზე, ტარიელიც მაშინვე შეუდგებოდა მგზავრობას და ძებნას. უფრო ზღვის პირებზე ეძებდა ტარიელი, რადგანაც ეჭვით იცოდა, რომ ზღვისაკენ უნდა ყოფილიყო მისი „ჩზე“ წაყვანილი.

ტარიელ, მზის მაძებარი,
ზღვის ნაპირთ იარებოდა.
მზე ჩახდა,—დადგა ტარიელ,
ამოხდა,—იარებოდა;
მასკლავი ჰქონდა ლოგინათ,
მთვარე გულს ეფარებოდა.

ერთ დღეს ტარიელი მიადგა ერთ მდინარეს, სადაც ერთი კოჭლი მონა დაინახა. მონა მიდი-მოდიოდა წყლის კიდეებზე და ტიროდა.

— რა გატირებსო — ჰკითხა ტარიელმა „კოჭლ-მონას“.

— ისა, ბატონო, რომ ბატონთან ვარ დაბარებული და ამ მდინარეზე ხიდი არ არის, ისე ვერ გავედი და არ ვიცი, რაღა ვქნაო. ტარიელს შეებრალა კოჭლი მო-

ნა, გაიშვირა მკლავი და ვადვა ხიდათ მდინარეზე; მონა შედგა ზედ და გავიდა.

მივიდა თუ არა თავის პატრონთან კოჭლი მონა, მის ნაჩირ-ვეზირებს უამბო ამ საკვირველი გმირის — ტარიელის—ნახვა და მისი ამბავი. ყველა ეს ნაზირ-ვეზირებმა მოახსენეს თავის ბატონს (მეფეს). მეფემ მაშინვე დაიბარა თავისი საყვარელი და გამოჩენილი ორი გმირი „ადენ“ და „ომარე“ და ეუბრძანა, გაჰყევით „კოჭლ-მონას“ და რომელ კაცსაც ეს დაგანახვებსთ მინდორში, ის მომიყვანეთო, „ან სახელი და გვარი მომიგეთო“.

ადექ და მოემზადენით,
ჩემო ადენ და ომარე,
ის კაცი აქა მომგვარეთ,
ვინ იყოს მინდორთ მდგომარე!..

ადენმა და ომარემ მორჩილებით თავი დაუკრეს თავის მეფეს და მოახსენეს: სახელის და გვარის გაგება და მისი ვინაობის ოღონდ თქვენი ბრძანება იყოს, თორემ ორი კაცისაგან ერთი კაცის მოყვანა ძლიერ ადვილი სამსახურიაო:

ბძანება იყოს, ბატონო,
შენთა ბაგეთა ბროლთაგან,
ადვილი სამსახურია
ერთის მიყვანა ორთაგან.

ადენმა და ომარემ შეისხეს საჭურველ-იარაღი, გამოიყოლეს „კოჭლი მონა“ და წავიდენ. „კოჭლმა მონამ“ მიიყვანა მდინარის ახლო და დაანახვა გაღმით ტარიელი. ადენ და ომარე წადგენ წინ და დაუძახეს ტარიელს:

ბიჭო, ვინა ხარ, ვინ იყავ,
მარტო მინდორში მდგომარე?

ბატონ გიბარებს, აქ მოდი,
ან სახელ-გვარი მიბარე!

ტარიელმა მოისმინა თუ არა მათი ძახილი, შამოუ-ძახა: თუ კარგი ბიჭები ხართ, მანდედან ნუ-კი ყვირით, ახლოს მობძანდით და აქ გამიცანით, ვინცა ვარ; აქ გაცნობებთ ჩემ თავს და ჩემ მკლავის ღონეს, აბა შორით რას დამაფასებთო.

მინდორში ოქროს კოშკი დგას,
გარშამო—ვერცხლის თასები,
ახლოს მოდექით, მოსრულნო,
შორით არ დავიფასები!..

ამ ხმაზე ადენ და ომარე გავარდენ გულადათ გაღ-მა, მაგრამ მისთანა თქვენს მტერს, ტარიელმა იმათ საქმე დამართა: ადენს ერთი მათრახის წვერი მოარტყა და სულ ჯარასავით ააატრიალა მინდორში; ომარ ერთი მათრა-ხის „გადანათებით“ ზეცას გაგზავნა, „კოჭლი მონა“-კი შორს იყო და გამოიქცა ბატონისაკენ, მაგრამ ტარიელი მოეწია, გამოჰკითხა ამბავი და, რომ გაიგო ბატონისაგან იყვენ გამოგზავნილნიო, წაავლო ხელი „კოჭლ მონას“, ააგლიჯა ცალი მხარი, მისცა მასვე ხელში და უთხრა: წადი მიუტანე შენს ბატონს ამბავი და ეგ შენი მხარიც სუფრის მისამატათ, ,,შესაახლებლათ“—მიართვიო.

მოვიდოდა კოჭლი მონა,
თავში მოიცემდა ქვითა;
ბატონ შენი საყვარელნი
მოგიმშვიდნა მათრახითა...
ადენს შემოკრა მათრახი,
მინდორს ბრუნავს ჯარავითა;
ომარე ზეცას წალალა,
ჯერაც არ მოსულა ცითა,

მე რო მხარი ამომწვადა,
ისე მომაქვს თავის მხრითა...
მითხრა: „ბატონს მიუტანე,
სუფრა შაიახლოს მითა“.

ეს ამბავი ძლიერ ეწყინა მეფეს და სამძიმოთ დაურჩა თავისი საყვარელი ორი გმირის სიკვდილი. მაშინვე შეჰყარა დიდი ჯარი და გამოეშურა ტარიელისაკენ. შემოახვია მწოლარე ტარიელს დიდი ლაშქარი ღა დაუწყო ისრის სროლა სეტყვა-წვიმასავით:

ეგე იწყინა ბატონმა,
მეტათ დიდსა ჯარებს ჰყრიდა,
შამოეხვია გარშამო,
ჩალათ ისარს მიაყრიდა.

ტარიელმა, როგორც დიდმა გმირმა, ,,ჟამით-ჟამამდე'' ძლიერ მაგარი ძილი იცოდა და, სანამ გაღვიძების ,,ჟამი'' არ მოუვიდოდა, მანამ ვერავინ ვერ გამოაღვიძებდა და გონს ვერ ჩააგდებდა. იმ დროს, როცა მეფე შემოადგა დიდი ჯარით და დაუშინა ,,ჩალასავით ისარი'', ტარიელს ეძინა ნაბად-წახურულს და ვერაფერმა ვერ გამოაღვიძა. რაში რომ ტარიელის განსაცდელს ხედავდა, ტიროდა და ტორსა სცემდა, მაგრამ, რომ ველარ გამოაღვიძა თავისი პატრონი, მაშინ რაში დასწვდა ტარიელს და ცალი თითი მოაკვნიტა: ეგება ამით მაინც გამოვაღვიძოვო.

თავით უპამს ცხენი-რაში,
თვალებთ ცრემლებს ჩამოჰყრიდა;
ჩაეწოდა თით მოკვნიტა,
ოქროს თითი მოებმოდა

თითის მოკვნეტამ ტარიელი გამოაღვიძა; დაინახა, რაც ამბავი იყო, ნელ-ნელა აუჩქარებლად წამოდგა, გა-

დააბერტყა ნა'დიდან ისარნი და მოევლო თავისს რაშს.

გაიღვიძა ტარიელმა,
ნელა-ნელა წამოდგესა;
ფეხი შედგა უზანგოში,
ამოდ შეჯდა არ შეშინდა...

მაშინ გაერია ამ ურდო და ურიცხვ ,,ხატაველთა ლაშქართა'' ჯარში, როგორც ქორი მტრედის გუნდში, და დაუწყო ჟლეტა. ,,კაცი კაცს ჰკრა, ცხენი-ცხენსა'' და შკვდრის გორები დააყენა წამზე. გლეხი კაცი ტარიელს ებრალებოდა და არ კადრულობდა მათთან ომს, დიდკაცებს და თავადებს-კი ჟლეტდა საშინლათ.

გაერია ხატაველთა,
როგორც მტრედის გროთა ქორი,
კაცი-კაცს ჰკრა, ცხენი-ცხენსა,
დადგა მაგაების გორი!..
არ იკადრა გლეხი კაცი,
თავადებზე გადავიდა,
ზეცით წამოვიდა ორბი
ეგეთ ჯარით სიმრავლითა,
ბოძალი ჰკრა ტარიელმა,
მხართა შუა სისხლი სდინდა,
ჩაეწვადა, მხრები დასჭრა:
ბოძლის დასაკვრელათ მინდა.

ტარიელი ომში ერთ შვენიერს ვაშკაც-ჭაბუკს შეხვდა, რომელსაც შეძახა:

— მე შენ არ მოგკლავ, იმიტომ-რომ თვალები ჩემ (ბიძაშვილს) გიგავსო და გამობრუნდა. ჭაბუკი შეკრთა და ტარიელს ვერაფერი ვერ უთხრა, ვერაფერი ვერ შეჰბედა. ამ შეღერებულ ჭაბუკს ერქვა ავთანდილი და იყო მართლა ტარიელის ბიძაშვილი (,,შინში''), მაგრამ, რადგა-

ნაც ტარიელს პატარა დაეტოებინა შინ და მას აქეთ აღარ ენახათ ერთმანეთი, ავთანდილსაც დავიწყებოდა ტარიელის სახე და ვერ იცნო ომში. როცა ავთანდილი შინ მოვიდა, ყველა ომის ამბავი უამბო თავის შვენიერს და კეკლუც ცოლს — თინათინას (თინას). „მთელი ჯარი ამოგვწყვიტა იმ ვილაც სკვირველმა გმირმა და, როცა ჩემზედ აიღო ლახტი და უნდა მოვეკალ, ჩამოიღო და მითხრა: მე შენ არ მოგკლავ, რადგანაც ჩემ „შინშ“ ავთანდილს ჰგევხარო.

— ეგებ შენი დაკარგული ბიძაშვილი - ტარიელი იყო!?...— შეჰკივლა თინათინმა; — რატომ არ გამოჰკითხე, ვინ იყო და ვინ არა. განა ეგრე წამოსვლა გეკადრებოდა? თუ ჩემი სიყვარული გაქვს და ან შენი ბიძაშვილის, ტარიელის, პატივის-ცემა, ეხლად-ეხლავე ადექი და სძებნე, საცა იყოს ის გმირი, ეგებ ტარიელი იყოს და როგორმე ეწამლე და მოეხმარე გასაჭირში.

ამ მკაცრი ბრძანების წინადადებაზე რაღაცა ეჭვები შემოეხვია ავთანდილს გულზე. დაიწყო თავის უმანკო თინათინზე ეჭვიანობა: ეს მე მიტომ მითხოვს ასე უცებათ სახლიდან, რომ ალბათ კურო, საყვარელი, ჰყავსო და ჩემი თავიდან მოშორება უნდაო.

— ადექ, ავთანდილ, ნულარ აყოვნებ, წადი, მოსძებნე, ნახე ის გმირი და, თუნდა ტარიელიც არ იყოს, კარგია: მადლია უცხო, დაკარგული და გადახვეწილი მოყმის მონახვა და შველაო, — უთხრა თინათმა. ამ თქმაზე ველარ მოითმინა ეჭვით სავსე აღელებულმა ავთანდილმა, აემღვრა გული და საშინელი სიტყვებით შეამკო თავისი უმანკო და შვენიერი თინათინი:

ბოზო, რას ამბობ დიაცო,
არჯალო, აუგიანო!

უწყლო, ულარო წისქვილი
მთაში ვის აუგიანო?!
მაყვარეების (საყვარლების) გულისთვის
ქმარი ვის გადუგდიანო?!.

თინათინი დიდათ შეაწუხა ამ უსამართლო ცილის წამებამ და მტკიცი ფიცით შეჰფიცა ავთანდილს თავის უმანკოებაზე: ღმერთმა და ყოველმა ხატმა მრისხოს, თუ თინათინს შენს მეტი ქმარი უნდოდეს და ან მოეწონოს, თუნდ ათასჯერ შენზე უკეთესიც ნახოს და ზეციდან ჩამოსულიო. მე გითხარი და გთხოვე, რომ ტარიელი მოგეძებნა, გეპოვნა უთუოდ ის გმირი, ვინც იყო. ტარიელიც რომ არ იყოს, მაინც კარგია უცხო მოყმის შველა და შემწეობა-მეთქი.

ღმერთი რისხავდეს თინასა,
ხატი ყოველთა წმინდისა,
ქმარი უნდოდეს შენს მეტი,
ათას სხვა ჰყავდეს გულისა.
მოძებნა მაინც კარგია
მოყმისა დაკარგულისა.

დაიჯერა ავთანდილმა თავისი შვენიერი „თინას“ ფიცი და რჩევა და იმ ღამესვე გამოეწყო სამგზავროთ. საგზალიც მოიმზადა. ისარიც ბლომათ ჩაიწყო ქარქაშში და გასწია (გაიპარა) კიდეც უნათლივ ტარიელის საძებნელათ. შემდეგ მოგროვდენ ავთანდილის ჯარი და კარის კაცნი; მოიყარეს თავი და იახლენ ავთანდილს შინ. მაგრამ ციხიდან თინათინი გადმოდგა და გამოუცხადა მათ საყვარელი პატრონის წასვლა, სადღაც გაპარვა.

ციხით იძახა თინამ:
ავთანდილ გაიპარაო,
სამოც და სამი ისარი

ქარქაშში ჩაითვალაო,
შავი აქ დაკლა ვარია,
თეთრი თან წაიტანაო.

ავთანდილმა ბევრისაგან ბევრი სძებნა ტარიელი და ძრიელ სწუხდა, რომ ვერ იპოვნა და საწადელი ვერ აუსრულდა, ხოლო ამდენი სიარული ამაოთ შერჩა. ვინაკი შემოხვდებოდა ავთანდილს წინ, ან ვისაც მიეწეოდა, ყველას ჰკითხავდა ტარიელის ამბავს, მაგრამ თვალის მომკვრელსაც-კი ვერავის შეხვდა. ავთანთილი, როგორც „გულთმისანი“, გონიერი და ჭკვიანი კაცი, იმედს არ ჰკარგავდა ტარიელის ნახვისას და რაც ხანი გადიოდა, თანდათან უფრო ემატებოდა მხნეობა და ხალისი ტარიელის ძებნისა.

ავთანდილს საგზალი მალე გამოელია და საზრდოობდა ნანადირევით. საცა მოშივდებოდა, იქვე ინადირებდა, დაანთებდა ცეცხლს, დათლიდა შამფურებს, შეწვავდა მცვრიან მწვადებს, მოიკეცდა თოქალთოზე და შეექცეოდა.

ავთანდილ გადინადირა
ქედი მაღალი ტყიანი,
ვერც ხარი მოკლა, ვერც ფური,
ვერცა ბოჩოლა რქიანი;
შველსა ჰკრა გამოფრენილსა
ისარი ორბის ფრთიანი,
დაჰკიდა ცხენის ტახტაზე
ტყავ-გაუხდელი, რქიანი;
ჩავიდა ბურილ ძირშია,
ცეცხლი დაანთო პრიალი,
სადგომი ბინა დაუხვდა
ჭყანტიან-ჭაობიანი;

ქვეთა საგებლათ მოჰხადა
თოქალთო უნაგრიანი,
დათალნა ეკლის შამფურნი,
მწვადი აასხა მცვრიანი.

ავთანდილი, „თოქალთოზე“ მოკეცილი რომ მცვრიან მწვადებს შეექცეოდა, იმ დროს შორს მინდვრის სივრცეში შავი ნისლივით მომავალ ჯგუფს მოჰკრა თვალი, რომელიც თან-და-თან უახლოვდებოდა ავთანდილს. ავთანდილმა გაარჩია, რომ ხალხი მოდიოდა მისკენ. შეფიქრიანდა: ვაი, თუ „მეკობარნი“ — ლაშქარნი იყვენ და არამც რა მაზიანონო. მაშინვე შეკაზმა ცხენი, გადაიკიდა თოფი, აიღო შვილდ-ისარი და მოემზადა საომრათ: ვინიცობაა მტერი იყოს, ჯაბნათ არ დავხვდეო.

მინდორს დაინახნა კაცნი,
ჯანის-ჯანად (ნელა-ნელა) მომდინარნი.
— „ახლოს მოდე, ჩემო ცხენო,
აბჯარნო, გამეძალენით,
მტერს მოშლით ნურას შევხვდებით,
თვალშია ვეჯაბანებით!“

ავთანდილმა მიატოვა გაშლილი სუფრა ცეცხლთან, მოკლული ირემი და ცეცხლზე შემოლაგებული მწვადები და შეეგება მომავალ ხალხს. ხალხში ეაინახა, რომ სამ კაცს ერთი თავ-გატეხილი კაცი მოჰყავდა. ავთანდილმა „გამარჯვება“ უთხრა და ჰკითხა: რითი გყავთ დასნეულებული ეგ კაციო.

— ეს ძმა არის ჩვენი, — მიუგეს სამთავემ — ჩვენ ტყის პირას ვიყავით, რომ ერთმა გმირმა მოყმემ გამოიარა ჩვენს ახლოს; ჩვენ ძლიერ გაგვიკვირდა იმ დიდი გმირის ნახვა. ეს ჩვენი ავადმყოფი ძმა გამოეკიდა: „ვინა ხარ, მითხარიო“, მისძახოდა და „ან საით მიეჩქარებიო“.

გმირი მოუბრუნდა, ერთი სიტყვა ეჰკრა და, აი, თავი ოთხათ გაუჩეხაო.

ავთანდილმა ამ ამბისათვის მადლობა გადაუხადა, ისურვა მათი ავათმყოფის მშვიდობით მორჩენა, ასწავლა თავის ბინა — ცეცხლი და მწვადები, წამალიც თავ-გატეხილისათვის: ირმის ტვინი წაუსვითო და დაუამებსო. თითონ-კი აღარ მიბრუნდა; ბინაზე დანაც დარჩა ავთანდილს და ნუ დამიკარგავთო შეეხვეწა. გააქანა ცხენი და გასწია ტარიელის საძებრათ.

აიმა და იმ ხეთ ძირში
მწვადი უბრუნვენ ნებასო,
წყლულს ირმის ტვინი წაუსვით,
იტყვიან მოსვენებასო;
საპურ-ყველე დანა დამრჩა
იმ ჩემ ნადგომსა ბინასო,
ნუ დამიკარგავთ, გეთაყვა,
თქვენი სნეულის ლხენასო.

ავთანდილმა გააჭენა ცხენი იქით, საითაც უჩვენეს მგზავრებმა გმირის წავლილი გზა. ესენი-კი მივიდენ ავთანდილის ნადგომ ბინაზე, ავათმყოფს დაადვეს წყლულზე ირმის ტვინი, შეუხვიეს თავი დე მოასვენეს. თითონ ისამხრეს გუნებიერათ და შეისვენეს. შემდეგ სამივე ძმები დაეხვიენ ავთანდილის „საყველ-პურე“ დანას, მაგრამ ხეზედაც ვერ მიაყუდეს და საცა ეგდო, იქვე დატოვეს.

ავთანდილი-კი იმ დროს გამალებული მიაქროლებდა თავის „თეთრ ტაიჭს“ და მისდევდა ტარიელის გზაკვალს. კარგა მგზავრობის შემდეგ ავთანდილს შემოხვდა ერთი უზარმაზარი დევი, რომელიც ძლივს კოჭლობით მოჩახუნობდა. ავთანდილმა დევი იცნო და გამარჯობა უთხრა. შემდეგ ჰკითხა იმისი ამბავი, ვის საძებრათ იყო

წამოსული.—„შენ მამიჩემის ძმობილი იყავი და სიმართლე მითხარი, აქეთ მგზავრი ხომ არავინ გინახავსო.

დევ, მამიჩემის ძმობილო,
ხომ არვინ ჩამოგიარა?

— ჩამომიარა ქროლით ერთმა პირქუშმა მოყმემ, უთხრა დაჟეჟილმა დევმა. მე ვხნავდი, გუთნეული მება, გამიკრა ხელი გუთნეულს და ზღვას იქით გადამიყარა!.. მეც ერთი ფეხი წამამკრა და შორს გადამისროლა... ალარ მეგონა, თუ ცოცხალი გადავრჩებოდი. შენ ტყვილა მისდევ, ავთანდილ, ველარ მიეწევი იმ მოყმეს, იმან საქართველო გადიარა და სათათრეში გავ-და. მე ისეთი დიდი გმირი არ მინახავს და არც ისეთი შვენიერი; ერთი გაიღიმა და ისეთი შუქი გამოკრთა, რომ მთა და მინდორი გაანათა.

ერთმა პირქუშა მოყმემა
ცხენ ხეთქით ჩამომიარა,
ხელი გამიკრა გუთანსა,
ზღვას იქით გამისრიალა!..
წიხლი მკრა გუთნის დედასა,
კ...მა გამოიარა,
ღიმნი ქმნა, კბილი გამოჩნდა,
მთას შუქმა გადაიარა,
მაგას ნუ მისდევ, ავთანდილ,
იმან დიდი გზა იარა,
გასწირა საქართველოი,
სათათრე გადაიარა.

ავთანდილი უმფრო მეტი სიფიცხით გამოუდგა უკან ტარიელის გზასა და დღე და ღამე დაუსვენრათ მისდევდა, მაგრამ ვერ მიწვდა, ვერსად მოჰკიდა თვალი. მიმავალმა ავთანდილმა ერთს მდინარის პირას დაინახა მიმდ-

გარი ჯარი; ის დაურიდებლათ მივიდა მათთან და იკითხა ტარიელის ამბავი, მაგრამ ვერა გაიგო-რა; მერე გამოიკითხა მათი ასე შეგროვების მიზეზი.

— ჩვენ მგზავრნი ვაჭარნი გახლავართ — უთხრეს ავთანდილს — აქ ჩვენი დადგომის და მწუხარების მიზეზი ის არის, რომ ამ მდინარეზე ეს ერთი ხიდია, სხვა გზა არ არის და ამ ხიდზედაც თითო პეშვ თვალ-მარგალიტის გადაუხდელათ ამ ხიდის ბატონი არ გვიშვებსო.

— ნუ გეშინიათ, მე გაგიყვანთ და გაგათავისუფლებთ. წადგა ავთანდილი წინ და შეძახა ხიდის ბატონს:

— მგზავრი და ქარავანი ღვთისა არის, მათი ძარცვა და წინ დადგომა ცოდვაა, საკადრისი არ არის; მოეცალე ხიდიდან და გაატარე ქარავანი, ოორემ, ტარიელის მზეს ვფიცავ, სამტკივნელოს დაგარტყამ და შენს ტვინს ზღვას ქაფათ მივცემ.

ეს ქარავანი ღვთისია,
უერთოდ არ მამიცია,
ტარიელის მზემ, გაუშვი,
თორემ მტკივანი მიცია!..
ეგ შენი ტვინი და სისხლი
ზღვას „პერად“ გადამიცია.

ხიდის ბატონი არ მოეცალა გზიდან და დაძმობილება მოინდომა ავთანდილის: ორივემ გავიყოთ შუაზე ძმურათ მაგადგან ანაღები თვალ-მარგალიტიო; — ესე ჯობია, თორემ რას გამოვრჩებით, ჩვენ ორივემ რომ ერთმანეთს თავი შევაკლათ და ჩვენი სისხლით „ნახლმევ-ნაისრით და ნაშუბრით“ მინდორი მოვრწყათ და ავავსოთ... დამანებე ქარავანი, დღეს მე და შენ ძმები ვიყვნეთო.

მინდორს სისხლის ტბა გვიბრუნავს
ნახლმევ-ნაისრ-ნაშუბარი,

ეს ქარავან დამანებე,
დღეს მე და შენ გავხდეთ ძმანი.

ავთანდილს ეწყინა ესა და ერთი მათრახის გადაქნევით დედამიწაზე გაეშვნიტა მგზავრების მძარცველი ბატონი; გაუხსნა თავისუფლათ გზა მგზავრებს და გაატარა. მგზავრებმა შესწირეს ლოცვა და დიდი მადლობა ღმერთს, რომ დამხსნელი გამოუგზავნა და ლოცავდენ ავთანდილი'ს მოსვლის გზას.

ავთანდილი გაეშურა თავის გზაზე და მიჰქროდა გრიგალ-ქარივით; ის გავიდა თავის ბიძის — ფრიდონის — მაწა-წყალში და მიაბრუნა ცხენი ფრიდონისაკენ. ამ სიარულში ავთანდილი მიადგა ერთი დედაბრის ქოხს. ავთანდილმა იმასაც ჰკითხა ამბავი თავის საძებრისა, მაგრამ ვერა გაიგო რა. ბებერმა ჰკითხა: ,,სად მიხვალ ახლაო".

— მე მივდივარ ბიძა-ჩემ ფრიდონთანაო, — მიუგო ავთანდილმა. ეს დედაბერი თურმე „გულთმისანი" იყო და ყველა გაიგო, რაც ავთანდილს სურვილი ჰქონდა. დედაკაცმა ფრიდონის სასახლის მარჯვე გზა ასწავლა.

— შენ თუ შენი საწადლის ასრულება გინდა, ბიძა-შენ ფრიდონთან რომ მიხვიდე, ცხენი თხოვე და როცა მოგცეს, წადი ჯოგში და რომელიც ჯოგს უკან ჩამორჩება გაჩინჩლული კვიცი, იმას სტაცე ხელი და მოაჯექი, ის გაპოვნინებს შენს საწადელს; მართალია ის, ვიცი, თვალის შესახედავათ ცუდია, მაგრამ გადამავალის ქარის ცხენია და მხედრის გულის-პასუხის შემტყობელი. ბიძა-შენ ფრიდონს არ იამება იმ კვიცის წამოყვანა, მაგრამ ვეღარას იზამსო — უთხრა ბებერმა და გზა დაულოცა. ავთანდილმაც მადლობა გადაუხადა და გამოეშურა ბიძისაკენ. ორი დღის მგზავრობის შემდეგ მივიდა თავის

ბიძა ფრიდონთან და მოკითხვის და საუბრის შემდეგ უთხრა: ცხენი დამეღალა და უნდა ერთი მჯრინავი კვიცი-ცხენი მაჩუქოვო.

ფრიდონ, გენუკვი, ბიძაო,
კვიცის რემაის ფრენასო.

ბიძა მოგიკვდეს მაშინ, რომ მჯობნის-მჯობნე დაგიჭიროვო: შედი ჯოგში და რომელიც მჯობნის-მჯობნეა—მიირთვი, მიწყალობებიაო.

ფრიდონ მოგიკვდეს ბიძაი,
მჯობი გიწყალოს ჯოგშია,
შედი და გამოარჩიე,
რომელიც სჯობდეს მჯობშია.

ავთანდილი მაშინვე გაეშურა ჯოგში. გამოირეკა წინ ჯოგი და დაიჭირა ის პატარა კვიცი, რომელიც უკან ჩამორჩა და რომელიც ბებერმა ურჩია. ფრიდონს დაენანა, მაგრამ თქმით-კი ველარა უთხრა-რა ავთანდილს. ავთანდილმა დაადგა უნაგირი, მოახტა ზურგზე და გაფრინდა კვიცი, თვალი ველარავინ მოჰკრა!.. ბევრი სიარულის შემდეგ ავთანდილის ცხენმა იპოვნა ტარიელის ცხენის „ნატერფალი", კვალი; დაადგა ამ ნაკვალევს მფრენმბრბენი და აღარ მოშორდა. ნაკვალევმა მიიყვანა ერთ გამოქვაბულ კლდეში, საცა ერთი დედაბერი ცხოვრობდა. ავთანდილი გადახტა ცხენიდან, მიესალმა დედაბერს და გამოჰკითხა ტარიელის ამბავი.

— აქ მოდის ხოლმე ჩემთან ტარიელი,— უთხრა დედაბერმა—ახლა სანადიროთ არის წასული და ცოტა ხნის შემდეგ მოვაო.

— არა უთქვამს-რა, დედაშვილობას, შენთვის ტარიელს: ან დედა არ დამრჩა შინ, ან ბიძაშვილს და ან

ვის იგონებს კიდევ, თავის საყვარელ ნესტან დარეჯანის გარდა?

— ჩემთვის, შვილო, ტარიელს არა უთქვამს-რა და არც მე ჩავკითხებივარ, – მიუგო ბებერმა.

ავთანდილი შეეხვეწა დედაბერს, უთუოდ უნდა მომიხერხო და ტარიელი მაჩვენო პირის-პირო.

— არ შეშიძლია, შვილო, უთხრა ბებერმა—ის ისეა გაშმაგებული და გახელებული თავის საყვარლის „მზექალის“ დაკარგვით, რომ არავის არ ინდობს, არავის არ ეკარება, მისი ფიქრი და საწადელი მარტოკა თავის, მზექალის პოვნა და გამოხსნა არის და რომ ვაჩვენო შენი თავი, ვაი თუ მოგკლას და ცოდვა დამედვას თავზეო. მაგრამ ავთანდილი არ მოეშვა და დიდი ხვეწნა-მუდარით: „თუ მომკლავს, ალალი იყოს ჩემი სისხლიო“, დაითანხმა ბებერი და ბებერმა ავთანდილი დამალა ქვაბში. შეღამებისას მოვიდა ტარიელი სანადიროდან; ცალ მხარზე ნანადირევი ეკიდა და ცალ-მხარზე — დიდი უზარ-მაზარი წიფლის ხე. მოვიდა ტარიელი ქვაბთან, დააგდო ძირს ხე და ნანადირევი გაატყავა, დაანთო ცეცხლი, შედგა ქვაბი და ჩაჰყარა ხორცი. როცა შინ შემოვიდა, დედაბერმა დაუწყო ტარიელს გამოკითხვა: „ვინ დაგრჩა შინ, ან დედა ხომ არ დაგრჩენია, ან და, ან ბიძაშვილი, რომლის ნახვაც გვნატრებოდესო?“—არაო, უთხრა ტარიელმა — არავინ არ დამრჩენია შინ; დამრჩა მხოლოთ ერთი ბიძაშვილი, სახელათ ავთანდილი, ის მახსოვს და იმის ნახვას ვინატრი, ნეტავ ერთხელ კიდევ მაჩვენა ჩემი ავთანდილიო.

— ახლა რომ ნახო ავთანდილი, რას უზამ, დედაშვილობასა?

— ერთს მაგრათ ვაკოცებ და გადავეხვევი, — უთხრა ტარიელმა.

— შენ რომ მაგრათ აკოცო, შვილო, ხომ მოკვდებ, — უთხრა ბებერმა. გაიგონა ავთანდილმა ტარიელის ხმა და, ჩქარა ნახკის სურვილით აჟრჟოლებულმა, ჰკრა წიხლი, გამოამტვრია ქვაბის კარები: ,,აქა ვარ შენი ავთანდილი, ჩემო ტარიელ'' — შეძახა და მივარდენ ერთმანეთს, საალერსოთ გადაჰხვიეს ხელი და დაუწყეს ერთმანეთს კოცნა.

ამ ალერსში, ტარიელისაგან მაგრათ მოხვევნის გამო, ავთანდილს სამი გვერდის ნეკნი, „ფერცხალი'', ჩაემტვრა. ტარიელი მაშინვე ჩაეწოდა, ამოიძრო პაიჭიდან ფასკუნჯის ფრთა, წაუსვა ნატკენ გვერდებზე და გაუმთელა, გაუკურნა.

შემდეგ დასხდენ ერთად და უამბეს ერთმანეთს თავიანთი ამბავი და თავ-გადასავალი. ტარიელი მოუყვა, რაც ჭირი და ვაება გადაჰხედოდა თავისი ,,მზე-ქალის'' — ნესტან-დარეჯანის — ძებნაში ამ თოთხმეტი წლის განმავლობაში. — „ეს თოთხმეტი წელიწადია, ავთანდილ, ვეძებ ჩემს მზეს, დავრბივარ გარ-გარე და ნიშანიც-კი ვერ ვიპოვნეო,'' — უთხრა ბოლოს გულ ამოსკვნით ტარიელმა.

ავთანდილმა იმედი უთხრა: ნუ გეშინია, ძმაო, ბე ვეცდები, რომ მოვნახო და ვიპოვო შენი მზე-ქალი და ან ჩემ თავს მის ძებნაში წავაგებო!.. შენ მხოლოთ ნუ ნაღლობ და დამშვიდდი. უბრალო ხალხთან ჩხუბით არა გაკეთდება რა, თავს ტყუილათ დაიბეჩავებ, სხვასაც ავნებ და შენს მზე-ქალს მაგითი ვერ იპოვნიო. გამოემშვიდობა ავთანდილი და წავიდა ნესტან-დარეჯნის საძებნელათ. ტარიელიც არ დამშვიდდა და არ დაეთხოვა ძებნას, დარბოდა ტყე-ველში და ეძებდა გამუდმებით.

ავთანდილმა დიდი გზა გაიარა. ვისაც შეხვდებოდა, ყველას ამბავს ჰკითხავდა და ასე კითხვა-კითხვით მიაგნო ნესტან-დარეჯანს. გაიგო დაბეჯითებით, რომ ზღვას იქით ქაჯებს ჰყავდათ დამწყვდეული ქაჯეთის ციხეში. ავთანდილი წამოვიდა ტარიელთან, გამოუარა ბიძა ფრიდონს, უამბო ნესტან-დარეჯანის ამბავი და შველა თხოვა. დასდეს პირობა ბიძა-დისწულმა და ავთანდილი წამოვიდა ქვაბში ტარიელთან.

ტარიელი ავთანდილს შინ არ დაუხვდა.—«მას უკან ორჯელაც აღარ მოსულა შინა»ო—უთხრა დედაბერმა ავთანდილს. ავთანდილი გაეშურა მინდორ-ტყეში ტარიელისაძებნელათ. ტარიელი ნახა და ახარა «მზე-ქალის» პოვნა. მოვიდენ ქვაბში ორივენი. ავთანდილმა უთხრა ტარიელს:—ახა, ძმაო, ჩემი ცხენი: მაღლა ასწევ აღვირს, ზეცას ავარდება, ძირს დასწევ ქვესკნელს ჩაძვრება და მათრახს გადაჰკრავ—ზღვაზე გაფრინდება. შეჯექი ამ «იფრინდაზე», გადაჰკარ მათრახი და გახტი ზღვის გაღმა. მე და ბიძა ჩემი ფრიდონი ერთად წამოვალთ. ბიძა ჩემი თოკს გამოაგდებს ზღვაზე, მოსდებს ქაჯეთის ციხეს და ბე იმ თოკზე გამოვფრინდები და ჩავხტები ციხეში კისკასათ.

ავთანდილ საჩქაროთ გამობრუნდა, მივიდა ბიძა ფრიდონთან, შეეხვეწა ჩქარა წავიდეთ, მივეშველოთ ტარიელს და თოკები ბლომათ წავიღოთ, რომ მიწვდეს ქაჯეთის ციხემდეო.

საწყალი ჩემი დედ-მამა რომ ჯამბაზობას მასწავლიდა, თოკებზე რომ მარბენინებდენ, ასე მეგონა, ბიძია ფრიდონ, ტყუილათ მაწვალებენ-მეთქი!.. უბრალოთ ჩემი ტანჯვა და სიკვდილი უნდათ ჩემ დედ-მამას-მეთქი—ვფიქრობდი მაშინ მე უგუნური. ის კი არ ვიცოდი, თუ ჩე-

მი დედ-მამა ჩემ თავის გამოსადეგს მასწავლიდა და მწვრთნიდა.

ბეჩავი ჩემი დედ-მამა
რა ცოდვა-ჭირით მზდიდიან:
ერთი ციხიდან სხვა ციხეს
თოკები გამოჰკიდიან;
მე ისე ფრენით გავრბოდი,
რომ თვალნიც ვერ მამკიდიან!..
მე ის მეგონა, ქვე თუ მკვლენ,
იგინი თურმე მწვრთნიდიან.

ავთანდილი და ფრიდონი მოემზადენ სამგზავროთ; ჩქარაც წავიდენ და მიადგენ—ქაჯეთის ციხის პირდა-პირ—ზღვას. მაშინ ავთანდილმა კიდევ უთხრა ფრიდონს: აბა, ბიძია, თოკების გაგდება აქედან და წვერის მოდება ქაჯეთის ციხეზედ შენი საცადით იყოს, და ზედ გაფრენა მე ვიცი.

ფრიდონ ბიძისა ცდით იყო
გაგდება თოკებისაო,
ზე გავლა ავთანდილისა,
როგორც მჯრინავი ცისაო.

ფრიდონმა მაშინვე აიღო თოკები, ეკროლა და მოსდო ქაჯეთის ციხის ბურჯს. ავთანდილმა მოიხადა ქუდი, ილოცა ღმერთი, შეხტა თოკზე და გრიგალ-ქარივით წამზე ჩახტა ქაჯეთის ციხეში. დაუწყო ხოცვა-მუსვრა ქაჯებს, მაგრამ, რამდენსაც მოჰკლავდა, იმდენი ისევ ცოცხლდებოდა და დაჭრილი ადგილი უმთელდებოდათ. ამ დროს დაინახა ნესტან-დარეჯანმა ავთანდილი და იცნო თავის ტარიელის ბიძაშვილი.

— აქ რამ მოგიყვანა ავთანდილ?!—დაუძახა ნესტან-დარეჯანმა, მაგრამ ავთანდილმა ყურიც არ ათხოვა, ის

გაცხარებულ ომში იყო და გუნებაში წუხდა, რომ დაბოლილი ქაჯნი ისევ ცოცხლდებოდენ.—„ნაბდის ხმალი აიღე, ავთანდილ, ნაბდის ხმალიო“... ავთანდილმა მიიხედა გვერდზე და დაინახა კედელზე მიყუდებული ნაბდის ხმლები. ავთანდილმა დაავლო ხელი ნაბდის ხმალს და დაუწყო უწყალოთ ხოცვა ქაჯებს.

ბევრი ომისა და ბრძოლისაგან ავთანდილი მოიქანცა, „დათვრა, სისხლით“. მაშველს ვერავის ჰხედავდა და უკვირდა ტარიელის ამბავი. მაშინ შეძახა ტარიელს: ბიძაშვილო, „შინშო“ მიშველე, მომეხმარე, თორემ ამ მოხლვავებულმა ქაჯებმა ლამის გადაგვიარონ თავზეო.

„შინშო“,*) მიშველე ტარიელ,
დამჭირდა შენი გმირობა!..
ავთანდილ დავსუსტებულვარ,
ქაჯებს აქვს ზემო ვლილობა!..

ტარიელი ამ დროს ციხის გალავან გარეთ იდგა, სიყვარულისაგან გაშტერებულ-გახევებული და არაფერ საცადში არ იყო. ავთანდილის დაძახილმა გამოაფხიზლა ტარიელი ამ ღრმა გაშტერებისაგან. მაშინვე ხმა მისცა ტარიელმა ავთანდილს: მე აქ სურვილისაგან გახევებული კარებზე თავსა ვცემდიო და არც-კი ვიცოდი, შენ შიგნით იყავი თუ არაო.

შენ შით გადახველ, ავთანდილ,
მე კარზე ვდგევარ—ხე ვითა,
სურვილით გახარებული
კარს დავასკდები ქვევითა...

გამოფხიზლებული ტარიელი მივარდა კარებს, დალეწა მთლათ, დაამსხვრია გალავანი ციხისა, შეევარდა

*) „შინშის“ ხევსურები ბიძაშვილს უძახიან.

შიგ და დაუწყო ჟლეტა ქაჯებს. ამ დროს მოვიდა ქაჯების ხელმწიფეც დიდ-ძალი ქაჯის ლაშქრით და, როცა ნახა კარები და კლიტეები მთლათ დალეწილი, შეწუხდა და მაშინვე მიხვდა: ამას ქვეყანაზე ვერა ვინ ვერ შეიძლებდა ტარიელის მეტიო. ეს უთუოდ ტარიელი მოვიდა, იმან დალეწა კარ-კლიტე, ქობალაქები და მიფანტ-მოფანტა მინდვრებშიო.

ქაჯებ სთქვეს ტარიელისა:
„ეს საქმე მისეულია,
კარ-კლიტე, ქობალაქები
მინდორში დასრეულია“.

ტარიელმა და ავთანდილმა ამოწყვიტეს მთლად ერთიანად ქაჯების სინსილა, წამოიყვანეს ნესტან-დარეჯანი, ტარიელის „მზე-ქალი“, და წამოვიდენ. კარგა სიარულის შემდეგ მოადგენ ერთ მდინარის ხიდს. მაშინ უცებ გაიკრა ავთანდილმა ხმალს ხელი და შემოუქნია ნესტან-დარეჯანს: „უნდა ეხლავე გაგათავოო!—შეძახა ავთანდილმა. ნესტან-დარეჯანს შეეშინდა, პირი წაიღო და სამი ქაჯი წამოაგდო პირიდან. ავთანდილმა მაშინვე დახოცა ქაჯები. ავთანდილი, გულთმისანი, ჭკვიანი კაცი იყო და იცოდა, რომ ნესტან-დარეჯანს სამი ქაჯი ჩაუძვრა პირში. მორჩენილი და განკურნებული „მზე-ქალი“ წამოიყვანეს და წამოვიდენ დიდი სიხარულით და მხიარულობით.

ხალხური ლექსი.

(სოფ. ჭყვიშში (ლეჩხუმის მაზრაში) გაგონილი იასონ კენჭაძისაგან და ჩაწერილი ს. ქვარიანისაგან).

არ გითხარ, ძმაო გიორგი,
ნუ მიხვალ თათრის ჯარშია!
რათ შეიწუხე ან თავი,
ან რათ ჩამაგდეთ ჯავრშია?
მე რომ იქ წასვლას გიშლიდი,
თურმე მტეროობა გეგონა,
ფინთიხის ტყვია მოგარტყეს,
ურთხლის ჭოლოკი გეგონა,
სისხლი რომ ღვარათ გდიოდა,
სალხინო ოფლი გეგონა,
ფიცარზე რომ გაგაწვინეს,
ბუმბლის ბალიში გეგონა,
ეკლესიაზე წაგიღეს,
ცოლოურს წასვლა გეგონა,
საფლავში რომ ჩაგაწვინეს,
წვანე ოთახი გეგონა,
თავზედ მიწა დაგაყარეს,

ფარჩის საბანი გეგონა,
ჯინჭველა რომ დაგესია,
წვრილი ცოლ-შვილი გეგონა,
გველი რომ შემოგეხვია,
ცოლიხ მკლავები გეგონა!..

გაცხადება

აკაკის

თვიური

„კრებული“

გამოვა ყოველი თვის პირველ რიცხვებში.

წელიწადი ითვლება ენკენისთვიდან ენკენისთვემდე.

წლიური ფასი თბილისში მცხოვრებთათვის 6 მანეთია, სოლო კავკასიის და რუსეთის სხვა ქალაქებში გაგზავნით—7 მან. ნახევარი წლით— 4 მან.

საზღვარ გარეთ: ერთი წლით 9 მან. ნახევარი წლით 5 მან.

„კრებული“ ცალკე ნომრობით არ გაიყიდება.

ხელის მოწერა მიიღება

თბილისში: „კრებულის“ რედაქციაში, მუხრან ბატონის სახლში, გოლოვინის პროსპექტზე. „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში—შიო ქუჩუკაშვილთან. ქ-ნ ელენე ანტონოვსკისთან — სახალხო ბიბლიოთეკაში (სათავად-აზნაურო ქარვასლაშია). იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში (ლორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახლი, № 4) და თბილისის ამხანაგობის „შუამავალის“ მაღაზიაში.

ქუთაისში: ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში და მიტროფანე ლაღიძესთან.

ბათომში: ქ-ნ მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან, ექიმ ვოლსკისთან და კოწია თავართქილაძის და მიქელაიშვილის წიგნის მაღაზიაში.

ფოთში: სოფრომ მგალობლიშვილთან, ქ-ნ ნინო ბერეჟიანთან, იოსებ კოხრეიძესთან, იაკობ ფანცხავასთან და ვლადიმერ ახობაძესთან.

ოზურგეთში: კოწია თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.
ლანჩხუთში: მასთანვე „შუამავალში“.
სხალდ-სენაკში: თავართქილაძესთან წიგნის მაღაზიაში, ბესარიონ დავითის ძე ქავთარაძესთან და სამსონ ყიფიანთან.
საჭალოში: „შუამავალში“ კოწ. თავართქილაძესთან.
ზუგდიდში. კნ. ანეტა დადიშქელიანთან.
ხონში: ივანე შარაშიძესთან.
ჭიათურაში: კონსტანტინე დავითის ძე წერეთელთან.
საჩხერეში: ყარამან ჩხეიძესთან.
ყვირილაში: (ზესტაფონში): დეკანოზ დავით ღამბაშიძესთან და ალ. არაბიძის წიგნის მაღაზიაში.
წიფაში: კირილე ხარაძესთან.
ონში: თავად ქაიხოსრო გელოვანთან.
გორში: ნიკო ლომაურთან, მიხეილ ილურიძესთან და რომანოზ ფანცხავასთან.
განჯაში: ალექსანდრე მიქაბერიძესთან და სოლომონ დოლიძესთან.
ბაქოში: ილარიონ თაყაიშვილთან.
კაკაკაში: ალექსი ჭიჭინაძესთან და ივანე ჩითაშვილთან.
თელავში: ბარბარე პაატას ასულ სულხანიშვილთან, კნიაზნა მარიამ ესტატეს ასულ ვახვახიშვილთან და ივანე კოლელიშვილთან.
სიღნაღში: დ. მაჩხანელთან — დეპოში და თ. დ. ჩოლოყაშვილთან.
ახალციხეში: გრიგოლ ბურჭულაძესთან.
ახალ ქალაქში: ილია ალხაზიშვილთან.
ახაურში: იოსებ ნიკოლოზის ძე ფანცულაიასთან.
მოლითში; პავლე კურცხალიასთან.
ს. ბრეთში: თ. ვანო ავალიშვილთან.
გუდაუთში: (სოხუმის ოლქშია) გიორგი ბაღდავაძესთან.
აქსტაფაში: მიხეილ გორდაძესთან.
შორაპანში: სამსონ ლუკას ძე ყაზიაშვილთან.
თიონეთში: იოსებ ცისკარიშვილთან.

ადრესი: Тифлисъ. „Кребули“. Головинскій проспектъ, д. кн. Мухранскаго.